საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მეზღვაურების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. ლიზარევზე თავდამსხმელის ვოიცეხოვსკის საქმე ნოემბერში გაირჩევა ვარშავაში.
- ფრანგი რეფორმისტები ცდილობენ ჩაშალონ ლილის ფეიქრების გაფიცვა
- ინგლისის პროტესტი იტალიაში სპარსეთის სამხედრო გემების აგების წინააღმდეგ.
- ურთიერთობის გამწვავება გაიც-ცზუნ-ჩისა და ენ-სი-შანს შორის
- მუშების მასიური შესვლა გერმანიის კომპარტიაში.
- პილსუდსკი დაბრუნდა ვარშავაში.
- მუშების მასიური დაპატიმრებანი რიგაში.
- დღეს ლენინგრადში ბრუნდება „კრასინი“.

პარასკევი, 5 ოქტომბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 231 (2274)

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ინგლისელი რეფორმისტების მანევრები

ინგლისის მუშათა პარტია ემზადება ძალაუფლების „დასაპყრობად“, ე. ი. ნიადაგს ამზადებს, რომ თემთა პალატის მომავალ არჩევნების დროს მიიღოს ხმების უმრავლესობა, ან, ყოველ შემთხვევაში, ლიბერალების დახმარებით კვლავ მოექცეს მთავრობის სათავეში. ეს მიზანი განსაზღვრავს ამ პარტიის ეხლა მიმდინარე მორიგ ყრილობის ხასიათს.

ბოლდუინმა კონსერვატორების პარტიის ამას წინედ შემდგარ ყრილობაზე განაცხადა: „სანამ მუშათა პარტია არ ისწავლის თავის საკუთარ ექსტრემისტებთან ბრძოლას და მათ მხილებას, მანამ იგი ინგლისელი ხალხისაგან ხმის უმრავლესობას ვერ მიიღებს“-ო. ბირმინგამის ყრილობა, რომელიც, აქვე აღვნიშნავთ, შესდგება მუშათა პარტიის ზედა ფენების ბიუროკრატებისა და მოხელეებისაგან, კონსერვატორების მეთაურის ამ „დარიგებას“ გულმოდგინედ ასრულებს. ის შეუბრალებელ ბრძოლას უცხადებს რევოლიუციონურ და საერთოდ მემარცხენე ელემენტებს თავის რიგებში და აძევებს მათ. ამ გზით მაკდონალდებს სურთ დაიმსახურონ ბურჟუაზიის ნდობა და მისი ხმები მოიშველიონ არჩევნებში გასამარჯვებლად.

ამავე დროს ცხადია, რომ ინგლისელ შეთანხმებლებს, რომელნიც მუშათა კლასის სახელით გამოდიან და მისი ინტერესების დამცველებად ასაღებენ თავს, არ შეუძლიათ სიტყვიერად მაინც აშკარად დაუჭირონ მხარი კაპიტალისტებს. და ლენსბერი აცხადებს: „მუშათა პარტიამ აღთქმა დასდო იმუშაოს სოციალიზმისათვის, ვინაიდან კაპიტალიზმმა გამოცდას ვერ გაუძლო. კაპიტალიზმი პასუხისმგებელია უმუშევართა უდიდესი არმიისათვის და მილიონების სიღატაკისათვის“. ისე გამოდის, რომ მუშათა პარტიას თითქო გადაუწყვეტია ბრძოლა კაპიტალიზმის დასამხობად და სოციალიზმის დასამყარებლად! მაგრამ ასეთი მემარცხენე ფრაზეოლოგია, რა თქმა უნდა, ვერავის შეიყვანს შეცდომაში, პირველ ყოვლისა ინგლისის მუშათა კლასს, რომელიც თავის ზურგზე განიცდის, თუ როგორ „იბრძვიან“ რეფორმისტები კაპიტალისტების ექსპლოატაციის წინააღმდეგ და სოციალიზმის განსახორციელებლად. საყოველთაოდ მემაღაროეთა გაფიცვის ჩაშლა, კაპიტულიაცია ბოლდუინის მთავრობის წინაშე პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ კანონის საკითხში, მრეწველობაში „მშვიდობიანობის“ ჩამოგდების პოლიტიკა, ე. ი. კაპიტალისტების ბატონობისათვის მუშების დამორჩილების ცდა, კომუნისტების და უმცირესობის მოძრაობის დევნა, ბოლოს, თვით მუშათა პარტიის პროგრამა, რომელიც მისმა ეხლანდელმა ყრილობამ შეიმუშავა, პროგრამა, რომელიც ხელუხლებლად სტოვებს კაპიტალიზმის საფუძვლებს—ყველაფერი ეს ზედმიწევნით ამჟღავნებს ლენსბერ-მაკდონალდების მოღალატურ ბუნებას.

ამ მხრივ აგრეთვე არა ნაკლებ საყურადღებოა მუშათა პარტიის მესვეურების საგარეო პოლიტიკა. ამ საკითხის შესახებ ლენსბერის და მაკდონალდის მიერ წარმოთქმული სიტყვები, ისე როგორც ყრილობაზე წარმოდგენილი რეზოლიუცია, ნაკარნახევია საარჩევნო მოსაზრებებით. ლენსბერმა „კომპლიმენტები“ უძღვნა საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს და განაცხადა, რომ მუშათა პარტია, თუ ის ხელისუფლებას ჩაუდგება სათავეში, „გაუწოდებს მეგობრობის ხელს რუსეთის ხალხს და გააკეთებს ყველაფერს, რომ მათთან დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა“-ო.

ცნობილია, რომ ინგლისის მუშათა კლასი, ფართე წვრილბურჟუაზიული მასები და საქმიანი კაპიტალისტური წრეები დიდად არიან უკმაყოფილო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლით, რომელიც აძლიერებს ინგლისის ეკონომიურ კრიზისს. ლენსბერის აღნიშნული გამოსვლა მასების ზეგავლენის შედეგია. ამ მანევრით მუშათა პარტია ლამობს თავის მხარეზე მიიზიდოს ამომრჩეველნი, რომელნიც მოწყურებული არიან ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას. მაგრამ ვერავინ დაივიწყებს მაკდონალდის როლს „ზინოვიევის წერილის“ ისტორიაში, ინგლისელ გამცემელთა მიერ ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის ჩაშლას, მათ სისტემატიურ ანტისაბჭოთა კამპანიას.

რეზოლიუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ, სხვათა შორის, ჩერდება კელოგის პაქტზე, „მწუხარებას გამოსთქვამს“ იმ შენიშვნების გამო, რომლებიც „სხვადასხვა მთავრობებმა“ ამ პაქტს დაურთეს, და მოითხოვს, რომ ის „პატიოსნურად“ იქნეს განმარტებული, როგორც ომის უარყოფა, მაგრამ „იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა აუცილებელი აღმოჩნდება ერთა ლიგის წესდებით გათვალწინებულ სანქციების გამოყენება“. ეს უკანასკნელი სიტყვები სავსებით ეთანხმება ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის პოზიციას და „მწუხარების გამოთქმა“ ამ ქვეყნების მთავრობათა „შენიშვნების“ გამო, ან პაქტის „პატიოსნურად“ განმარტების საჭიროების აღიარება ჩვეულებრივი თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი.

რომ ინგლისელი რეფორმისტები ინგლისის იმპერიალიზმს უჭერენ მხარს, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ისინი კვერს უკრავენ საიმონის კომისიას, რომლის დანიშნულებაა ინგლისისათვის ინდოეთის დამონება.

რეზოლიუცია მოითხოვს ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების გაუქმებას და ამ შეთანხმების გამოქვეყნებას. ეს მას შემდეგ, როცა ამერიკის წინააღმდეგობის გამო ხსენებულ შეთანხმების ლიკვიდაციის საკითხი დგას თვით ლონდონის და პარიზის მთავრობათა დღის წესრიგში. მუშათა პარტიის მესვეურთ ესმით, რომ ამერიკასთან ურთიერთობის გამწვავება ინგლისის იმპერიალიზმს არაფერს სახეიროს არ უქადის და ამიტომ ისინი არჩევენ მასთან კომპრომისის მიღწევის გზით ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესების დაცვას, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

სხვათა შორის, აღსანიშნავია რეზოლიუციის შემდეგი ადგილი: „მუშათა მთავრობა, როცა ძალა-უფლებას ჩაუდგება სათავეში, გამოაქვეყნებს ყველა საერთაშორისო შეთანხმებას, რომლებიც არ ყოფილა გამოქვეყნებულიო“. მაგრამ ეს ლიტონი სიტყვებია. მუშათა მთავრობა 1924 წ. ათი თვის განმავლობაში არსებობდა, მაგრამ ჩვენ არ გვსმენია, რომ მას გაელაშქრებიოს საიდუმლო დიპლომატიის წინააღმდეგ.

რეზოლიუცია განიარაღების საკითხსაც უთმობს ადგილს. განა მტკიცება უნდა, რომ მუშათა პარტიის „ზრუნვა“ განიარაღებაზე უბრალო ფანდია მასების მოსატყუებლად. რეზოლიუცია ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს განიარაღების საბჭოთა პროექტს; ამასთან ის უშვებს ომს „გამონაკლისს შემთხვევებში“, როცა ამას „ერთა ლიგის წესდება ითვალწინებს“. აგრეთვე გვახსოვს, რომ მუშათა მთავრობის მოქმედება 1924 წ. მიმართული იყო არა განიარაღებისაკენ, არამედ ინგლისის საზღვაო მშენებლობის გაძლიერებისაკენ.

ინგლისელ რეფორმისტების მანევრებში მუშათა კლასი, უეჭველია, თანდათან გაერკვევა. კომპარტია ამ მიმართულებით გააძლიერებს მუშაობას და ბოლომდე ამხელს მაკდონალდების გამცემლობას.

საბჭოების გადარჩევის შესახებ

საბჭოების არჩევნების მორიგი კამპანია დაიწყება დეკემბერში და უნდა დამთავრდეს 1929 წლის აპრილში.

საბჭოების არჩევნები განსაკუთრებით ფართო მასიური კამპანიაა. თავისი მნიშვნელობით მან პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ჩააბას ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობა. მაგრამ ეს კამპანია განუზომლად უფრო ფართოა სხვა მასიურ კამპანიებზე მასში ფაქტიურად ჩაბმული მასების რიცხვით. წარსულ არჩევნებში მარტო კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 27 მილიონზე მეტმა სოფლის საარჩევნო ასაკის მშრომელმა მოსახლეობამ (48,4 პროც.) და 6 მილიონზე მეტმა ქალაქის საარჩევნო ასაკის მშრომელმა მოსახლეობამ (59,1 პროც.).

მაგრამ საბჭოების გადარჩევის კამპანიის განსაკუთრებული მნიშვნელობა მარტო იმით არ ამოიწურება, რომ მასში ფართოდ მონაწილეობენ მასები. ის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიას, ვინაიდან ამ კამპანიის დროს ისმებიან სოციალისტურ სახელმწიფოს მშენებლობის ძირითადი საკითხები. მასში ბევრად უფრო მეტად, ვიდრე რომელსამე სხვა კამპანიაში, ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება ეძლევა შეამოწმებიონ მუშურ-გლეხურ მასებს და პრაქტიკულად შეაფასებიონ მათ თავისი მუშაობის შედეგები და ჩვენი ქვეყნის შემდგომი მშენებლობის პროგრამის გეგმა.

არჩევნების წინ გამართულ მრავალ ათას კრებაში პარტიამ კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დარაზმოს საბჭოების ირგვლივ ღარიბი და საშუალო გლეხობის უფართოესი ფენები მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და უხვად მოიკრიბოს ის უძლეველი ძალა, რომელმაც პროლეტარულ დიქტატურას საშუალება მისცა ამოეყვანა ჩვენი ქვეყანა არევ-დარევისა და სიღატაკის უფსკრულიდან და წაეყვანა იგი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. ხალხის მასების ასეთ დარაზმვაში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად მდგომარეობს საარჩევნო კამპანიის უდიდესი ორგანიზაციული მნიშვნელობა.

ფართოდ განვითარებული საბჭოთა დემოკრატიის პირობებში საბჭოების გადარჩევის კამპანია წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის ასპარეზს. მომავალ არჩევნებში შეიძლება მოველოდეთ სოფლის კულაკური ელემენტების და ქალაქის კაპიტალისტური ჯგუფების ბრძოლის რამდენიმედ გამწვავებას გავლენის მოსაპოებლად საბჭოებში და, კერძოდ, საშუალო გლეხობის ზედა ფენებში.

როგორც სჩანს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება იქნება ის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც განასხვავებს მომავალ კამპანიას 1927 წლის არჩევნებისაგან.

დასასრულ, იმ ამოცანების გასარკვევად, რომლებიც ისმებიან ჩვენს წინაშე მომავალ კამპანიასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი მომენტი, რომელიც აგრეთვე განასხვავებს მას წარსული არჩევნებისაგან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეხლანდელ არჩევნებში მთელი არჩევნების წინასწარი საანგარიშო კამპანია დეკემბრის განმავლობაში უნდა დამთავრდეს.

საარჩევნო კამპანიის სიმძიმის ცენტრი მოდის კამპანიის პირველ ნახევარზე, როდესაც უნდა გაიშალოს ხელისუფლების ორგანოების ანგარიშგება და სოფლის და ქალაქის საბჭოების გადარჩევა.

ყოველივე ზემოთქმული საკმაოდ დამაჯერებელია და მოითხოვს საბჭოთა ორგანოებისაგან და პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, რომ მათ, ჯერ ერთი, უაღრესად სერიოზული და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გადარჩევის კამპანიას და მეორე — დაუყოვნებლივ დაიწყონ მზადება კამპანიის ჩასატარებლად.

1 დეკემბრამდე დარჩენილი ორი თვის განმავლობაში შესაძლებელია და კიდევაც უნდა ანაზღაურდეს გულმოდგინე და ენერგიული მოსამზადებელი მუშაობით არჩევნების წინასწარი ანგარიშების პერიოდის სიმოკლე და სავსებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კამპანიის მაქსიმალური დადებითი შედეგი.

მოსამზადებელ მუშაობაში, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას მუშაობის იმ დეფექტების გამოსწორება, რომლებიც გამოარკვია წარსული არჩევნების გამოცდილებამ. ამ მხრივ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აღმოიფხვრას ცალკე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის საარჩევნო მუშაობის ირგვლივ არსებული უთანხმოება და ბოლო მოეღოს ცალკე ორგანიზაციების იმ მოქმედებას, რომელსაც წარსულ კამპანიის დროს ჰქონდა ადგილი.

საჭიროა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უაღრესად ენერგიული მონაწილეობა მიიღონ საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩატარებაში.

აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ვერც ერთი საბჭოთა ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვერ ბედავდეს განზე გაუდგეს საარჩევნო მუშაობას, რომ მთელი კამპანიის განმავლობაში პარტიული და უპარტიო საბჭოთა აქტივი მჭიდროდ დაირაზმოს საბჭოების ირგვლივ ენერგიული გეგმაშეწონილი მუშაობისთვის პარტიული ორგანოების საერთო ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო მუშაობაში ისეთი უწყებებისა და მათი პერიფერიის ჩაბმას, რომელთა უდიდესი უმრავლესობა ამ მუშაობაში ჩვეულებრივ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. საარჩევნო მუშაობისათვის უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება პროფკავშირებს, განსაკუთრებით მიწა-ტყის მუშათა კავშირს, მშენებელთა კავშირს, რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის მუშათა კავშირებს, კოოპერატიულ ორგანოებს, კომკავშირს, ქალთა ორგანიზაციებს.

კამპანიის ჩასატარებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების წესიერი გეგმაშეწონილი განაწილებით, კამპანიის ყოველმხრივ მომზადებით და ტეხნიკურ საკითხებისადმი ყურადღებითი მოპყრობით შესაძლებელი გახდება ისეთ დაუშვებელ მოვლენათა თავიდან აცილება, როგორიცაა კრებების ჩაშლა ბინის უვარგისობის, მომხსენებელთა გამოუცხადებლობის, არჩევნებისათვის უხერხულად შერჩეული დროის გამო და სხვ. ამით შესაძლებელი იქნება ყველა იმ საკითხების გაშუქება, რომელსაც აღძრავენ მშრომელნი კრებებზე.

დარჩენილი დრო გამოყენებული უნდა იქნეს საბჭოებისა და მათი დეპუტატების ანგარიშგებისათვის ყურადღებით მოსამზადებლად. ჩვენ დღემდე ერთგვარ გაუმჯობესებას მივაღწიეთ ხელისუფლების ორგანოების მასების წინაშე ანგარიშგების დარგში, მაგრამ დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაშია. მომავალ კამპანიაში შეიძლება და კიდევაც უნდა გაუმჯობესდეს ანგარიშგების საქმე.

მომავალ კამპანიაში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს მოსახლეობისათვის ნაბეჭდი ანგარიშგებისა და პლაკატების მიწოდებამ. ამ საქმეს უნდა მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება, სწორედ ისეთი, როგორც პრესის ჩაბმას ამ მუშაობაში.

სოფლად მასიური კამპანიების ჩატარების დროს ჩვენს დასაყრდენს ისევ ღარიბი გლეხობა წარმოადგენს. ღარიბი გლეხების მომზადება და მუშაობაში ჩაბმა, მათი მუშაობისათვის წესიერი ხელმძღვანელობის გაწევა პარტორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა. საარჩევნო მუშაობაში პარტიამ უნდა დარაზმოს და შეაკავშიროს სოფლის უღარიბესი ელემენტები, უნდა განამტკიცოს მათი კავშირი საშუალო გლეხობასთან, თავი მოუყაროს პარტიული და მთელი საბჭოთა აქტივის ძალებს. ამით ის მომაკვდინებელ ლახვარს ჩასცემს კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებს და გააქარწყლებს მათ ცდებს შეასუსტონ პროლეტარული დიქტატურა.

გადარჩევის კამპანიაში პარტია ისე შედის, რომ მას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური მშენებლობის ყველა დარგში. მაგრამ დიდია აგრეთვე ის სიძნელენი და წინააღმდეგობანი, რომლებიც ელობებიან ჩვენს ქვეყანას მისი განმტკიცებისა და ზრდის პროცესში.

პარტიას არ სჭირდება ამ სიძნელეთა და წინააღმდეგობათა დაფარვა, აგრეთვე ზოგიერთი ცალკე მარცხისა და მისი დაძლევის დაფარვა. პირიქით, ის სავსებით და ფართოდ გადაშლის მათ გადარჩევის კამპანიის დროს მუშათა კლასისა და გლეხობის წინაშე, რათა მათი ნებისყოფა და ენერგია მიმართოს სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გადასაჭრელად, რათა ახალ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ წაიყვანოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები.

„პრავდა“ 4 ოქტომბერი.

მაკდონალდის პარტია და განიარაღების საკითხი

მუშათა პარტიის ყრილობის რეზოლიუციაში ნახსენებიც კი არ არის განიარაღების საბჭ. პროექტი

მემარცხენე ფრთის დელეგატები განიარაღების საბჭ. პროექტს იცავენ

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

ლონდონი, 3 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ყრილობის 2 ოქტომბრის სხდომა უმთავრესად მოუნდა რეზოლიუციის განხილვას საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ფარისევლური რეზოლიუცია

რეზოლიუცია კმაყოფილებით აღნიშნავს კელოგის პაქტის მიღებას, სინანულს გამოსთქვამს სხვადასხვა მთავრობის მიერ გაკეთებული შენიშვნების გამო და აღნიშნავს იმ სერიოზულ პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრება ინგლისის მთავრობას, რადგან იგი უკვე 1924 წლიდან აფერხებდა მშვიდობიანობის საქმეს.

„ინგლისის მთავრობის დანაშაული ის არის,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—რომ მან გააქარწყლა მაკდონალდის და ერიოს უახლოესი მონაწილეობით შემუშავებული ჟენევის ოქმი საყოველთაო არბიტრაჟსა და მორიგების პროცედურის შესახებ, შეასუსტა კელოგის პაქტის მნიშვნელობა თავისი შენიშვნებით, ხელი არ მოაწერა არბიტრაჟისა და მორიგების პროცედურის იმ გენერალური აქტის არც ერთ ნაწილს, რომელიც ახლახან მოიწონა ერთა ლიგის კრებამ. ამ გარემოებამ ჩიხში მოამწყვდია მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, ჩაშალა სამი საზღვაო სახელმწიფოს (ინგლისის, ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების და იაპონიის) კონფერენცია; ინგლისის მთავრობამ რეაქციონური მოთხოვნილება წამოაყენა იმის შესახებ, რომ ინგლისს უფლება უნდა ჰქონდეს იყოლიოს 70 კრეისერი. ეს კიდევ ცოტაა: ამას მოჰყვა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმება, რამაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე. კეშენდენმა ინგლისი ისეთი სახელმწიფოს ნიმუშად დახატა, რომელიც ფართოდ ახორციელებს განიარაღებას, მაგრამ ინგლისის მთავრობის ყოველწლიური ხარჯები შეიარაღებულ ძალებზე აღემატება 114 მილიონ გირვანქა სტერლინგს“.

რეზოლიუცია მოუწოდებს მთავრობას უშენიშვნებოდ მოაწეროს ხელი ჟენევის აქტს არბიტრაჟისა და მორიგების პროცედურის შესახებ. რეზოლიუცია აცხადებს: კელოგის პაქტი გაგებულ უნდა იქნას პატიოსნურად, როგორც უარის თქმა ომზე, „გარდა იმ შემთხვევების, როდესაც შეიძლება საჭირო გახდეს იმ სანქციების გამოყენება, რომლებსაც ითვალისწინებს ერთა ლიგის წესდება“.

შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა გაბათილდეს. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია უნდა დაარსდეს უახლოეს ხანში, რათა შესაძლებელი გახდეს განიარაღების საყოველთაო კონფერენციის მოწვევა“.

მუშათა მთავრობა,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ გამოაქვეყნებს ყოველგვარ საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც არ გამოქვეყნებულა ან რომლის შესახებ ცნობებიც საკმაოდ ნათელი არ იყო. ასეთი შეთანხმების დატოვების საკითხი უნდა გადაწყვიტოს თემთა პალატამ.

დასასრულ რეზოლიუცია მოითხოვს რეინის ოლქის დაუყოვნებლივსა და სრულს ევაკუაციას.

მაკდონალდის თვითრეკლამა

რეზოლიუცია საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ შეიტანა მაკდონალდმა, რომელმაც განაცხადა:

„1906—1914 წლების ისტორია მეორდება. 1924 წლიდან ინგლისის წარმომადგენლები ჟენევაში აფერხებენ მშვიდობიანობის საქმეს. მუშათა პარტიის თვალსაზრისი ის არის, რომ განიარაღება განუყოფელია უშიშროების არბიტრაჟისაგან“.

მაკდონალდი შეეხო ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებას და აღნიშნა, რომ ვის ხასიათს განსაზღვრავს ომის აუცილებლობის თვალსაზრისი.

„ინგლისის საგარეო პოლიტიკა,—სთქვა ბოლოს მაკდონალდმა,—ახალ ორიენტაციას უნდა დაადგეს. არც საფრანგეთისათვის, არც ინგლისისათვის სასარგებლო არ იქნება რამე კავშირის აღდგენა მათ შორის. მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა იმ პოზიციის დაბრუნება, რომელსაც დაადგა მუშათა მთავრობა 1924 წელს“.

როგორც მემარცხენე მუშათა წრეებში აღნიშნავენ, **მაკდონალდის მთელ განცხადებას თავის ქების ხასიათი ჰქონდა.** დამახასიათებელია, რომ, **როდესაც მაკდონალდი თავის თავს არ აქებდა, ის კონსერვატიული მთავრობის საგარეო პოლიტიკის კრიტიკის დროს გულმოდგინეთ იზიარებდა იმ ბურჟუაზიული პრესის აზრს, რომელიც აკრიტიკებდა ბოლდუინის საგარეო პოლიტიკას.** მეტისმეტად დამახასიათებელია, რომ მაკდონალდი ძალიან გაურბოდა საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის საკითხის აღძვრას. მუშათა მემარცხენე წრეებში აღნიშნავენ აგრეთვე იმ სიყალბეს, რომელიც გაისმოდა მაკდონალდის განცხადებაში განიარაღების შესახებ, რადგან თავის დროზე მუშათა მთავრობამაც გამოიტანა დადგენილება ახალი ხუთი კრეისერის აგების შესახებ.

მაკდონალდის მიერ შეტანილი რეზოლიუციის დასაცავად გამოვიდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიისა და პარლამენტის წევრი **მოსლი**, რომელმაც განაცხადა:

„ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკამ შექმნა ეჭვიანობის ატმოსფერა და ომის საფრთხე ინგლისურად მოლაპარაკე ერთა შორის. ამერიკა ხურავს ომის საპარადო კარს, მაგრამ ინგლისის გარშემო უვლის და უკანა კარს აღებს“.

განიარაღების საბჭოთა პროექტის დასაცავად

შემდეგ რეზოლიუციის წინააღმდეგ გამოვიდა **მოსკოვიჩი** (მკერავთა წარმომადგენელი). ხმაურობასა და ყვირილში, რაც ლაპარაკს უშლიდა, მოსკოვიჩმა განაცხადა, რომ ის რეზოლიუციის წინააღმდეგია, რადგან მთელი მსოფლიოს მუშები ელიან იმ დროს, როცა ინგლისელი მუშები წინ გაუძღვებიან მათ და ნამდვილ განიარაღებას განახორციელებენო. ეს განცხადება ხმამაღალ სიცილს იწვევს. შემდეგ ორატორმა ჩამოსთვალა საბჭოთა პროექტის მთავარი მუხლები და ყრილობას მოაგონა, რომ ამ წინადადებათა დადებითი მნიშვნელობა აღიარა დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ და ყრილობის თავმჯდომარემ ლენსბერიმ.

„**მაკდონალდისა და მოსლის სიტყვებში ადასტურებენ**,—ამბობს მოსკოვიჩი,—**რომ რეზოლიუციის ყველა განცხადება მხოლოდ და მხოლოდ ფარსია.** ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, განცხადება ეროვნული სახელის შესახებ მხოლოდ თვალთმაქცური სისულელეა (ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ). ფინანსიური წრეები წინააღუდგებიან განიარაღებას. **კელოგის პაქტი მხოლოდ იმის საბაბია, რომ უარყონ საბჭოთა გეგმა და ჩააჩუმონ მუშათა პროტესტი** (ორატორს ისევ აწყვეტინებენ სიტყვას). შემოტანილი რეზოლიუცია და წინადადებანი არ განსხვავდებიან სხვა ქვეყნების სოც.-დემოკრატთა პროექტებიდან. **მე-2 ინტერნაციონალის თვალთმაქცობის საუცხოვო ილიუსტრაციას წარმოადგენს სოციალისტის პოლ ბონკურის გამოსვლა საფრანგეთის მთავრობის დასაცავად** გერმანიის იმ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ, რომლებიც შეეხებიან რეინის ოლქის ევაკუაციას. მუშათა პარტიის ლიდერები კაპიტალიზმის აგენტების ამოცანას ასრულებენ, რაკი „მთავრობის მოქმედებას იცავენ“.

ამ სიტყვებზე წარმოუდგენელი ხმაურობა ასტყდა. ლენსბერმა აუდიტორიის დაწყნარების დროს განაცხადა, რომ დემოკრატიის მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ მეორე მხარესაც მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალებაო.

მოსკოვიჩმა სიტყვა განაგრძო და განაცხადა, რომ საყოველთაო არჩევნების დროს მოწოდებით უნდა მივმართოთ ამომრჩევლებს; მოწოდებას საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ.

„თვითეული კაპიტალისტური ქვეყანა,—სთქვა მოსკოვიჩმა,—ომის ახალ მეთოდებს იგონებს“ (ორატორს კვლავ აწყვეტინებენ სიტყვას).

„როდესაც სახელმოხვეჭილი ორატორი ლაპარაკობს, მას მოთმინებით და ყურადღებით უსმენენ, ნაკლებათ ცნობილ ორატორებს კი ლაპარაკის საშუალებას არ აძლევენო“,—შენიშნა მოსკოვიჩმა.

ხმაურობა გრძელდება და შეუძლებელი ხდება სიტყვის განგრძობა. დასასრულ მოსკოვიჩმა წამოიძახა:

„**ეს რეზოლიუცია თვალთმაქცობაა**“, და ტრიბუნა დასტოვა.

ბევრმა დელეგატებმა ტაში დაუკრა მოსკოვიჩს.

ყოფ. ლიბერალი ვეჯვუდი კეშენდენის შესახებ

შემდეგ რეზოლიუციის დასაცავად გამოვიდა ყოფილი ლიბერალი, ახლა კი მუშათა პარტიის წევრი ვეჯვუდი. მან სთქვა:

„**ინგლისის მთავრობამ ამოირჩია კაბინეტის ყველაზე სულელი წევრი** და **გაგზავნა ჟენევაში** განიარაღების საკითხების განსახილველად ადმირალებთან ერთად. ეს იმას ნიშნავს, რომ მარხვის შენახვის საკითხების განსახილველად შექმნა კომიტეტი ყასბებისაგან“.

გოსლიპის გამოსვლა

სხვადასხვა დელეგატი, მათ შორის უმცირესობის მოძრაობის ლიდერი **გოსლიპი**, **რეზოლიუციის წინააღმდეგ გამოვიდა.**

ლიდი სლაიტონის სიტყვა

მუშათა პარტიის ორგანიზაციის დელეგატმა ქალმა **ლიდი სლაიტონმა** განაცხადა:

„ის ფაქტი, რომ რეზოლიუცია არ შეიცავს საბჭოთა წინადადებებს, მოწმობს, რომ შესრულებული არ არის დედების სურვილი: დედები მოითხოვენ ისეთ რეზოლიუციას, რომელიც მიიზიდავს მთელი მსოფლიოს მუშათა ყურადღებას“.

ომის საფრთხე რეალურია

კენვორტი რეზოლიუციის დასაცავად გამოვიდა და მან აღნიშნა **ომის საფრთხე ინგლისსა და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აგრეთვე საფრანგეთსა და იტალიას შორის.** მან სთქვა, რომ **ეს საფრთხე ისევე დიდია, როგორც ინგლისისა და გერმანიის ომის საფრთხე 1914 წლის** ომის დაწყების წინა ხანებშიო.

მაკდონალდის საბოლოო სიტყვა

მაკდონალდმა საბოლოო სიტყვაში განაცხადა:

„ჩვენ ჯერ ევროპის პატრონები არა ვართ და არ შეგვიძლია ვუბრძანოთ სახელმწიფოებს—განიარაღდითო. თქვენ შეგიძლიათ რეზოლიუცია გამოიტანოთ საყოველთაო განიარაღების შესახებ და ჩვენ მას მხარს დავუჭერთ. მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე ეს პრობლემა არ იდგმება. მის წინაშე იქნება პრობლემა—მოახერხოს შეთანხმება, რომელიც ნამდვილ ეტაპად გადაიქცევა განიარაღებისთვის.“

რეზოლიუციის მიღება

რეზოლიუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ თითქმის ერთხმად იქნა მიღებული.

კამათი პარტიის აღმასკომის ანგარიშის გარშემო

ლონდონი, 3 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ყრილობაზე დელეგატმა **ბროუნმა** გააკეთა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ანგარიში. ბროუნმა გაიხსენა ზინოვიევის წერილის ისტორია და რწმენა გამოსთქვა, რომ ყალბი საბუთი დაამზადა ინგლისის საიდუმლო განყოფილებამ. ამასთანავე ბროუნმა აღნიშნა, რომ მუშათა მთავრობამ თვითონ გადასდო ფული ამ მიზნისათვის.

საპარლამენტო ფრაქციის დასაცავად გამოვიდა კლაინსი.

ყრილობამ არ შეიწყნარა რეზოლიუცია საპარლამენტო ფრაქციის ანგარიშის უარყოფის შესახებ. (ადს).

1000 დელეგატი

ლონდონი, 3 ოქტომბერი. ბირმინგამში მუშათა პარტიის ყრილობას ესწრება 1.000 დელეგატი—პარტიის 3.250.000 წევრის წარმომადგენელი. (ადს).

მექსტონის წერილი მუშათა ყრილობას

ლონდონი, 3 ოქტომბერი. ანტი-იმპერიალისტური ლიგის ინგლისური სექციის თავმჯდომარემ მექსტონმა წერილი გაუგზავნა მუშ. პარტიის ყრილობის დელეგატებს. იგი ურჩევს მათ—უარჰყონ მუშათა პარტიის საარჩევნო პლატფორმის პროექტის ყველა მუხლი, რომელიც ავალებს მუშათა პარტიას—მხარი დაუჭიროს იმპერიალისტურ სისტემასო. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მოწოდება

პრაღა, 3 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება. ამ მოწოდებაში კომიტეტი **დასაბუთებულად აღიარებს იმ საყვედურებს, რომლებსაც შეიცავდა კომინტერნის აღმასკომის ამას წინად გამოქვეყნებული წერილი.** მოწოდება აღიარებს, რომ პარტიის ოპორტუნისტულმა ტენდენციებმა და წითელი დღის ჩაშლამ გამოიწვიეს პარტიის კრიზისი, რომელიც უფრო მეტად გაღრმავდა პარტიის მემარჯვენე ელემენტებს გავლენის გამო. მოწოდება აღნიშნავს, რომ გათიშვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ახალი ორიენტაცია. (ადს).

კელოგის პაქტი და საბჭ. კავშირი

ვაშინგტონი, 3 ოქტომბერი. საფრანგეთის საელჩომ 29 ოქტომბერს მიიღო ნოტა, რომლითაც საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტს უერთდება. **2 ოქტომბერს ნოტა შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცა.** არავითარ განმარტებას არ იძლევიან ნოტის შეგვიანების შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის აქტი შეერთების შესახებ სენატს წარედგინება რატიფიკაციისთვისაო.

ამ ცნობის გამო გაზეთები კვლავ კითხულობენ— სენატის მიერ საბჭოთა კავშირის აქტის (შეერთების შესახებ) რატიფიკაცია ნიშნავს თუ არა საბჭოთა კავშირის ცნობასო. სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ რატიფიკაცია ცნობას არ ნიშნავსო.

ჯერ-ჯერობით ხელშეკრულებას შეუერთდნენ მხოლოდ პერუ, რუმინეთი, ლიბერია და საბჭოთა კავშირი. მათ საკანონმდებლო წესით უკვე მოახდინეს თავიანთი შეერთების რატიფიკაცია. სხვა სახელმწიფოებმა მხოლოდ აცნობეს— თანახმა ვართ შევუერთდეთო. (ადს)

გერმანიის კომპარტიის გაძლიერება

ბერლინი, 3 ოქტომბერი. უკანასკნელ დროს გაიზარდა კომპარტიაში შემსვლელთა რიცხვი. **ბერლინ-ბრანდებურგის ოლქის ორგანიზაციაში 1928 წლის იანვრიდან 8.849 კაცი შევიდა.** (ადს).

მღელვარება სირიაში

ვენა, 3 ოქტომბერი. აქ მიღებული ცნობების თანახმად, **დამასკის მახლობლად ისევ მღელვარებაა.** აჯანყებულმა ძმებმა კატატებმა შეადგინეს რაზმი, რომელიც გამოვიდა გზუტას დაბლობში მცხოვრებ ტომთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის ჯარმა აჯანყებულთ ალყა შემოარტყა, მაგრამ რაზმი მაინც გაუსხლტა (ადს).

ვენიზელოსის გეგმები

ლონდონი, 3 ოქტომბერი. საქმის მცოდნე წრეების აზრით, პარიზსა და ლონდონში ვენიზელოსის გამგზავრების მიზანია მიაღწიოს იმას, რომ მხარი დაუჭირონ საბერძნეთის პრეტენზიებს დოდეკანეზზე. სამაგიეროდ ვენიზელოსი დაჰპირდება — ხელი შეუწყოს ინგლის-საფრანგეთის გეგმებს ბალკანეთზე და შეუერთდეს ანტისაბჭოთა ბლოკს. (ადს).

ვოიცეხოვსკის საქმე

ვარშავა, 3 ოქტომბერი. დამთავრდა ვოიცეხოვსკის საქმის გამოძიება. ვოიცეხოვსკი, როგორც ვიცით, თავს დაესხა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელს ვარშავაში ლიზარევს. ვოიცეხოვსკის საქმე გაირჩევა ვარშავის საოლქო სასამართლოში ნოემბრის პირველ რიცხვებში. ვოიცეხოვსკის ჰბრალდება თავდასხმა უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელზე. გამოწვეულია 20 მოწმე. დამცველად გამოვა ბოლშევიზმთან მებრძოლი ლიგის თავმჯდომარე ვექილი ნეძალსკი. (ადს).

დღეს ლენინგრადში ბრუნდება „კრასინი“

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს, თითქმის 4 თვის პოლიარული მოგზაურობის შემდეგ ლენინგრადში ბრუნდება „კრასინი“. მისი მოგზაურობა გაუგონარ მაგალითს წარმოადგენს ზღვაოსნობის ისტორიაში.

„კრასინი“ აგებულია 1916 წელს ინგლისში არმსტრონგის გემთსაშენში. მისი წყალწყვა უდრის 11.000 ტონას. აქვს სამი მანქანა 10.500 ცხენის ძალის. სისწრაფე — 12-14 კვანძი. ყინულისმჭრელის პირადი შემადგენლობა 136 კაცით განისაზღვრება. „კრასინი“ უძლიერესი ყინულის მჭრელია მსოფლიოში. 1917 წლიდან 1920 წლამდე ის იყო ინგლისში, სადაც ინტერვენციის დროს გაიტაცეს. 1920 წელს „კრასინი“ ლენინგრადის ნავთსადგურში დაბრუნდა და მას შემდეგ არაერთხელ იღებდა მონაწილეობას ლენინგრადის ნავთსადგურის ყინულის ჭრის კამპანიაში.

„კრასინის“ ექსპედიციის უფროსი პროფესორი **სამოილოვიჩი** დაიბადა 1881 წელს ქ. აზოვში, დაამთავრა სამთო აკადემია ფრეიბერგში (გერმანია). 1904 წელს დაბრუნდა რუსეთში, მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში, არაერთხელ იჯდა საპყრობილეში; როსტოვიდან ის გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც გაიქცა პეტერბურგში, შევიდა ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციაში, ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა არალეგალურად და 1908 წელს ისევ გადასახლებულ იქნა არხანგელსკის გუბერნიაში სამი წლის ვადით. 1911 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა შპიცბერგენზე გაგზავნილ ექსპედიციაში. 1912 წელს ხელახლა მიიღო მონაწილეობა შპიცბერგენის ექსპედიციაში რუსანოვთან ერთად და აღმოაჩინა ქვანახშირის მადანი აისფიორდში, შემდეგი სამი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს აწყობდა ექსპედიციებს შპიცბერგენზე ქვანახშირის საძიებლად. 1918 წელს დააარსა ჩრდილოეთის შემსწავლელი კომისია. ეს კომისია 1924 წელს გადაკეთდა ჩრდილოეთის შემსწავლელ ინსტიტუტად, რომლის დირექტორად ამჟამად პროფ. სამოილოვიჩია. 1921 წლიდან 1927 წლამდე პროფესორი სამოილოვიჩი ხელმძღვანელობდა ექვს ექსპედიციას შპიცბერგენზე. ის არის საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიისა და რუსეთის სახელმწიფო გეოგრაფიული საზოგადოების მუდმივი პოლიარული კომისიის სრულუფლებიანი წევრი, არქტიკის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, აქვს დაბეჭდილი შრომები რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

მფრინავი **ჩუხნოვსკი** დაიბადა 1898 წელს. 1916 წელს გატჩინის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოხალისედ შევიდა სამხედრო საზღვაო კორპუსში. 1917 წელს საზღვაო კორპუსის რაზმით გაილაშქრა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ და გადავიდა სამსახურში საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. იმავე წელს დაამთავრა საზღვაო ავიაციის სკოლა. 1918 წელს დაინიშნა ორანიენბაუმის საზღვაო საჰაერო დივიზიონის უფროსად და ივლისში წარმატებით დაამთავრა საჰაერო ბრძოლის მფრინავთა სკოლა. 1919 წელს სამოქალაქო ომის ფრონტზე მუშაობდა მფრინავად კასპიის სამხედრო ფლოტის ჰიდრო-რაზმში. 1920 წელს დაინიშნა ვოლგის სამხედრო ფლოტის პირველი ჰიდრო-რაზმის უფროსად და იმავე წელს დაინიშნა კასპიის ზღვის საზღვაო ავიაციის უფროსად. სამოქალაქო ომის დროს აზოვის ზღვაზე მუშაობდა მფრინავად და აგრეთვე აზოვის ზღვის საჰაერო დივიზიონის ჰიდრო-რაზმის უფროსად. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შეუდგა სწავლას და 1923 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის საზღვაო აკადემიის მსმენელად. 1924 და აგრეთვე 1925 წელს აკადემიის მივლინებით მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთის ჰიდროგრაფიულ სამეცნიერო ექსპედიციაში და გადაფრინდა ახალ მიწაზე. 1927 წელს ჩუხნოვსკი მსახურობდა შავი ზღვის ერთ ერთ სამხედრო ესკადრილიაში.

„კრასინის“ კომანდირი **ეგგი** დაიბადა ლიფლიანდიის გუბერნიაში 1893 წელს გლეხის ოჯახში, დაამთავრა სოფლის სკოლა და დაწყებითი სასწავლებელი არენსბურგში. 1907 წელს შევიდა არენსბურგის მოსამზადებელ საზღვაო სკოლაში. 1908 წლის გაზაფხულზე მეზღვაურად დადგა იალქნიან ხომალდზე. შემდეგ კი სასწავლებელში დაბრუნდა. 1911 წლის გაზაფხულზე დაამთავრა მოსამზადებელი სკოლა და იმავე წელს მეზღვაურად იყო გემზე. 1915 წელს გაიგზავნა მთავარი საზღვაო შტაბის განკარგულებაში ლენინგრადში, იქიდან კი არხანგელსკში, ფლოტში. 1920 წელს მონაწილეობას იღებდა კარის ექსპედიციაში, როგორც ფლაგმანის შტურმანი. შემდეგ გადაყვანილ იქნა ყინულისმჭრელ „სედოვ“-ის უფროსის მეორე თანაშემწედ. 1920 წელს დაინიშნა ყინულის მჭრელ „ლენინ“-ის უფროსის უფროს თანაშემწედ, შემდეგ კი იმავე თანამდებობაზე „კრასინ“-ზე. 1926 წლის ივლისში დაინიშნა ყინულის მჭრელ „ლენინ“-ის უფროსად, ხოლო 1928 წლის 13 ივნისიდან „კრასინ“-ის უფროსად ნობილეს ექსპედიციისათვის დახმარების აღმოსაჩენად. (ადს).



ყინულის მჭრელი „კრასინი“

მარჯვნივ ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. სამოილოვიჩი, მარცხნივ— მფრინავი ჩუხნოვსკი

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაზ. „გერმანია“ ჩინეთის ახალ ორიენტაციის შესახებ

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ა. კაიტი გადმოგვცემს შემდეგს:

ცენტრის ორგანოს გაზეთი „გერმანია“-ს ბეჭდავს ჟენევაში მყოფ იტალიელ ჟურნალისტის ვასსის ცნობას ჩინეთის ახალ პოლიტიკურ ორიენტაციის შესახებ. ვასსის მჭიდრო კავშირი აქვს ჩინეთის დიპლომატებთან ჟენევაში.

როგორც ვასსი იტყობინება, ჩინეთი ახლო მომავალში გამოვა ერთა ლიგიდან. თავის ასეთ ნაბიჯს ჩინეთი დაასაბუთებს იმით, რომ ერთა ლიგაში წარმოდგენილი არ არიან ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა საბჭოთა კავშირი და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები.

ვასსის აზრით ჩინეთის ერთა ლიგიდან გასვლა, დიდ ცვლილებებს გამოიწვევს ძალთა საერთაშორისო ურთიერთობაში. ჩინეთი ეხლაც უკვე შეიძლება ჩაითვალოს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მოკავშირე ძალად. მომავალში განზრახულია მოხდეს დაახლოება საბჭოთა კავშირსა, ამერიკასა და ჩინეთს შორის. ძალთა ასეთი განწყობილება სერიოზულად შესცვლის ურთიერთობას შორეულ აღმოსავლეთში.

რეფორმისტები თავის თავს არ ღალატობენ

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. გაზეთ „პრავდა“-ს პარიზელი კორესპონდენტი გაბრიელ პერი გადმოგვცემს:

გაფიცულ ფეიქრებს ემატება ახალ-ახალი რაზმები. მთელ რიგ სამრეწველო პუნქტებში მუშები მასიურად სტოვებენ ქარხნებს. რეფორმისტებმა გამოკიდეს პლაკატები, რომლებშიაც მოუწოდებენ მუშებს, არ აიღონ ხელი მუშაობაზე. იმ მიზნით, რომ გაფიცულთა აღელვებულ მასებმა არ დაახრიწონ მენშევიკების სამარცხვინო პლაკატები პლაკატებს იცავს პოლიცია და ჟანდარმერია.

„კრასინმა“ გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც შეეძლო ადამიანს

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. „კრასინ“-ის დაბრუნების გამო იტალიის რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ბ-ნ კავარონიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

იტალიის მთავრობა და ხალხი იმ აზრისაა, რომ „კრასინმა“ გააკეთა ყოველივე, რაც კი შეეძლო გაეკეთებია ადამიანს.

დეფექტები ბაქო-ბათომის ნავთსადენის მშენებლობაში

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცნობით ბაქო-ბათომის ნავთსადენის მშენებლობის გამოკვლევამ გამოააშკარავა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დეფექტები.

ხარჯები გადადებულია ორი მილიონ 243 ათასი მანეთით. მარტო უხეირო პროექტების შედგენაზე დახარჯულია 500 ათასი მანეთი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აზრით ბაქო-ბათომის ნავთსადენის აგება დასრულებული იქნება არა უადრევეს 1929 წლის იანვრისა.

70 მაიმუნი ენდოკრინოლოგიურ ინსტიტუტისათვის

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. ბერლინში და პარიზში შეძენილია 70 მაიმუნი სოხუმის ენდოკრინოლოგიური ინსტიტუტისათვის. მაიმუნები ამ დღეებში ჩამოყვანილ იქნება სოხუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

პლებისციტისათვის მზადება გერმანიაში

ბერლინი, 3 ოქტომბერი. ბევრ მონაწილეს იზიდავენ ის მიტინგები, რომლებსაც აწყობს ჯავშნოსანის აგების საკითხის გამოსარკვევი პლებისციტის მოსამზადებელი კომიტეტი. 2 ოქტომბერს ბერლინში გაიმართა 19 კრება. კრებებზე მიღებულია რეზოლიუციები საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ. გარდა ამისა, გაიმართა ბერლინის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფერენცია. კონფერენციაზე გამოვიდნენ პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი კომუნისტი **შულცი** და დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის ლიდერი მოხუცი **ლედებური**. ფრონტელების წითელი კავშირი მოუწოდებს ყველა თავის წევრს—გააძლიერონ აგიტაცია საყოველთაო კენჭის ყრის მოწყობის სასარგებლოდ. (ადს).

გაფიცვები საფრანგეთში

პარიზი, 4 ოქტომბერი. „იუმანიტეს“ ცნობით, ლილის გაფიცულებს უერთდებიან ახალ-ახალი ფაბრიკები. ტურკუენსა და რუბეში, უნიტარული კავშირების მოღვაწეთა გამოსვლის შემდეგ, მიღებულია რეზოლიუციები იმის შესახებ, რომ 5 ოქტომბერს გამოცხადდეს ფეიქართა საყოველთაო გაფიცვა. საგაფიცვო ფონდში მოგროვდა 88.000 ფრანკი.

საფოსტო საქმის მდგომარეობა ჩინეთში

პეკინი, 4 ოქტომბერი. ტიანცზინიდან იუწყებიან: ფოსტის მუშა-მოსამსახურეთა კავშირმა გადასწყვიტა მიჰბაძოს პეკინის კავშირს და გადასდოს გაფიცვა სამი დღის ვადით, ვიდრე საფოსტო სამმართველო არ განიხილავს მათ მოთხოვნილებას. იაპონიის ელჩმა იოსიზავამ მოხსენება გაუკეთა დიპლომატიურ კორპუს იაპონიის მისიის გაზეთის „შუნ-ტიან-ში-ბაოს“ საქმის შესახებ, რომელსაც საფოსტო სამმართველო სხვა ქალაქებში არ გზავნის. იოსიზავა აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის კონფერენციამ გააუქმა უცხოეთის ფოსტა ჩინეთში იმ იმედით, რომ ჩინელები მოახერხებდნენ ფოსტის საქმის მოწესრიგებას. იოსიზავას აზრით, „შუნ-ტიან-ში-ბაოს“ ინციდენტი ამტკიცებს, რომ ეს ასე არ არის. ადს).

ლოძის გაფიცვის შესახებ

ვარშავა, 3 ოქტომბერი. ლოძის მრეწველებმა არ შეიწყნარეს ფეიქართა მოთხოვნა სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ. მახლობელ დღეებში გადასწყდება საკითხი გაფიცვის შესახებ.

ვარშავის გაზეთების სიტყვით, პრემიერ ბარტელს სურს წინადადება მისცეს მხარეებს — მთავრობამ გადასწყვიტოს საკითხი. (ადს).

ამხ. სტალინის დაბრუნება შვებულებიდან

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს ამხ. სტალინი შვებულებიდან დაბრუნდა მოსკოვში და შეუდგა თავის მოვალეობათა ასრულებას. (ადს).

პოლიციელთა რაზმის დახმარებით

ვენა, 3 ოქტომბერი. ქვემო ავსტრიის საოლქო მთავრობამ გადასწყვიტა, გაუქმებულ იქნეს სოციალ-დემოკრატების პროცესიის აკრძალვა, თუ შეთანხმება მოხდება სოციალ-დემოკრატების პროცესიასა და ფაშისტური თავდაცვის ორგანიზაციის პარადს შორის ხაზის გავლების შესახებ. ამის შემდეგ დაიწყო საოლქო მთავრობის მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებთან იმის შესახებ, რომ ორივე პროცესიას შორის სადემარკაციო ხაზი გავლოს პოლიციელთა რაზმის დახმარებით.

ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხზე

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის უკანასკნელი ცნობებით საბჭოთა კავშირში გასაღდა 858.800.000 მანეთის ობლიგაციები. (ადს).

„კრასინის“ ექსპედიციის ხელმძღვანელთა მოხსენებანი

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. 6 ოქტომბერს „კრასინის“ ექსპედიციის მონაწილენი ლენინგრადიდან მოსკოვში ჩავლენ. 8 ოქტომბერს დიდ თეატრში გაიმართება ავიაქიმის მოსკოვის აქტივის საზეიმო სხდომა, რომელზედაც „კრასინის“ ექსპედიციის ხელმძღვანელები მოხსენებებს გააკეთებენ ექსპედიციის შესახებ.

საკავშირო თათბირი საარჩევნო კამპანიისათვის

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. 5 ოქტომბრიდან 9 ნოემბრისათვის გადაიდო საკავშირო თათბირი მომავალი საარჩევნო კამპანიის საკითხების შესახებ. (ადს).

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურორის უფროსი თანაშემწის დანიშვნა

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა გაანთავისუფლა ამხ. **პავლოვსკი** საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურორის უფროსი თანაშემწის მოვალეობისაგან და მის ნაცვლად დანიშნა ამხ. **ლანდი**. (ადს).

ამერიკა და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება

ინგლისი გაურბის დოკუმენტების გამოქვეყნებას

ლონდონი, 3 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფი“ მაკდონალდის გამოსვლას მუშათა პარტიის ყრილობაზე ბირმინგამში უკავშირებს იმ ცნობას, რომლის თანახმადაც საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა— გადასდგას ნაბიჯები ინგლისის მთავრობის წინაშე იმ მიზნით, რომ გამოქვეყნებულ იქნას ყველა ის საბუთი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის კომპრომისს ეხება.

გაზეთის სიტყვით, ინგლისის ოფიციალურ წრეებს არ ეტყობათ, რომ ისინი ამის საჭიროებას გრძნობდნენ.

„დეილი ჰერალდი სწერს, რომ ინგლისის პოლიტიკას ორმაგი ანტაგონიზმი ახასიათებს: პირველი— მტრობა საბჭოთა კავშირისადმი, რაც ნაწილობრივ აიხსნება საბჭოთა კავშირის გავლენის გაძლიერებით აზიაში, და მეორე— სავაჭრო კონკურენციაზე დამყარებული ანტაგონიზმი შეერთებულ შტატებთან,— ანტაგონიზმი, რომელიც წლითი-წლობით მწვავდება. გაზეთი მოითხოვს— გადაჭრით შეიცვალოს ინგლისის საგარეო პოლიტიკის მიმართულება და პრაქტიკა. (ადს)

პარიზი, 3 ოქტომბერი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისი წინააღმდეგია ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ტექსტის გამოქვეყნებისა, სანამ მიღებული არ იქნება იტალიისა და იაპონიის საბოლოო პასუხები. საფრანგეთი კი იმის მომხრეა, რომ ტექსტი რაც შეიძლება მალე გამოქვეყნდეს, „რათა გაფანტულ იქნას ყოველივე გაუგებრობა ვაშინგტონთან“.

„პტი ჟურნალ“-ის ცნობებით, საფრანგეთის ელჩს ლონდონში დაევალა ახალი ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით. მთავრობის პრესა აღნიშნავს ინგლისის გადამწყვეტ მნიშვნელობას შეერთებულ შტატებთან აღძრულ დავაში, მაგრამ ამავე დროს იცავს ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის შეთანხმების ძირითად დებულებებს.

ამერიკა წინააღმდეგია

ვაშინგტონი, 3 ოქტომბერი. პუანკარეს იმ განცხადების გამო, რომელიც შეეხებოდა გერმანიის რეპარაციების საკითხის დაკავშირებას მოკავშირეთა ვალების საკითხთან, მთავრობის წრეებში გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ამ ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებას. (ადს)

გერმანია და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება

პარიზი, 4 ოქტომბერი. პარიზის გაზეთების ლონდონელი კორესპონდენტი დაჟინებით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობს დაითანხმოს ინგლისი შეთანხმების გამოქვეყნებაზე, ხოლო ინგლისის მთავრობა ეწინააღმდეგება ამას სხვადასხვა მიზეზით. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ლონდონთან მოლაპარაკება მეგობრულ ატმოსფერაში მიმდინარეობს, მაგრამ შეთანხმების გამოქვეყნების ვადა ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

საფრანგეთ-გერმანიის მომავალი მოლაპარაკების შესახებ „იუმანიტე“ სწერს: „ჩვენს თვალწინ იშლება იმ პოლიტიკის შედეგები, რომელიც ჟენევაში ბრიანმა ჩამოაყალიბა ინგლისის დახმარებით. რასაკვირველია, ინგლისის მიზანი ის არის, რომ გერმანია ჩააბას მთლიან ფრონტში, რომელიც ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ შექმნა შეერთებული შტატებისა და მეტადრე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უახლოეს დღეებში ჩვენ იმისი მოწმენი ვიქნებით, რომ საფრანგეთის იმპერიალიზმი გააძლიერებს ზემოქმედებას ბერლინზე იმ მიზნით, რომ გერმანია ჩააბას ჯვაროსნულ ლაშქრობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის საშუალებას საფრანგეთის იმპერიალიზმს მომავალი მოლაპარაკება მისცემს. (ადს).

ინგლისისა და საფრანგეთის საავიაციო შეთანხმება

ლონდონი, 3 ოქტომბერი. „სენდეი უორკერ“-ის დიპლომატიური მიმომხილველი, რომელიც აუტპოსტის ფსევდონიმით სწერს, გადაჭრით ამტკიცებს, რომ ინგლის-საფრანგეთს შორის არსებობს საავიაციო შეთანხმება, თუმცა შესაძლოა, ეს შეთანხმება დოკუმენტში არ იყოს აღნიშნული. „ომი, რომლისთვის ემზადება ინგლისისა და საფრანგეთის ავიაცია,— სწერს აუტპოსტი,—იქნება არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი. ისინი ემზადებიან საომრად არა ლონდონის ზევით და არა მის მიდამოებზე, არამედ დიდ სიშორეზე“. ამის დასამტკიცებლად აუტპოსტი აღნიშნავს, რომ ინგლისის ავიაციის განკარგულებაშია თვითმფრინავები, რომლებიც გამოსადეგნი არიან შორ მანძილზე გადაფრენისათვის 2—3 დღე-ღამის განმავლობაში. (ადს)

უნდათ კაშენი მოიშორონ დეპუტატთა პალატიდან

პარიზი, 3 ოქტომბერი. გაზეთი „გოლუა“ იუწყება, რომ პალატის თავმჯდომარე ბუისონი და პალატის ბიურო ამჟამად იხილავენ საკითხს იმის შესახებ—შეუძლიან თუ არა კაშენს განაგრძოს დეპუტატის ფუნქციების შესრულება. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-21 მუხლში სწერია: ფრანგი, რომელიც რესპუბლიკის ნებართვის გარეშე, შევიდა უცხოეთის სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, ან რომელმაც კავშირი დაიჭირა უცხოეთის რომელიმე სამხედრო კორპორაციასთან, ჰკარგავს საფრანგეთის მოქალაქეობრიობას. მას არ შეუძლია შემოიდეს საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვის გარეშე.

„გოლუა“ დამტკიცებულად სთვლის კაშენის არჩევას წითელი რუსეთის საპატიო ჯარისკაცად, რაც, გაზეთის აზრით, ნიშნავს „უცხოეთის სამხედრო კორპორაციასთან კავშირს“ და რის გამოც კაშენი ჰკარგავს საფრანგეთის მოქალაქეობრიობას და მით უმეტეს დეპუტატად ყოფნის უფლებას. (ადს).

საფრანგეთის ფეიქართა გაფიცვა

რეფორმისტები გაფიცვის წინააღმდეგ

პარიზი, 3 ოქტომბერი. ფეიქართა უნიტარული კავშირის მიერ ლილში გამოცხადებული საყოველთაო გაფიცვა, ბურჟუაზიული პრესის ცნობების თანახმად, მოიცავს 11 ფაბრიკას (67 ფაბრიკიდან) და სულ 1500 მუშას (20.000 მუშიდან). რეფორმისტები განაგრძობენ ბრძოლას გაფიცვის წინააღმდეგ, ხევენ უნიტარული კავშირების პლაკატებს და განცხადებებს საყოველთაო გაფიცვის შესახებ. შრომის უნიტარული კონფედერაცია მოუწოდებს მუშებს—შემოიღონ თვითდაზღვევა, „გაფიცულების გადასახადი“ სახელწოდებით, ორი ფრანკის რაოდენობით კვირაში „კონფლიქტის“ დამთავრებამდე.

[illegible] საფრანგეთის სექციამ და მუშების სხვა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს მოწოდება გაფიცულებისათვის მორალური და მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ. შრომის მინისტრმა ლუშერმა მოხსენება წარუდგინა მინისტრთა საბჭოს გაფიცვის შესახებ, თანაც „კოტიდიენ“-ის სიტყვით, აცნობა, რომ „შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია პოლიციის ძალებით“. „ჟურნალ“-ის ცნობებით, ლუშერმა განაცხადა: რადგან დამქირავებლები, რომლებიც მოლაპარაკებაზე უარს აცხადებენ, მუშათა მასებს თვალში სახელს უტეხენ შრომის რეფორმისტულ ფედერაციას, ამიტომ იგი, ჟუოსთან (შრომის საყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომარე), მოლაპარაკების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მომავალში ამის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა კანონი, რომელიც სავალდებულოდ გახდის არბიტრაჟს. ასეთ კანონს საფუძვლად უნდა დაედოს არბიტრაჟის ის პროექტი, რომელიც მიიღო ფედერაციის აღმასკომმა ჟუოს წინადადებით“.

ავსტრიის ფაშიზმი ძალებს იკრებს

ვენა, 3 ოქტომბერი. სოციალ-დემოკრატებმა ეროვნულ საბჭოში შეიტანეს შეკითხვა, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ ხანებში ხეიმვერი თანდათან ფაშისტური ტიპის ორგანიზაციად იქცევა და გამოსვლის საფრთხეს ჰქმნის კონსტიტუციის წინააღმდეგ „ამის გამო, ნათქვამია შეკითხვაში, ავსტრიის რესპუბლიკანური მოსახლეობა, მეტადრე მუშათა კლასი, იძულებულია იარაღი აიღოს მოსახლეობის საფრთხის წინააღმდეგ“. სოციალ-დემოკრატები ეკითხებიან მთავრობას, მზად არის იგი თუ არა დაიწყოს მოლაპარაკება პარლამენტის პარტიებთან შინაური განიარაღების განხორციელების მიზნით. (ადს).

რუმინელ მემამულეების ზრახვები

ვენა, 3 ოქტომბერი. რუმინეთის მთელმა პრესამ წერილები უძღვნა პილსუდსკის ბუქარესტში ყოფნას, ყველა გაზეთი ხაზს უსვამს „რუმინეთ-პოლონეთის კავშირის მნიშვნელობას მთელი ევროპისათვის“.

სამხედრო წრეების ორგანო „უნივერსულ“-ი სწერს, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღება ემუქრება ინგლისსა და საფრანგეთს არაპირდაპირ, ხოლო პოლონეთსა და რუმინეთს—პირდაპირ.

„რაც უნდა გულმოდგინეთ ემზადოს რუმინეთი,—სწერს გაზეთი,—იგი მაინც ვერასოდეს ვერ გაუსწორდება რუსეთის დაუშრეტელ ძალს. თუ ომი ასტყდა ,რუმინეთმა სამხედრო წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მტერს იმ დრომდე, ვიდრე მოკავშირეებისაგან დახმარებას მიიღებს. ომის დაწყება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეუძლია არა 2—3 სახელმწიფოს, არამედ სახელმწიფოთა კოალიციას. ამასთან საბჭოთა გამოლაშქრების დროს რუმინეთის წილად ხვდება ფრონტის ცენტრალური ნაწილის დაჭერა, ხოლო სხვა სახელმწიფოებს—ფლანგოვ პოზიციების დაჭერა. რუმინეთმა უნდა განავითაროს არა მარტო ავიაცია, არამედ მთელი არმიაც. მას სამხედრო მასალა სჭირია“. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

მანჯურია უნდა შეუერთდეს ჩინეთს

პეკინი, 3 ოქტომბერი. როგორც მუკდენიდან იუწყებიან, გირინის პროვინციის დუბანი (სამხედრო გუბერნატორი) აღნიშნავს მუკდენის ხელმძღვანელთა შორის ერთობის უქონლობას და საჭიროდ სთვლის, რომ მანჯურია გადავიდეს ნანკინის მთავრობის მართვა-გამგებლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, მანჯურიას აუცილებელი კატასტროფა მოელის. (ადს).

იან იუ-ტინისა და ბაი ცზუნ-ჩის მოლაპარაკება

პეკინი, 3 ოქტომბერი. ბაი ცზუნ-ჩი იუწყება, რომ მისი მოლაპარაკება იან იუ-ტინთან წარმატებით ვითარდება. მიღებული შეთანხმების მიხედვით, მუკდენის ჯარი გადაყვანილი იქნება შანხაი-გუანის ხაზს იქით; კონტროლი გადავა ხოპეის (ყოფილი ჩჟილის) პროვინციის მთავრობის ხელში. შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ დაწყებულია მოლაპარაკება პეკინ-მუკდენის რკინის გზაზე მოძრაობის აღდგენის შესახებ. (ადს).

უთანხმოება ენ სი-შანსა და ბაი ცზუნ-ჩის შორის

პეკინი, 3 ოქტომბერი. როგორც იუწყებიან ენ სი-შანსა და ბაი-ცზუნ-ჩის შორის თავი იჩინა უთანხმოებამ იმის გამო, რომ ბაი ცზუნ-ჩის სურს თავისი კაცი დანიშნოს პეკინ-მუკდენის რკინის გზის გამგეობის დირექტორის თანამდებობაზე. ამ ჟამად ეს თანამდებობა უჭირავს ენ სი-შანის მახლობელ კაცს. (ადს).

გერმანიის მთავრობა სუბსიდიებს აღარ მიიღებს „ტექნიკურ დახმარებისათვის“

ბერლინი, 3 ოქტომბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა განუცხადა „ტექნიკური დახმარების“ (შტრეიკბრეხერთა ბურჟუაზიული ორგანიზაცია) ხელმძღვანელებს, რომ 1929 წლის 1 აპრილიდან მთავრობა მას სუბსიდიებს აღარ მისცემს (ორგანიზაცია წელიწადში 2.500.000 მარკას იღებდა). „ტექნიკური დახმარება“ იმიტომ უქმდება, რომ „პროფესიონალურ კავშირებს საკმაოდ აქვთ შეგნებული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე“ როგორც ეს ზევერინგმა განაცხადა ჯერ კიდევ ჰამბურგის ყრილობაზე. (ადს).

ინგლისის პროტესტი

ლონდონი, 3 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის მიერ მიღებული ცნობებით, ინგლისის მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმ შეთანხმების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც იტალიას უნდა აეგო სამხედრო გემები სპარსეთისათვის. იუწყებიან, რომ ამ პროტესტის გამო სპარსეთ-იტალიის გეგმა ჩაიშალა. ეს ცნობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ სექტემბერში გავრცელდა ხმები, თითქოს ლონდონი პარიზის თანხმობით წინადადებას აძლევს რომს განისაზღვროს სამ სახელმწიფოს გავლენის სფეროები მსოფლიოს იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ამ სახელმწიფოთა ინტერესების დაჯახება (ადს).

რეფორმები ავღანისტანში

ქაბული, 3 ოქტომბერი. ფადიშაჰმა მოიწვია მეორე დიდი კრება, რომელსაც დაესწრნენ: მთავრობის ყველა წევრი, მთავრობის უმაღლესი მოხელეები, დიპლომატიური კორპუსი და სახელმწიფო საბჭოს წევრები.

ფადიშაჰმა გააკეთა მოხსენება იმ რეფორმების შესახებ, რომლებიც უკვე ხორციელდებიან და ცხოვრებაში ტარდებიან. ფადიშაჰმა განაცხადა, რომ ავღანისტანის კვალიფიციური მუშა ხელით უზრუნველყოფის მიზნით, უცხოეთში გაიგზავნებიან მუშათა ჯგუფები სხვადასხვა ხელობისა და წარმოების შესასწავლად კერძოდ, ბაქოში გაიგზავნება 15 კაცი ნავთის სარეწაოების სამუშაოთა შესასწავლად. 1929 წლიდან ავღანისტანში შემოღებული იქნება არაბული ციფრები. განზრახულია ქაბულის დაკავშირება ტელეგრაფის ხაზით მაზართან და ჰერატთან, ხოლო ჰერატით სპარსეთთან. ქაბულში გაიხსნა ახალი სკოლა.

17 კომკავშირელის საქმე

ვარშავა, 3 ოქტომბერი. რადომის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი 17 კომკავშირელის შესახებ. ბრალდებულებს მიუსაჯეს ერთიდან სამ წლამდე საპყრობილე თითოს.

კომკავშირელებმა დამშვიდებით მოისმინეს განაჩენი და „ინტერნაციონალის“ მღერით განშორდნენ დარბაზს.

„იტალია“-ს მეთვალყურეობით

ვენა, 3 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, პარიზის მოლაპარაკება სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრს მარინკოვიჩსა და ვენიზელოსს შორის არ გასცილებია მეგობრულ აზრთა გაცვლა-გამოცვლას გადაუწყვეტელი საკითხების, განსაკუთრებით სალონიკის საკითხის გამოო.

ბულგარეთის მთავრობის პრესა იტალია-საბერძნეთის ხელშეკრულობის გამო სწერს, რომ ეს ხელშეკრულება ვენიზელოსის „რეალური პოლიტიკის მიჩვენებელიაო“. იგივე პრესა აღნიშნავს, რომ მომავალი მოლაპარაკება საბერძნეთ-თურქეთს შორის „იტალიის მეთვალყურეობით“ მოხდებაო. (ადს).

მუშების დაპატიმრება

რიგა, 3 ოქტომბერი. სოციალისტური პარტიის მიერ არჩევნების წინ მოწვეულ მრავალრიცხოვან კრებაზე პარტიის ლიდერებმა სასტიკად გაილაშქრეს მემარცხენე პროფმოძრაობის წინააღმდეგ, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია კრებაზე დამსწრე მუშებს შორის. აღელვებული მუშები ორატორებს სიტყვებს აწყვეტინებდნენ. კრების ორგანიზატორებმა გამოიწვიეს პოლიცია. პოლიციის მოსვლის შემდეგ მოხდა შეტაკება, ერთის მხრით, მუშებსა, ხოლო მეორეს მხრით; პოლიციასა და სოციალ-დემოკრატიული სასპორტო კავშირის წევრთა შორის. სოციალ-დემოკრატების დახმარებით პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე ათეული მუშა. (ადს).

საბჭოთა კრეისერი თურქეთში

სტამბოლი, 3 ოქტომბერი. ოდესიდან მოვიდა საბჭოთა სასწავლო კრეისერი „კომინტერნი“. კრეისერის უფროსმა კატორსკიმ ინახულა გუბერნატორი და სტამბოლის რაიონის პრეფექტი, აგრეთვე ოსმალეთის ფლოტის უფროსი. ფლოტის უფროსის თანაშემწემ თავის მხრივ ინახულა კრეისერი.

ნაშუადღევს „კომინტერნის“ მეზღვაურებმა ორკესტრით, რომელიც თურქეთის ეროვნულ ჰიმნს უკრავდა, პატივი სცეს თურქეთის დამოუკიდებლობის ძეგლს, იქიდან მეზღვაურები საბჭოთა საკონსულოში წავიდნენ. (ადს).

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის შედეგები

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. აღმოსავლეთ-საკავშირო სავაჭრო პალატაში შედგა პალატის საბჭოს გაფართოებული სხდომა აღმოსავლეთის ვაჭრების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და „ცენტროსოიუზ“-ის წარმომადგენლები. სხდომა გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. არალოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა წარმატებით ჩატარდა. მან აღნიშნა, რომ ბაზრობამ მჭიდრო კონტაქტი დაამყარა აღმოსავლეთის ვაჭრებსა და საბჭოთა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის.

შემდეგ გამოვიდნენ სპარსეთის, დასავლეთ ჩინეთის და ავღანისტანის ვაჭრების წარმომადგენელნი. მათ მადლობა განაცხადეს იმ ყურადღებისათვის, რომელიც მათ ბაზრობაზე აღმოუჩინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა.

„ცენტროსოიუზ“-ისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბაზრობამ შეასრულა ყველა დასახული ამოცანა.

დასასრულ, ამხ. არალოვმა მადლობა გამოუცხადა აღმოსავლეთის ვაჭრებს იმ შენიშვნებისათვის, რომლებიც მათ გააკეთეს ვაჭრობის საკითხების შესახებ, და აღუთქვა; რომ ყველა მათი თხოვნა და სურვილი მხედველობაში იქნება მიღებული. (ადს).

მეიერხოლდის თეატრის შესახებ

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრის შესახებ აღნიშნავს, რომ შემოსავლის შემცირებამ და დეფიციტმა, რომელიც თანდათან იზრდება, თეატრს შეუქმნეს მეტად მძიმე მდგომარეობა. ეს მდგომარეობა გამწვავდა იმის გამო, რომ მეიერხოლდმა არ გამოიჩინა საკმაო მზრუნველობა თეატრისადმი ახალი საბიუჯეტო წლისა და სეზონის მოსამზადებელ პერიოდში; თეატრის საკითხი შემდგომი არსებობის შესახებ, აგრეთვე ფინანსიურ ღონისძიებათა შესახებ გადაიდო მეიერხოლდის საზღვარგარეთიდან დაბრუნებამდე. ხელოვნების მთავარ სამმართველოს ნება დაერთო კოლექტიური ხელშეკრულება თეატრის დასთან გააგრძელოს 1-ლ დეკემბრამდე. დადგენილ იქნა ხელოვნების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში თეატრის მიმდინარე საჭიროებისათვის გადაიდოს 30.000 მანეთი, გარდა იმ თანხისა, რომელიც გადადებულია შრომის ხელფასად. (ადს).

აღმოსავლეთში

ფრანგ იმპერიალისტების „ლიბერალიზმი“

ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიაზე მოსმენილ იქნა ჰოლანდიის დელეგატის ვან-ბროკლანდის მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ უკანასკ. წლ. განმავლობაში ვან ბროკლანდმა, სხვათა შორის, „უსაყვედურა“ საფრანგეთს, რომ ის მეტად „ლიბერალურად“ ეპყრობა თავის სამანდატო ტერიტორიას და როგორც „ლიბერალური“ მოპყრობის ნიმუში მოიყვანა ფაქტი, რომ საფრანგეთის განზრახვა აქვს თვითმმართველობა შემოიღოს სირიაში. საფრანგეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში მეშვეიკმა **პოლ ბონკურმა**, რასაკვირველია, საფრანგეთის იმპერიალისტების სახელით მადლობა გადაუხადა ვან-ბროკლანდს ასეთი ქათინაურისათვის.

თუ როგორია საფრანგეთის „ლიბერალური“ დამოკიდებულება სირიისადმი ამას გვიჩვენებს თუ გინდ უკანასკნელი ამბები, რომლებიც სირიაში დატრიალდა.

თებერვლის წინად საფრანგეთის უზენაესმა კომისარმა სირიაში—პონსომ სირიის დამფუძნებელ კრებას გადასცა ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვდა, რომ სირიის კონსტიტუციიდან ამოეღოთ ყოფილიყო ხუთი მუხლი, რომელთაგან ოთხი შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: სირიის მთლიანობა, არმიის შექმნა, აღმასრულებლის უფლებების მიკუთვნება სირიის პრეზიდენტისათვის, უცხოეთის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის უფლება. მეხუთე მუხლში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სირიის სამინისტრო პასუხისმგებელი მხოლოდ პარლამენტისაა (და არა საფრანგეთის) წინაშე.

პონსო კონსტიტუციის ამ მუხლების გაუქმებას მოითხოვდა იმ საბაბით, რომ ისინი ეწინააღმდეგება საფრანგეთის „საერთაშორისო ვალდებულებებს“ სირიაში.

საფრანგეთის ამ ფრიად „ლიბერალურმა“ ულტიმატუმმა განმარისხებელი კამათი გამოიწვია სირიის დამფუძნებელ კრებაში, ორატორების უმრავლესობა სასტიკად აკრიტიკებდა საფრანგეთის სკანდალურ ჩარევას სირიის საქმეებში, კამათის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ უმრავლესობით ექვსის წინააღმდეგ უარყო საფრანგეთის ულტიმატუმი. ულტიმატუმის მიმღებთა მომხრეთა შორის აღმოჩნდა სირიის მთავრობის ახლანდელი მეთაური **შეიხ ტაჯ ედდინი**, ფრანგ იმპერიალისტების ერთგული მსახური, რომელმაც ნიშნად პროტესტისა ულტიმატუმის უარყოფის გამო დასტოვა დამფუძნებელი კრების სხდომა.

ულტიმატუმის უარყოფის შემდეგ საფრანგეთის კომისარმა, პარიზიდან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, გასცა განკარგულება დამფუძნებელი კრების დათხოვის შესახებ სამი თვით, ცნობას საფრანგეთის ამ „ლიბერალური“ განკარგულების შესახებ დეპუტატები და შეკრებილი ხალხი შეხვდა ძახილით: „გაუმარჯოს სირიის დამოუკიდებლობას!“.

დამფუძნებელი კრების დათხოვის შემდეგ დამასკოში (სირიის დედა-ქალაქი) გაიმართა ადგილობრივი ახალგაზრდობის დიდი საპროტესტო დემონსტრაციები. ამ დემონსტრაციების დროს ნაციონალისტების ბელადები და დამფუძნებელი კრების ცალკე დეპუტატები გამოდიოდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული მხურვალე სიტყვებით. ქალაქში ჩატარდა საპროტესტო გაფიცვა. ყველა მაღაზიები და წარმოებები დახურული იყო ერთი დღის განმავლობაში. მოხდა რამდენიმე შეტაკება ჟანდარმებსა და დემონსტრანტებს შორის.

საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა არა მარტო დამასკოში, არამედ სირიის სხვა ქალაქებშიც, სადაც ცნობამ დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

ამ საპროტესტო კამპანიამ აალელვა ფრანგი იმპერიალისტები და მათი აგენტები. შეიხ ტაჯ-ედდინის აგენტებმა განიზრახეს დამფუძნებელი კრების ცალკე დეპუტატების გადაბირება მოსყიდვის საშუალებით და მათი დათანხმება საფრანგეთის მოთხოვნილებების მიღებაზე. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. საფრანგეთის მოთხოვნილებების მიღების მომხრეთა რიცხვი დეპუტატებს შორის კვლავ უმნიშვნელოა.

[illegible] ნაციონალისტებმა გადასწყვიტეს დელეგაციის გაგზავნა საფრანგეთში ცენტრალურ მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკების გასამართავად. თუ როგორი ბედი ეწევა ამ დელეგაციას, ეჭვს გარეშეა: პარიზი, რასაკვირველია, მხარს დაუჭერს პონსოს, რომელიც მისი დირექტივების თანახმად მოქმედობს. სირიელები გრძნობენ ამას და მოძრაობა საფრანგეთის თავხედურ მოთხოვნილებების წინააღმდეგ ძლიერდება. ამ მოძრაობას მხარს უჭერენ სირიელ მეამბოხეთა მეთაურები—**სულთან ელ-ატრაში** და **ემირ ადელ-არსლანი**.

მეტად დამახასიათებელია, რომ სირიაში უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა მონარქისტული წრეების აქტივობა. ჯერ კიდევ დამფუძნებელი კრების დათხოვნამდე, მთელმა რიგმა მონარქისტებმა—მემამულეებმა, ვაჭრებმა, შეიხებმა, ოფიცრებმა და ჟურნალისტებმა საფრანგეთის უზენაეს კომისარს გადასცეს პეტიცია, რომელშიც პროტესტს აცხადებდნენ რესპუბლიკანური წყობილების შემოღების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მონარქისტული რეჟიმის აღდგენას. მაგრამ ამ [illegible], რომლის ავტორია თვით საფრანგეთის რესპუბლიკის კომისარი პონსო, გამოძახილი არ ჰპოვა სირიის მოსახლეობაში. მაგრამ ეს [illegible] მეტად დამახასიათებელია იმ მეთოდებისათვის, რომლებსაც ფრანგი იმპერიალისტები მიმართავენ თავიანთ ბატონობის შესანარჩუნებლად სირიაში.

აჰა ასეთია ფრანგ იმპერიალისტების „ლიბერალიზმი“.

ა. გ.

ტერიტორიული ნაწილები მანევრებზე

რუისი—ურბნისი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

რუისი და ურბნისი დღეს წარმოადგენენ ნამდვილ სამხედრო ბანაკს.

მშვიდი ცხოვრება დაარღვია ტერიტორიალური ნაწილების მოსვლამ. ისმის ხმაური, ჟრიამული, ქუჩებში დაჭრიან ცხენოსნები მოტოციკლეტები. სამხედრო ორკესტრებს გააქვთ გუგუნი.

მთელი სოფელი გამოსულია ქუჩა-მინდვრებში, აღარავის უდგება გული სახლში. პატარები გარს ეხვევიან ორკესტრებს, მოზრდილები ათვალიერებენ მოძრავ რადიოს, არტილერიას, ებაასებიან არმიელებს და მეთაურებს, ეძებენ ნაცნობებს.

სოფლელები უფრო ეტანებიან აგიტ-ფურგონებს, რადგან აქ ბევრი ისეთი რამეა, რომელიც სასარგებლოა სოფლისათვის; აქ გლეხს შეუძლიან შეიტყოს ახალი ამბები, მიიღოს პასუხი მრავალ შეკითხვაზე, შეიძინოს ცოდნა, რომელიც მას გამოადგება თავის მეურნეობაში.

რუისი მოზრდილი სოფელია, აქ ითვლება რამოდენიმე ათასი მცხოვრები. მთელი სოფელი ჩაფლულია ბაღ-ვენახებში. მოსახლეობა მეტ წილად მისდევს მეხილეობას. „ზაკგოსტორგს“ გამართული აქვს ხილის პუნქტი, სადაც გლეხობას მოაქვს ვაშლი და ჰყიდის ხელსაყრელ ფასებში.

საერთოდ სოფელი სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, ქუჩები სუფთად არის შენახული სოფელს აქვს კარგი წყარო, მშვენიერწყლით. მოწყობილია კლუბი სცენით, სამკითხველო, კოოპერატივი, სკოლა.

ეტყობა, რომ სოფლად მიმდინარეობს კულტურული და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, რადგან გლეხობა გარკვეულია, შეძლებისდაგვარათ, პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკაში.

ერთი ფრიად კარგი და სამაგალითო საქმისათვის მოუკიდია ხელი სოფელს და იმედია სასურველად დააგვირგვინებს მას. ეს არის შარა გზის გაყვანა სოფლიდან ქარელამდე. გზა გაჭრილია, მოტანილია და დაყრილი ქვა და ღორღი. სოფელს მალე ექნება მშვენიერი გზა და გაადვილებს კავშირს რკინის გზის სადგურთან.

წითელი არმიის მისვლას სოფელი სიხარულით შეხვდა. მალე გაიბა კავშირი წითელ არმიელებსა და გლეხობის შორის; გლეხები სიამოვნებით უგდებდნენ ყურს წითელ არმიელებს, რომლებიც უამბობდნენ მათ თავის ყოფა-ცხოვრებას; მეცადინეობას და ქვეყნის ამბებს.

სოფელში დაბანაკებულია ცხენოსანი ლეგიონი. ეს ის ლეგიონია, რომელიც ორი დღის განმავლობაში აწარმოებდა პარტიზანულ ომს და „თავზარსა“ სცემდა დივიზიის ცალკე ნაწილებს მოძრაობის დროს. ეხლა ყოფილი პარტიზანები სოფლად ეწევიან მშვიდ ცხოვრებას.

გლეხობა გაცხარებულ მუშაობაშია. დარები საუკეთესოა სიმინდის მოსაჭრელად და მის გასარჩევათ. ამას გარდა მოახლოებულია რთველი, საჭიროა საწნახელის და ქვევრების გასუფთავება. აუარებელი საქმე აქვს გლეხობას

ყოფილი პარტიზანები მთელი დღე ტრიალობენ სოფელში. შველიან გლეხობას სიმინდის გარჩევაში და თან მღერიან მხედრულ სიმღერებს. როდესაც უახლოვდები სოფელს, გგონია, რომ შიგ ან დღეობაა, ან ქორწილი.

— თქვენი მარჯვენის ჭირიმე, თქვენი, ბიჭებო, ორი დღე უნდა გავცდენილიყავი სიმინდის გარჩევაზე, თქვენ რომ არ მომშველებოდით, —იძახის ერთი ხანში შესული გლეხი.

სოფელი ურბნისი ძალიან ჩამორჩენილი სოფელია, მიუხედავათ იმისა, რომ სულ 7 ვერსით არის დაშორებული სამაზრო ცენტრიდან.

ქუჩები სავსეა ნაგვით, მრავალი გლეხი ცხოვრობს მიწურში. სოფელში ორიოდე სახლია დახურული კრამიტით; დანარჩენ სახლებს აქვთ ბანები.

არც სამკითხველო, არც კოოპერატივი სოფელს არა აქვს.

არსებობს სკოლა. სოფლელებმა გვითხრეს, რომ მათ ჰყავთ მასწავლებელიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მასწავლებელი სოფელში არ აღმოჩნდა, თუმცა იყო დღის 12 საათი.

სკოლა უნუგეშო მდგომარეობაშია. ეტყობა მას არავინ აქცევს ყურადღებას; არც სოფელი, არც მასწავლებელი და არც განათლების სამაზრო განყოფილება.

სკოლა სავსეა ნაგვით, პარტების ერთი ნაწილი ყრია ეზოში, სკოლის კარები არ იკეტება და ყველას შეუძლიან შიგ შესვლა და გაკეთება იმის, რაც მოესურვება.

სოფლად არ სწარმოებს არავითარი კულტურული და სხვა სახის მუშაობა, გლეხობა არ არის გარკვეული არავითარ საკითხებში და არა აქვს წარმოდგენა იმაზე, თუ რა ხდება მის გარშემო.

ცხენოსან ლეგიონის არმიელები გაკვირვებას გამოსთქვამდნენ სოფლის ასეთი უნუგეშო მდგომარეობის გამო.

— ბევრ ადგილას ვყოფილვართ, მაგრამ ასეთი ჩამორჩენილი სოფელი ჯერ არ გვინახავს—ამბობენ არმიელები.

პირის ბანა დასვენების დროს

—:—

3 ოქტომბერს, დილით, დავტოვეთ სოფ. რუისი. „ლურჯები“ და „წითლები“ სხვადასხვა მიმართულებით გაემგზავრნენ ჩრდილოეთით, სოფ. არაშენდას მიმართულებით. აქ, ტრიალ მინდორზე, უნდა შემდგარიყო „ლურჯებისა“ და „წითლების“ მეორე შეხვედრა.

გზაში შეუხვიეთ სოფ. ურბნისისაკენ, რომელიც გაშენებულია მაღალ ფერდობზე მტკვრის მარცხენა ნაპირას.

—:—

დღის 1 საათზე მალხაზის წყვრის მხრიდან მოისმა ზარბაზნების გრიალი. ალბათ „წითლები“ და „ლურჯები“ შეხვდნენ ერთმანეთს.

დავტოვეთ სოფ. ურბნისი და გავეშურეთ „ბრძოლის“ ველისაკენ.

ე. ხუციშვილი.

4 ოქტომბერი, სოფ. ურბნისი.

მესანგრენი მანევრებზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საერთო ტერიტორიალურ შეკრებაზე, ერთი თვის განმავლობაში, მესანგრენი აწარმოებდნენ გაცხოველებულ მუშაობას. მათ უნდა შეეთვისებიათ მრავალი სპეციალური საგანი, როგორიც არის სხვადასხვა სახის ხიდების აგება, გზების გაყვანა, სასანგრე საქმე და სხ.

მესანგრეებს მეცადინეობის წარმოება უხდებოდათ მინდვრათ, აქ ისინი ეწეოდნენ პრაქტიკულ მუშაობას და აღრმავებდნენ კაბინეტებში შეძენილ ცოდნას.

მანევრებზე გამგზავრებამდე მეორე დივიზიის მესანგრე ასეულმა ააგო ხიდი მდინარე ლიახვზე გორსა და ტინისხიდის შუა.

ორი კვირა მუშაობდენ მესანგრენი ამ ხიდის ასაგებად და ეს მუშაობა დაგვირგვინდა სასურველად. ლამაზად გამოიყურება ახალი ხიდი, ბურჯები მაგრად არიან ჩასმულნი ნიადაგში ზედ ხიდზე დატვირთული ურმები თავისუფლად გადი-გამოდიან.

კავალერია დაზვერვაზე

მანევრების დროს მესანგრე ასეულს დაეკისრა ძნელი და პასუხსაგები მუშაობა.

მდ. მტკვარზე გასაკეთებელი იყო ორი ხიდი. ერთი ურბნისთან, მეორე ქარელთან. ამ ხიდებზე უნდა გადასულიყვნენ მანევრებში მონაწილე რაზმები და უნდა გადაეტანათ სხვადასხვა ხელსაწყობები. ხიდების აგება იყო საჭირო იმისათვის, რომ მოყოლებული ხაშურიდან—გორამდე მტკვარზე არ არის ხიდი.

მესანგრენი მიცემულ ამოცანის შესასრულებლად ადრევე გაემგზავრნენ დანიშნულ ადგილისაკენ და დროზე დაახვედრეს ნაწილებს ნავტივების ხიდები.

მრავალი ათასი წითელი-არმიელი თავისუფლად გავიდა ხიდებზე. მესანგრენი სიამოვნებით და თან ამაყათ უყურებდნენ თავისი ხელებით აგებულ ხიდებს, რომლებიც იმაგრებდნენ რამოდენიმე ას ფუთს.

ვისაც უმოგზაურია გორის მაზრაში, მას კარგათ ეცოდინება თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან ხსენებულ მაზრის გზები. მაშინ, როდესაც გზებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა სოფლის კულტურულად აყვავების საქმეში, გზების საკითხს მაზრაში არ ექცევა არავითარი ყურადღება.

რადგან მანევრებში მონაწილეობა უნდა მიეღო ჯარის ჯავშნოსან ნაწილებს, როგორიც არის ავტომობილები, და სხვა, ამიტომ მესანგრეებს დაევალათ გზების დათვალიერება და მათი შეკეთება.

მესანგრეებმა ეს ამოცანაც წარმატებით შეასრულეს. ქარელიდან არადეთამდე მათ შეაკეთეს ძველი უვარგისი ბოგირები და ააგეს სამი ახალი ბოგირი, შეაკეთეს მრავალი ბოგირი ძველ შარა გზაზე, რომელიც აერთებს სალოლაშენს და რუისს.

გლეხობა ძალიან მადლიერია წითელი არმიისა, რადგან იგი არა სტოვებს მას უყურადღებოთ და უწევს დიდ დახმარებას. გლეხობა ნათლად ხედავს, რომ წითელი არმია სცდილობს მოუტანოს მას სარგებლობა, რისთვისაც არ ზოგავს არც ძალას, არც ღონეს. ამიტომ გლეხობა გულახდილათ უზიარებს არმიელებს თავის ჭირვარამს, დალხინება-გაჭირვებას.

— ძაან ვიტანჯებით უხიდობის გამო,—სჩივიან რუისელები, არადელები; სალოლაშენლები, არეთელები; დირბელები და სხვა მრავალი ათეული სოფლის მცხოვრებნი,—ყოველ დღე გვიხდება ქარელში ჩასვლა, ურმები გაგვაქვს ბორანზე და დიდ დროსა ვკარგავთ, როცა ბევრი ხალხი იყრის თავს, მაშინ პირდაპირ მტკვარში გავდივართ. ხშირად იღუპება საქონელი, ხალხი; ადიდდება მტკვარი და მოწყვეტილი ვართ ქვეყნიერებას, გორში ჩასასვლელად, ცხინვალზე გვიხდება სიარული.

ნეტა ვინმე ითავებდეს ხიდის აგებას და სოფლები სიამოვნებით მოუწერენ ხელს ამაზე და დაეხმარებიან.

„საჭიროა, რომ გლეხობის ამ სიტყვებს გაეწიოს სათანადო ანგარიში“—ასე ამბობენ მესანგრე ასეულის არმიელნი.

ე. ხუციშვილი.

სად. სკრა, 4 ოქტომბერი.

მანევრების დღიური

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მანევრების მთავარ ხელმძღვანელ აპარატის ცნობით, მანევრები განზრახულია დამთავრდეს 5 ოქტომბერს.

ქ. გორში მანევრების დამთავრების შემდეგ გაიმართება გამოსათხოვარი აღლუმი, რომელსაც დაესწრება არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი.

სანიტარული პუნქტები

სადგ. გორში, სკრაში და ქარელში მოწყობილია საექიმო-სანიტარული პუნქტები, რომლებიც უწევენ დახმარებას ავადმყოფ წითელ არმიელებს, პუნქტები უზრუნველყოფილი არიან საექიმო პერსონალით და მედიკამენტებით.

ზურგის ნაწილები

მანევრებში, გარდა რეგულიარული ნაწილებისა, მონაწილეობას იღებენ დამხმარე ზურგის ნაწილები.

მოწყობილია საველე პურის საცხობი, რომელიც აწვდის გამომცხვარ პურს ჯარის ნაწილებს. მუშაობს საველე სასაკლაო და სასურსათო ქარავანი.

გორში მოწყობილია დივიზიის სამხედრო ჰოსპიტალი ავადმყოფ წითელ არმიელთათვის.

დახმარება სამკითხველოებს

ნაწილების აგიტ-ფურგონები უწევენ დახმარებას სოფლის სამკითხველოებს წიგნებით და ინსტრუქტაჟით.

სოფლის სამკითხველოებში მოიპოვება მრავალი შეუფერებელი და უსარგებლო წიგნი, სწარმოებს წიგნების გადათვალიერება და მათი გაცხრილვა.

სამკითხველოების გამგეებს ეძლევათ რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა აწარმოონ მუშაობა მკითხველთა შორის და როგორ უნდა მოაგვარონ სამკითხველოების ტექნიკური მხარე.

წითელ-არმიელები ეხმარებიან გლეხებს სიმინდის გარჩევაში

პარტიული ცხოვრება

ბიუროების გადარჩევისა და პარტკონფერენციების შესახებ

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის ბიურომ ყველა უჯრედს დაუგზავნა წერილი უჯრედების ბიუროების მომავალი გადარჩევისა და პარტკონფერენციების შესახებ. „ამ კამპანიას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება —ნათქვამია წერილში. მან კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს მოსკოვის ორგანიზაციის რიგები და კიდევ უფრო გააძლიეროს პარტიის გავლენა უპარტიო მუშებისა და გლეხების მასებში. მასების შეკავშირებისა და პარტიის გავლენის განმტკიცების ერთ-ერთი უძლიერესი მეთოდია მუშათა დემოკრატიისა და პროლეტარული თვითკრიტიკის გაშლა, აგრეთვე მასების ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ამ მასებში ჩვენი საერთაშორისო ამოცანებისა და მოვალეობათა შეგნების გაღრმავება. არჩევნების დროს მოსკოვის ორგანიზაციამ უნდა შეამოწმოს თავისი მუშაობა პარტიული პოლიტიკის ყველა დარგში. ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციის მუშაობაში უნდა შემოწმებულ იქნას, თუ როგორ ანხორციელებდა ორგანიზაცია ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს. უნდა შემოწმებულ იქნას, თუ როგორ ტარდებოდნენ ცხოვრებაში პარტიის ცეკას უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი განვლილ პერიოდში“. (ადს).

მეტი სიფრთხილე რეკომენდაციის მიცემის დროს

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ, რომ საჭიროა რაც შეიძლება ფრთხილად მოვეპყრათ პარტიაში მისაღებ კანდიდატების შერჩევას, რათა არ შემოგვეპაროს ისეთი ელემენტები, რომლებიც თავიანთი უმსგავსი მოქმედებით ზიანს მიაყენებენ ჩვენს მუშაობას. სამწუხაროდ ამ საკითხის დიადი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვერ შეუგნია პარტიის ზოგიერთ წევრს, ბევრი მათგანი „ნათლიმამობით“ უწერს ხელს ნაცნობებს პარტიაში მიღების სარეკომენდაციო ბარათზე. არ მოიპოვება ისეთი პიროვნება, რომელსაც არ ჰყავდეს ორი-სამი ნათესავი ან ნაცნობი პასუხისმგებელი კომუნისტი, აი სწორედ ამათი შემწეობით ახერხებენ პარტიაში შეძრომას ზოგიერთი ბნელი ელემენტები.

საილუსტრაციოთ მოვიყვან ორიოდე ფაქტს:

გალაქტიონ ვაშაყმაძეს 1920 წელში ბაქოში ნავთის სარეწავო ჰქონდა, ამავე დროს მას ეჭირა სასტუმრო ნომრებით და „ცოცხალი სხეულითაც“ ვაჭრობდა. გასაბჭოების შემდეგ ეს კაცი შემოდის ჩვენს პარტიაში და ინიშნება გლეხკომის თავმჯდომარედ. ახალ თანამდებობაზე ვაშაყმაძემ, როგორც ფართო ცხოვრებას დაჩვეულმა ადამიანმა ხელი მიჰყო ქეიფობას და ცოტა გლეხკომის ფულებიც „გაიმასქნა“. ვაშაყმაძე საკონტროლო კომისიამ პარტიიდან გარიცხა, როგორც შემოპარული და არაკომუნისტური ელემენტი, ამასთანავე საყვედური გამოუცხადა მის რეკომენდატორებს: ამხ. **იოსებ ვაშაყმაძეს, კოტა რუხაძეს, ვლ. ქავთარიას,** და **ბესარიონ გოგორიშვილს**. როგორც გამოირკვა ამ ამხანაგებიდან, თუ ყველამ არა, ერთმა მაინც იცოდა გალაქტიონ ვაშაყმაძის წარსული, რეკომენდაცია კი „ნათლიმამობით“ მაინც მისცა.

1924 წელს, სამხრეთ ოსეთში გაასამართლეს ვინმე **ფილიევი**. მას ბრალი ედებოდა ქურდობასა და კაცის მოკვლის ცდაში. სასამართლომ ფილიევს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ამნისტიის ძალით სასჯელი შეუმსუბუქდა. 1925 წელში რამოდენიმე ამხანაგის რეკომენდაციით ფილიევმა პარტიაში შეძრომა მოახერხა, ის საოლქო კომიტეტმა წევრადაც დაამტკიცა. ამჟამად ფილიევი გამორიცხულია პარტიიდან.

ცნობილ **ზოგია მეფარიშვილს** არც კი ჰქონდა მოხდილი სასამართლოს მიერ დადებული სასჯელი, როცა მან უკვე მოახერხა პარტიაში შესვლა. მეფარიშვილმა პარტიული მანდატი მიიღო იმ დროს, როდესაც ორი-სამი წლის მიღებული ამხანაგები უმაღლეს ორგანიზაციის მიერ ჯერ კიდევ არ იყვნენ დამტკიცებული. არის თუ არა აქ ნათლიმამობა? რასაკვირველია, არის. მერმე ვინ აძლევს რეკომენდაციას მეფარიშვილს? ისინი, ვინც სასამართლოში ბრალმდებელის მოწმეებათ გამოდიოდნენ და მეფარიშვილს სხვადასხვა ბოროტი მოქმედების ჩადენას უმტკიცებდნენ. ამგვარი ფაქტები აუარებელია.

რასაკვირველია, პროტექცია საერთოდ დაუშვებელია, მაგრამ პროტექცია პარტიაში მიღებაზე მთლად მიუტევებელი ცოდვაა კომუნისტისათვის. როცა ამხანაგს კარგად არ ჰყავს შესწავლილი ესა თუ ის პიროვნება და, თუ ჰყავს, ნათლიმამობით, პურ-მარილით ან ხათრით მაინც უწერს ხელს თუ გინდ იგი პარტიაში შესვლის ღირსიც არ იყოს, ეს არის კომპარტიის წესდების აშკარა დარღვევა, ხელის შეწყობა იმ ბნელი ელემენტებისათვის, რომლებიც ჩირქს მოსცხებენ პარტიას, ნებითი თუ უნებლიეთი დახმარების გაწევა კონტრ-რევოლიუციისათვის.

სწორედ ამიტომ პარტიის ყველა წევრი, თუ ის რწმენით ნამდვილი კომუნისტია, უფრო ფრთხილად და სერიოზულად უნდა მოეპყრას პარტიაში ახალი წევრის მიღებას. მან კარგად უნდა შეისწავლოს ის, ვისაც აძლევს რეკომენდაციას, გაიცნოს მისი წარსული, აწმყო და როდესაც დარწმუნდება იმაში, რომ აღნიშნული პირი პარტიაში შესვლის ღირსია, რომ მისი წევრობა სარგებლობას მოუტანს პარტიას, მოუწეროს ხელი ბარათზე. ის კი ვინც „ნათლიმამობით“ იძლევა რეკომენდაციებს ზერელედ უყურებს პარტიას, მას არ აინტერესებს პარტიის ბედ-იღბალი.

ასეთ კომუნისტებს პარტია სათანადო პასუხს მოსთხოვს.

ს. მეგრელიშვილი.

ქალთა განყოფილებების გამგეების თათბირი

იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოაყენა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით კი სასოფლო მეურნეობის კოოპერაციაში შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის საქმეში, მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილებების წინაშე წამოიჭრა მრავალი მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, ეს საკითხებია: ყურადღების გაძლიერება მუშა-მოჯამაგირე და ღარიბეს ქალთა კადრების მომზადებისადმი, მათი კოოპერაციაში და კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანების და სასოფლო მეურნეობის იმ დარგების კრედიტებით უზრუნველყოფის საქმისადმი, სადაც სჭარბობს ქალთა შრომა.

პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღება მუშა და გლეხ-ქალთა განსათავისუფლებლად ყოფა-ცხოვრების გარდაქმნასთან დაკავშირებით ქალაქში და სოფლად; მასიურ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებში— ეს საკითხები სდგანან მწვავედ ჩვენი მუშაობის დღიურ წესრიგში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების თავის დროზე შესასრულებლად ქალთა შორის მუშაობის დარგში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი იწვევს 10 ოქტომბერს სამაზრო, საოლქო და თბილისის კომიტეტების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, იუსტიციის და განათლების სახალხო კომისარიატების, პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს, შრომის სახალხო კომისარიატის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მონაწილეობით. თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. ამხ. პშენიცინის (საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი) მოხსენება ქალთა შორის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.
2) კულტურული რევოლიუცია და ბრძოლა ყოფა-ცხოვრების დახავსებულ ნაშთებთან
3) საბჭოების გადარჩევისათვის მზადება.
4) ახალი მოწვევის სადელეგატო კრებების გადარჩევის წინასწარი შედეგები.
5) გლეხ-ქალთა გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში.
6) ეროვნულ უმცირესობის ქალთა ჩაბმა წარმოებაში.
7) მუშა და გლეხ-ქალთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე.

საქართველოს საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანოების გეგმაშეწონილი მონაწილეობა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ ქალთა შორის მუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილებათა განხილვაში ამ დადგენილებათა განხორციელების საუკეთესო გარანტია იქნება.

პარტხელმძღვანელობა საბჭოთა მეურნეობებზე

(წერილი საგარეჯოდან)

ადგილობრივ პარტორგანოების მიერ სწორი ხელმძღვანელობის გაწევა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებზე აუცილებელი პირობაა ამ უკანასკნელთა მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ მანავის სახალხო მამულის ანგარიში, რომელიც საგარეჯოს თემკომის სხდომაზე იქნა მოსმენილი.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მანავის სახ. მამული (ყოფილი ფრიდონოვისეული), რომელიც რამდენიმე წლის წინედ 30 დესეტინის სივრცეზე იყო გაშენებული, უკანასკნელ წლებში განადგურების გზაზე დამდგარა, 3.000 ვედრო ღვინის მოსავლის მაგიერ, 1926 წელში მოსავალს მხოლოდ 250 ვედრო ღვინო მოუცია. გაშენებული ვაზი მოუვლელობით და უპატრონობით, ნაწილიც სიბერით გამხმარა და ამოვარდნილა. როგორც სჩანს, უკანასკნელ ხანებში მამულს არ ჰყოლია რიგიანი პატრონი. გარდა ამისა, არ ყოფილა კავშირი მამულის ხელმძღვანელებსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის, რაც აუცილებლად მამულის აოხრების ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს. მართალია, მამულს ხელმძღვანელებად გამოცდილი და დახელოვნებული აგრონომები ჰყოლია, მაგრამ როგორც სანამდვილო გვირჩევნს, ამ სპეც-აგრონომებს მამულისათვის ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

ა. წ. აპრილის თვემდე მამულის გამგედ ცნობილი აგრონომი-სპეციალისტი კოტე ბერეკაშვილი იყო. უკანასკნელმა წელიწადზე მეტი იმსახურა მამულში, მაგრამ ამ დროს ნახევარი მან თბილისში გაატარებია. ამ ხნის განმავლობაში კი მამული მონგარიშის ანაბარა რჩებოდა. სამწუხაროდ, როგორც მუშები გადმოგვცემენ, მონგარიშესაც უსწავლია „გამგის ხელობა“ და თბილისში სიარულისთვის მიუყვია ხელი. „წავიდოდა გამგე, მეორე დღეს მონგარიშე მიჰყვებოდა თან. დაპირებდა გამგე მოსვლას და წინა დღით მონგარიშე მოუსწრებდა“—ამბობენ მამულის მუშები.

ცხადია, ასეთი „მოღვაწეობით“ მამული გაუმჯობესების ნაცვლად განადგურების გზას დაადგებოდა, ბერეკაშვილმა კი მამულის სახსნელად წამოაყენა პროექტი: „ძველი ვაზი გავკაფოთ, ახალი გავაშენოთ, საქმეს ეს უშველისო“. როგორც ხედავთ ამ სპეცს ახალი ამერიკა არ აღმოუჩენია.

ხსენებულ ხელმძღვანელთა ფრთებს ქვეშ აშკარაა მრავალ უწესრიგობას ექნებოდა ადგილი. ეს მართლაც ასე იყო.

მაგრამ საბედნიეროდ დიდხანს არ გაგრძელებულა ასეთი მდგომარეობა. ა. წ. აპრილის თვიდან მამულისათვის ხელისუფლებამ სპეც-აგრონომების მაგიერ სტამბის მუშა გამოგზავნა. შეიძლება ეს ამბავი ზოგიერთებს სასაცილოდ არ ეყოს, მაგრამ აი რა დავინახეთ: საქმისადმი მუშურმა სიყვარულმა, გულშემტკივრობამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ, სახ. მამული გამოცოცხლების გზაზე დააყენა, საქმე იმდენად გაუმჯობესდა, რომ დეფიციტის ნაცვლად წელს მეურნეობას მოგებაც კი დარჩება. გასული წლის 550 ვედრო ღვინოს მოსავლის მაგიერ წელს მამული 1.200—1.500 ვედრო ღვინოს მოგვცემს.

პარტიულმა კომიტეტმა მოხსენების შემდეგ წინადადება მისცა მამულის ხელმძღვანელთ აუცილებლად გაატარონ ცხოვრებაში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ოცი პროცენტით შემცირება. მომავალ წლიდან ხუთი დესეტინის მანძილზე ახლად გაშენდეს ნამყენი ვაზი, აწეულ იქნეს შრომის ნაყოფიერება და სხვა. ვფიქრობთ. რომ ამ ღონისძიებით მომავალში მამულის მუშაობა უფრო გაუმჯობესდება და მეტ ნაყოფს გამოიღებს.

ილ. ბე—ლი.

უჯრედთა ბიუროების კონფერენცია

(„26 კომუნარის“ რაიონი)

გუშინ „26 კომუნარის“ რაიონში შესდგა უჯრედთა ბიუროების კონფერენცია საუჯრედო კომისიების წევრების, სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და რაიკომის წევრებისა და კანდიდატების თანდასწრებით.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. **ტერ-ვართანოვის** საინსტრუქციო მოხსენება პარტუჯრედთა ბიუროების გადარჩევის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო იმ ნაკლოვანებებს, რომელსაც უკანასკნელი არჩევნების დროს ჰქონდა ადგილი. არჩევნებმა გამოამჟღავნეს მასიური მუშაობის სისუსტე, რაც აუცილებლად უნდა გამოგვესწორებია.

აღნიშნული იყო აგრეთვე უჯრედთა სუსტი მონაწილეობა წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. ეხლანდელი არჩევნების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს.

არა ნაკლები ყურადღების მიქცევაა საჭირო თვითკრიტიკის საკითხისადმი. ამავე დროს რასაკვირველია არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ თვითკრიტიკა უნდა იყოს ჯანსაღი. პარტიულ მასას უნდა ექნეს თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საშუალება, ეს საუკეთესო იარაღი იქნება ყველა ჩვენი შეცდომისა და ნაკლის გამოსამჟღავნებლად, აღმოსაფხვრელად.

საარჩევნო კრებების დროს უნდა ვერიდოთ დღის წესრიგის ზედმეტად დატვირთვას და კრებების ხანგრძლივობას.

საჭიროა გადარჩევებში პარტიული მასის ყურადღება მიექცეს მუშა-ქალთა შორის მუშაობის სისუსტეს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად აუცილებელია: მუშა-ქალთა დაწინაურება – გაძლიერება და მათი აქტივობის აწევა. ბიუროების საარჩევნო კამპანიაში კომუნისტმა მუშა-ქალებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ.

თბილისის კომიტეტი, ისე როგორც გასულ წელს, ეხლაც ურჩევს უჯრედებს გამოჰყონ თვითშემმოწმებელი კომისიები. ეს კომისიები თავის დროზე უნდა შეუდგნენ მუშაობას. კომისიებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის დირექტივების განხორციელებას ბიუროების მხრივ და პარტხელმძღვანელობას უპარტიო ორგანიზაციებზე, წარმოებაზე და სხვა.

დასასრულ ამხ. ტერ-ვართანოვი შეეხო კამპანიის მთელ რიგ ტექნიკურ საკითხებს.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

— ბევრ ამხანაგებს ეშინიათ ახალი აქტივის დაწინაურების, ასეთ შიშს ეხლანდელ კამპანიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს;

— მასიური მუშაობის სისუსტეში პროფორგანოებსაც მიუძღვისთ ბრალი, ბევრ პროფმუშაკს სუსტად აქვს შეგნებული თვითკრიტიკის მნიშვნელობა;

— ქალთა შორის მუშაობა აუცილებლად უნდა გაძლიერდეს.

აღნიშნავდნენ ორატორები.

კონფერენციამ დაამტკიცა გადარჩევის კალენდარული გეგმა, გადარჩევა დაიწყება 10 ოქტომბრიდან და დასრულდება 25 ოქტომბერს.

საბჭოთა საქართველო

წერილები

სახდაზღვევის მუშაობა ფართოვდება

სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შემოღებას ჩვენში არა აქვს დიდი ხნის ისტორია. სულ რამოდენიმე წელია, რაც შემოღებულია სავალდებულო დაზღვევა მსხვილფეხა საქონელზე და უკანასკნელ წლებში კი დაზღვევა ვრცელდება აგრეთვე ნათესებსა და ბაღ-ვენახებზეც.

თავის თავად ცხადია, ყოველ ახალ საქმეს წინ ელობება მრავალი დაბრკოლებები და სახდაზღვევის საქმესაც პირველ ხანებში გლეხობა უნდობლობის თვალით უცქეროდა. მათი აზრით ეს იყო ერთგვარი ზედმეტი გადასახადი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნაკლებ თვითმოქმედებას იჩენდენ გლეხობაში სახდაზღვევის მნიშვნელობისა და სარგებლიანობის პოპულარიზაციისათვის. გლეხობის ფართე ფენებში არ სწარმოებდა სათანადო პროპაგანდა-აგიტაცია ამ ნიადაგზე, რაც ხელს უწყობდა დასაზღვევ ობიექტის გადამალვას, გადასახადის თავის დროზე გადაუხდელობას და სხვა.

უკანასკნელ ხანებში ასეთი მდგომარეობა ძირითადათ შეიცვალა; ერთი მხრივ სახდაზღვევისათვის გადადებული თანხები საგრძნობლად გადიდდა, ხოლო მეორე მხრივ გლეხობა გამოცდილებით დარწმუნდა სავალდებულო დაზღვევის სარგებლიანობაში. მრავალი კორესპონდენციები, რომელსაც გლეხკორები აწვდიან რედაქციას, ამისი საუკეთესო დამადასტურებელია. სახდაზღვევის სამმართველომ დასეტყვილ ნათესების ასანაზღაურებლად ნორიოს თემში დაურიგა გლეხობას 12 ათასი მანეთი; ველისციხის თემში გადაგზავნა 20.000 მანეთი, ოზურგეთის მაზრაში დახოცილ საქონლის ასანაზღაურებლად გაიღო 35.000 მანეთი და სხ. ამის გამო დღეს გლეხობა არა თუ მალავს დასაზღვევ ობიექტს, არამედ თვითონ მიდის სახდაზღვევის სააგენტოში და აზღვევს როგორც ნათესებს, ისე მსხვილფეხა საქონელს და ბაღ-ვენახებს. ყოველწლიურად იზრდება, როგორც დაზღვეულ საქონლის რიცხვი, ისე ნათესებისა და ბაღ-ვენახებისაც.

მიუხედავათ ამისა სახდაზღვევის საქმეში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ მაზრებში ჯერ არ არის შემოღებული. საჭიროა ყველა მაზრებზე ვრცელდებოდეს ნათესების და ბაღ-ვენახების სავალდებულო დაზღვევა. ამასთანავე აუცილებელია აგიტაცია-პროპაგანდის გაცხოველება, რომ თვითეული მშრომელი გლეხისათვის ნათელი შეიქნეს სახდაზღვევის მნიშვნელობა. ეს მოვალეობა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა უნდა იკისრონ.

ლი.

ყველამ უნდა დავეხმაროთ
კოხნარის თემი, გურია

კოხნარის თემი ეკონომიურად ღარიბია, მიუხედავად ამისა, ის კულტურულად წინ მიდის. ამჟამად არსებობს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა 20 დესიატინა მიწით, სამი კოოპერატიული სავაჭრო, გლეხკომი საკუთარი შენობით, საფერშლო პუნქტი, ფოსტის სააგენტო, ხუთი სამკითხველო და სხვა. ყველა ეს გაკეთებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

თემს არა აქვს მხოლოდ ერთი უმთავრესი კულტურული საუნჯე. ეს არის სახალხო სახლი. სახალხო სახლის ასაგებად უკვე გადაიდგა სათანადო ნაბიჯი. შედგენილ იქნა გეგმა, რომლის მიხედვით სახლის აგება ჯდება 4.500 მან. თემის მოსახლეობას გაუძნელდება ამ საქმის დამთავრება, თუ ამას ხელი არ გაუწოდა სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე კოხნარის თემის მოსახლეობამ. თვითეულმა ჩვენთაგანმა უნდა გავიღოთ ჩვენი წვლილი. ამას მოითხოვს გლეხობის ინტერესი. გაღებულ თანხას გადაუგზავნით თემის აღმასკომს. პირადად მე ვიღებ კულტურულ-საამშენებლო საქმისათვის 50 მანეთს და ვიმედოვნებ სხვებიც არ დაიშურებენ თემის წინმსვლელობისათვის მცირე თანხებს.

ბენია დოლიძე.

გაუთავებელი დაპირება
წითელი-ქალაქი, გორის მაზრა

წითელ ქალაქის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ამხანაგობის მიზანია დაეხმაროს გრძელვადიანი სესხით ღარიბ გლეხებს, და ამასთან ერთად მიაწოდოს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები.

ამხანაგობას განზრახული ქონდა მოეტანა ტრაქტორი. ამ მიზნით შეგროვილი იქნა საჭირო თანხა გლეხობისაგან. მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მაგრამ გავიდა რამოდენიმე თვე და ტრაქტორი არსად ჩანს. გლეხები ისევ კულაკების ხელში ჩასცვივდნენ. საჭიროა ამხანაგობის გამგეობამ გლეხობას შეუსრულოს დაპირება.

მზვერავი.

ადგილკომი არაფერს აკეთებს
საგარეჯო, გარე-კახეთი

საგარეჯოს საბჭოთა და სავაჭრო კავშირის ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა მიმდინარე წლამდე. ახალი ადგილკომის არჩევის შემდეგ ადგილკომი მიეცა სალათას ძილს და კავშირის წევრებს მათი გამოღვიძების იმედი აღარ აქვთ.

არ სწარმოებს არავითარი კულტმუშაობა. დაწესებულებებში გამეფებულია ზედმეტი მუშაობა, არავითარი ყურადღება არ ექცევა დაწესებულებებში თავისუფალ ადგილებზე უმუშევარ კავშირის წევრის მოთავსებას. არც ერთი ოქმი არ სდგება დაწესებულების მიმართ ზედმეტი საათების მუშაობის საწინააღმდეგოდ. კავშირის წევრის ერთი კავშირიდან მეორეში გადარიცხვას ანდომებენ ერთ წელიწადს. განზრახული იყო ექსკურსიის მოწყობა საგარეჯოდან თელავში. ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდა, მაგრამ ექსკურსია ვერ მოეწყო.

აუცილებელია ადგილკომის გადარჩევა და მასში ენერგიული მუშაკების არჩევა.

ბოინა.

ჩვენი სოფლის ავ-კარგი
ს. სოღანლუღი, თბ. მაზრა

სოფელი სოღანლუღი მდებარეობს თბილისიდან 9 კილომეტრის დაშორებით. ამ სოფელში სცხოვრობენ თათრები, დაახლოვებით 150 კომლი, რომლებიც მისდევენ უმთავრესად მებოსტნეობას და მესაქონლეობას. სოღანლუღიდან მუდამ დღე მოდის თბილისში დიდძალი ბოსტნეულობა. მეურნეები გაერთიანებული არიან სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობა „სოფლის მეურნე"-ში და მეცხვარეთა ამხანაგობა „ბირლიკ"-ში. როგორც პირველი, აგრეთვე მეორე ამხანაგობა საგრძნობ დახმარებას უწევენ სოღანლუღის მეურნეებს.

სოფელი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია. სოფელში არის სასწავლებელი თურქულ ენაზე, სადაც კარგად ასწავლიან, მაგრამ მცხოვრებლები თხოულობენ თურქულ ენასთან ერთად ასწავლიდნენ ქართულ ენას, რასაც თბილისის განათლების განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. არა აქვთ სამომხმარებლო კოოპერატივი, რის გამო მცხოვრებლები შევიწროვებულნი არიან. თუ კოოპერატივის დაარსება ვერ მოხერხდა, ერთი განყოფილების გახსნა მაინც არის შესაძლებელი. სოფლელების მიერ ცეკავშირთან ამის შესახებ აღძრულია შუამდგომლობა და იმედი აქვთ ცეკავშირი დაეხმარება სამომხმარებლო კოოპერატივის დაარსებაში.

შაქრო.

კოოპერატივით ვერ ვსარგებლობთ
წალენჯიხის თემი, ზუგდიდის მაზრა

წალენჯიხის თემის სოფ. ფუქის მცხოვრებლებს უნდა გახსნათ კოოპ., ამ რამოდენიმე ხნის წინეთ მართლაც გაიხსნა კოოპერატივი, მაგრამ არა ცენტრში, არამედ განაპირა ადგილას, რომლითაც სარგებლობს მცხოვრებთა სულ უმნიშვნელო ნაწილი. ამიტომ აუცილებელია კოოპერატივი გაიხსნას იქ, სადაც ამ სოფლის ცენტრია. ვნახოთ თუ რა ზომებს მიიღებს წალენჯიხის სარაიონო კოოპერატივის გამგეობა.

ი. ფუქელი.

წერილებიდან

ს. ასურეთი, (თბილისის მაზრა). ასურეთის თემში სამი სამკითხველოა: გერმანულ, ქართულ და სომხურ სოფლებში. თვით თემში 12 სოფელი შედის, მათში არაა წითელი კუთხეები. თემში ასაგებია კლუბი და სამკითხველოს შენობა, რასაც აღმასკომმა დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

ალ. ო—ძე.

ს. გლდანი (თბილისის მაზრა). ადგილობრივ კლუბში წინეთ არ იმართებოდა წარმოდგენები. ამჟამად ამხ. დავითულიანმა კომკავშირელების დახმარებით შესძლო ამ ნაკლის გამოსწორება. რამდენიმეჯერ დაიდგა წარმოდგენა ადგილობრივი ძალებით. იმედია მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდება.

გლდანელი ვ.

ს. გალღუჯიანი, (კახეთის მაზრა). ადგილობრივ მცხოვრებ ნიკოლოზ და თედორე ჯაჯანიძეებმა იყიდეს მიწა ილარიონ სირაძისაგან. ხელისუფლების შეცდომაში შესაყვანად ისინი ამბობენ იჯარით ავიღეთ 12 წლის ვადითო. საჭიროა თემაღმასკომმა ეს საქმე გამოარკვიოს.

სიმართლე.

ხეთის თემი (ზუგდ. მაზ.). ადგილობრივ ოთხწლედის შენობის შეკეთება დაიწყო 1927 წელში და დღემდისაც არ არის დასრულებული. ამჟამად არც არავინ ზრუნავს მისი დამთავრებისათვის. ამრიგად სწავლას ხელი ეშლება. საჭიროა სასწრაფოდ ზომების მიღება.

მ. ცხადაია.

საკურორტო ადგილები ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის მაზრაში არის სამი, უკვე ცნობილი საკურორტო ადგილი და სამკურნალო წყარო: 1) ცაიში, 2) სქური და 3) ლუგელა-მუხური.

ცაიში

ცაიშის გოგირდის წყაროებს, როგორც ეს ქიმიკოსმა კუპციუსმა გამოიკვლია, ახასიათებენ საუკეთესო სამკურნალო თვისებები. ამასთან, ცაიში განირჩევა ჯანსაღი ჰავით და იშვიათი სილამაზით. მიმოსვლის პირობებიც (იმყოფება სენაკ-ზუგდიდის შარა გზაზე და ზედ აკრავს რკინის გზას) ხელს უწყობს ცაიშის, როგორც კურორტის, განვითარებას. სამაზრო აღმასკომმა მიმდინარე წელს ყურადღება მიაქცია ცაიშის კეთილმოწყობას: გააშენა ერთი რამოდენიმე ოთახიანი სახლი შორიდან ჩამოსულ მოაგარაკეთათვის, გახსნა საექიმო პუნქტი, მოაწყო ათამდე ვანა და სხვ., მაგრამ ეს ოდნავადაც არ არის საკმარისი. მრავლად მოსულ ავათმყოფებს, უბინაობის გამო, მეტწილად ცის ქვეშ უხდებათ ცხოვრება. სამაზრო აღმასკომს კი საშუალებები არ გააჩნია აქ მშენებლობის გასაფართოებლად.

სქურის სამკურნალო წყარო.—წყაროს თან თავმოყრილია აფხაზეთიდან წყლის წასაღებათ ქურჭლებით ჩამოსული გლეხები

სქური

სქური მდებარეობს ს. ჯვარის თემში. იმავე კუპციუსის მიერ მოხდენილ ანალიზის თანახმად, სქურის მინერალური წყარო თავის შემადგენლობით და თვისებებით ძალიან უახლოვდება ბადენის (შვეიცარია) წყაროებს. ის არჩენს კუჭის, ნაწლავების და სხ. ავათმყოფობას. ოთხი წელია, რაც ეს წყარო აღმოჩენილ იქნა და ამ ხნის განმავლობაში მან დიდი სახელი გაითქვა. არა მარტო ზუგდიდის, არამედ მთელ საქართველოს ყოველ კუთხიდან მას უამრავი ხალხი აწყდება. მაგრამ უბინაობა ძალზე აფერხებს საქმეს. სქურის კეთილმოწყობისათვის მაზრის აღმასკომმა წელს დახარჯა ხუთი ათასი მანეთი, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. სქური თამამად შეიძლება გახდეს საკავშირო მნიშვნელობის კურორტად, თუ მის მოსაწყობად საჭირო თანხა იქნება გაღებული.

მუხური

ჯანმრთელობის კომისარიატის ქიმიურ ლაბორატორიაში კუპციუსისავე ხელმძღვანელობით გამოკვლეულ იქნა ლუგელას (მუხურის) მინერალური წყარო. ქლორის კალციუმის რაოდენობით ეს წყარო ერთად ერთია მთელ საბჭოთა კავშირში და ევროპაში. მრავალ სამკურნალო მიზნებისთვის უკეთესია ვიხმაროთ ქლორის კალციუმის ნატურალური ხსნარი, ვიდრე აფთიაქებში დამზადებული სუროგატი. მუხურის წყარო პირდაპირ მისწრებაა სასუნთქ ორგანოების განსაკურნავად. ამას უნდა დაუმატოთ ამ რაიონის მაცოცხლებელი ჰაერი და საუცხოვო სილამაზე. ამიტომ აქ ყოველწლიურად დიდძალი ხალხი მოდის სამკურნალოდ. მუხურის კეთილმოწყობისათვის ჯერ არაფერი გაკეთებულა: მაზრის აღმასკომს საამისო საშუალებები არ გააჩნია.

დროა ჯანმრთელობის კომისარიატმა და საკურორტო სამმართველომ ზუგდიდის მაზრის ძვირფას სამკურნალო წყაროებს ყურადღება მიაქციონ და მიიღონ ზომები მათი ცოტად თუ ბევრად რიგიანი ექსპლოატაციისათვის (მარტო გამოკვლევა როდი კმარა). ამაზე გაწეული ხარჯები ასჯერ მეტად იქნება ანაზღაურებული არა მარტო იმ მხრივ, რომ ეს წყაროები გახდებიან მუშათა და გლეხთა ჯანმრთელობის მძლავრ ფაქტორებათ, არამედ იმ მხრივაც, რომ ისინი სახელმწიფოს მნიშვნელოვან საშუალებებს მისცემენ.

ი. ქვანია.

მუშათა ცხოვრება

ფაბქარხადგილკომების გადარჩევის გამო

პროფორგანიზაციის მუშაობაში, საკავშირო ორგანოების გადარჩევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროფმუშაკები სრულიად არ იცნობენ ინსტრუქციას ფაბკომების გადარჩევის შესახებ და კამპანიას ატარებენ ისე, როგორც ეს მათ ესმით.

გადარჩევის დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დირექტივების ურყევად და სრული ასი პროცენტით ცხოვრებაში გატარებას. უკიდურეს შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს პროფმუშაკმა პირველად მასის წინაშე და შემდეგ კი ზემო მდგომ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების წინაშე.

საარჩევნო კრება უნდა იწვეოდეს მუშებისათვის მოხერხებულ დროს. მომხსენებელს უნდა ეძლეოდეს დრო არა უმეტეს ერთი საათისა და კრებაც არ უნდა გრძელდებოდეს სამ საათზე მეტი. საარჩევნო კომისია ირჩევა საერთო ან სადელეგატო კრებაზე. საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია არჩეულ იქნას ფაბქარხადგილკომების წევრიც, არც ფაბქარხადგილკომი და არც საარჩევნო კომისია თავის მხრივ კანდიდატებს არ ასახელებს.

საარჩევნო საერთო კრება ითვლება კანონიერად, თუ დამსწრეთა რიცხვი უდრის წარმოებაში მომუშავეთა 50 პროცენტს. კონფერენციაზე კი უნდა იყოს შემადგენლობის ორი მესამედი. მეორედ მოწვეული საერთო კრება, ან კონფერენცია ითვლება კანონიერად მაშინ, თუ ის მოწვეული იქნება 5—7 დღის შემდეგ და ასეთს დაესწრება პირველ შემთხვევაში ერთი მესამედი და მეორე შემთხვევაში კი ნახევარი.

არჩევნების დროს: პირველ რიგში კენჭს უყრიან იმ კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებულია საამქრო, ანუ ცვლის საერთო კრებაზე,—შემდეგ იმ კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებულია საარჩევნო კომისიაში ცალკე მუშების ჯგუფის მიერ და არავითარ ძალდატანებას ადგილი არ უნდა ქონდეს. კენჭის ყრის დროს კენჭი ითვლება მხოლოდ მომხრეების. ხმის მიცემა არ უნდა იქნეს განსაზღვრული.

დასასრულ საარჩევნო კომისიამ და საერთო კრებამ, ნაკაზის მიღების დროს ყურადღება უნდა მიაქციოს მასიური მუშაობის გამოცოცხლებას და ლოზუნგი მასებთან ახლოს ცხოვრებაში გატარებას, მუშა-მოსამსახურეების კულტურულ დონის აწევას, წარმოების რაციონალიზაციას, შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდას, პროტექციონიზმთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, მუშათა დაწინაურებას, მათ კოოპერაციაში ასი პროცენტით ჩაბმას და სრული პაის შეტანას, ინდუსტრიალიზაციის საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღებას, ყოველ დღიური მუშაობის დროს აღმოცენებული დეფექტების გამოსწორებას და სხვა.

ალ. ფრუიძე.

სექტანტები ამოძრავდნენ

სხვადასხვა ეროვნების სექტანტებს შორის პირველი ადგილი მალაკნებს უნდა მიეკუთვნოს, რომლებიც საკმაოდ არიან თბილისში. მაგრამ მათ მიმდევრებში არიან აგრეთვე სექტანტებიც, რომლებიც თავიანთი წრის მიმდევრებს უწოდებენ „ქართველ ქრისტიანთა სახარების საზოგადოება"-ს.

ყაზბეგის ქუჩაზე, სახლი № 25-ში არსებობს ასეთი საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელებსაც, ვერის რაიონში სხვადასხვა „ობივატელურ" ფენებთან აქვთ გაბმული ქსელი. საზოგადოებას უჭირავს დარაბა, რომელიც აჭრელებულია სხვადასხვა პლაკატებით, სადაც ასეთ წარწერებს წააწყდებით: „ჩვენ ვქადაგებთ ქრისტეს ჯვარცმულსა", „მოინანიეთ ცოდვანი და იწამეთ სახარება", „იცხოვრეთ სიყვარულით" და სხვა მრავალ სისულელეს.

აქ საკვირველი ისაა, თუ როგორ ეგუება ეს ხალხი დღევანდელ საბჭოთა რეჟიმის სინამდვილეს და როგორ ატყუებენ ისინი გულუბრყვილო, უვიც თავიანთ წევრებს და უხშობენ გონებას. ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია. თქმა არ უნდა, რომ ამ საზოგადოების მესვეურთ კარგად ესმით პლაკატების მნიშვნელობა და ერთგვარი წაბაძულობისათვის მიუმართავთ, რომ დაარწმუნონ იქ მოხეტიალე ხალხი ეითომდა საქმიანობაში. ნამდვილად კი პლაკატებით ისინი ნიღაბ ქვეშ ამოფარებულნი ეწევიან პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ—სექტანტურ იდეის გასავრცელებლად.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ იქვე, დარაბის წინ თავს იყრის ამ უბნის ახალგაზრდობა, რომელთა შორის არიან კომკავშირის წევრებიც. რა თქმა უნდა „სახარების მოყვარულთა ქადაგება მათზე გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ მაინც ცუდი შედეგი მოაქვს მოზარდი ახალგაზრდობისათვის.

აღნიშნულ საზოგადოების მიმდევრები რელიგიურ პროპაგანდას ეწევიან ქართველი ბაპტისტების სახელწოდებით. თუ ასე აშკარად განაგრძეს შემდეგშიაც მათ თავიანთი „მოღვაწეობა" „ქრისტეს" სახელით, აუცილებლად საჭირო იქნება მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება, რათა ნიღაბი აეხადოს ამ ხალხის ცრუ აზროვნებას და ბოროტმოქმედებას.

ყ—ნი.

ვისაც ქონდეს მას მიეცეს

ახალშენებათა კომიტეტს ყავს ტეხნიკური მდივანი, რომელიც ღებულობდა 140 მანეთს ჯამაგირს, მაგრამ საქმე კი ბევრი არაფერი ქონდა რა. დროს დერეფანში ხეტიალით ატარებდა. ეს თავის დროზე კედლის გაზეთმაც აღნიშნა. მიუხედავად ამისა აღნიშნულ მდივანს ამ დღეებში ჯამაგირი 40 მანეთით გაუდიდდა. ამრიგად ტყვილა ყოფნაში ჯამაგირი გაუხადეს 180 მან. თვეში. მაგრამ ეს არაფერი. აქ სხვაც ბევრია ასეთი მაგალითები.

აქაური ბუღალტერი ხატისკაცი, ორი თვის განმავლობაში მთავარ ბუღალტერის მოვალეობას ასრულებდა. განსხვავებასაც ღებულობდა 170 მანეთს. ამავე დროს „მომქირნე" ხალხმა ხსენებულ ხატისკაცს მისცეს შვებულების კომპენსაცია, ასე რომ ხატისკაცმა ერთ თვეში 350 მან. აიღო.

საერთო განყოფილების გამგე ღებულობს 180 მან. თვეში და მასვე მიაბარეს ერთი წიგნის შკაფი, რომლის გამგებლობისათვის ეძლევა თვეში 25 მან. ამავე დროს კი დაბალ თანამდებობის პირებს არავითარი ყურადღება არ ექცევა. ასეთი ამბები ხდება ალმშენებელთა კომიტეტში.

ნ.

დაუსჯელი არ უნდა დარჩეს

დამზღვევი სალაროები, გარდა მუშა-მოსამსახურეთა უშუალოდ მკურნალობისა, შრომის უნარის დროებით დაკარგვის ან ნაწილობრივ დაკარგვის შემთხვევაში, საშუალებას აძლევს მუშა-მოსამსახურეებს, დასვენებისა და სათანადო მკურნალობის საშუალებით აღიდგინონ თავიანთი ჯამრთელობა. სამწუხაროდ ზოგიერთები ამ უფლებას ბოროტად იყენებენ. ისინი ატყუილებენ დამზღვევ სალაროსა და უხვად იღებენ მშრომელთა ფულებს.

თამბაქოს ტრესტის ბუღალტერმა ალ. მარგველაშვილმა დამზღვევ სალაროდან აიღო ერთი თვის შვებულება, 11 ივლისიდან 11 აგვისტომდე. სალაროდან მან მიიღო ერთი თვის ჯამაგირი 150 მანეთის რაოდენობით. მაგრამ მარგველაშვილმა არ ისარგებლა ამ შვებულებით და განაგრძო მუშაობა. მან ერთი და იმავე დროის განმავლობაში ტრესტისაგანაც მიიღო ხელფასი. მარგველაშვილს გაუტკბა პირველი თხუთმეტი თუმანი და მეორედ კიდევ მიიღო დამზღვევ სალაროდან სამი კვირის შვებულება, 17 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე, მაგრამ ის დღესაც მსახურობს და ალბად ტრესტიდანაც მიიღებს თვის ბოლოს შრომის ხელფასს.

ასევე მოიქცა სტატ. სექციის გამგე სერგო ზაზუნოვიც. მანაც დამზღვევ სალაროდან მიიღო შვებულება მაგრამ ამავე დროს ისარგებლა დამატებით შვებულებით ტრესტიდან და მეორეთ ჩაიჯიბა დ. სალაროს ფულები. დამზღვევ სალაროდან მიღებული შვებულებით კი აღარ ისარგებლა.

თუ ამ ხალხს არ სჭირდებოდათ დასვენება, როგორ ახერხებენ დამზღვევ სალაროდან შვებულების აღებას? ალბად ვინმე „მწყალობელი" თუ ჰყავთ. მაგრამ ვინც არ უნდა ყავდეთ დასკვნა ერთია: როგორც პირველი, ისე მეორე, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. მათ უნდა დაუბრუნონ დამზღვევ სალაროს წაღებული ფული.

მეჩონგური.

მუშკორთა წერილებიდან

ხმაურობა გვაწუხებს. თბილისის სულით დაავადებულთა საავადმყოფოს გვერდით არსებობს რომელიღაც დაწესებულების კლუბი, სადაც განუწყვეტლივ ხმაურია. ეს ძალიან მოქმედობს სულით დაავადებულებზე. მათ ესაჭიროებათ სიწყნარე და სიმშვიდე. ჯანმრთელობის განყოფილებავ, მიაქციე ყურადღება.

იასონ გეწაძე.

მოხერხებული კაცი. კლარა ცეტკინისა და რეუტოვის ქუჩების კუთხეში არსებობს კერძო სამკურნალო, რომელიც ეკუთვნის ექიმ მალაევს. მალაევი მოხერხებული კაცია. ის, საავადმყოფოში დახარჯულ წყლის ღირებულებას მდგმურებს ახდევინებს.

სილვა.

დროზე ვერ ვღებულობთ. 26 კომუნარის ქარხნის მუშები, თვიურ ხელფასს დროზე ვერ ღებულობენ. ქარხანა კარგა მუშაობს, საქმეც თავისაყრელი აქვს, მაგრამ ხელფასის დარიგება მაინც გვიანდება. რად ხდება ასე?

კ. მე—ლი.

ტალახში ვიხრჩობით. (ტყიბული). ტყიბულის ძველ მაღაროების გვირაბებში საშინელი ტალახია. მუშები თითქმის კოჭებამდე ტალახში მუშაობენ. ამის შესახებ აღძრული იყო საჩივარი სათანადო ორგანოებთან, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

გრი—ქაძ.

დაზღვეული არ არის. სახელგამის ქუთაისის განყოფილების წყალტუბოს კიოსკის გამგე ერთი წელიწადია, რაც მსახურობს ამ თანამდებობაზე მაგრამ ჯერ კიდევ დაზღვეული არ არის. რატომ არ დააზღვევენ თანამშრომელს?

დაინტერესებული.

უშიშროების ტეხნიკის გაუმჯობესება
ამიერ-კავკასიის მრეწველობაში

ა.-კ. შრომის სახკომისარიატის მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ გამოკვლევებმა აღმოაჩინეს, რომ ამიერ-კავკასიის მთელ რიგ წარმოებებში, უშიშროების ტეხნიკის დარგში მრავალ დეფექტებს აქვს ადგილი. ამის გამო უბედურ შემთხვევათა რიცხვი ამიერ-კავკასიის წარმოებებში ყოველწლიურად იზრდება. მარტო 25—26 და 26—27 წ. ცნობების თანახმად, უბედურ შემთხვევათა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 6,6 პროც. გაიზარდა.

ა.-კ. შრომის სახკომისარიატმა სერიოზული ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და უბედურ შემთხვევათა რიცხვის შემცირებისა და წარმოებებში შრომის პირობების გაჯანსაღების მიზნით, საჭიროდ სცნო ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში შეტანილი იქნეს სათანადო ხარჯები წარმოებებში მთელ რიგ ღონისძიებების განსახორციელებლად.

ამ გეგმის თანახმად უშიშროების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებებისათვის მომავალ 1928-29 წელს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო მრეწველობის ყველა დარგებისათვის სულ გადადებული უნდა იქნეს 4.933.800 მან. აქედან რესპუბლიკანური მნიშვნელობის მრეწველობის წარმოებებზე უნდა დაიხარჯოს 1.874.200 მან. ხოლო ადგილობრივ მნიშვნელობის მრეწველობის წარმოებებზე—160.000 მან.

გადადებულ თანხის 31 პროც. უნდა მოხმარდეს საკუთრივ უშიშროების ტეხნიკის გაუმჯობესებას, 31 პროც. დამხმარე ხასიათის შენობათა აგებას, 21 პროც. სავენტილაციო მოწყობილობის დადგმას წარმოებებში, ხოლო დანარჩენი 17 პროც. სხვა ღონისძიებებს.

ა.-კ. შრომის სახკომისარიატმა გაითვალისწინა ბაქოს ნავთის მრეწველობაში არსებული შრომის მძიმე პირობები და საჭიროდ სცნო პირველ რიგში დაკმაყოფილდეს „აზნავთი"-ს საჭიროებანი, რისთვისაც „აზნავთს" უნდა მიეცეს 2.793.000 მან.

ამას გარდა საკონტროლო-ციფრები შედგენილია ზოგიერთ არასამრეწველო წარმოებებისა და დაწესებულებებისათვის. აღნიშნულ დარგის წარმოებებში შრომის პირობების გაჯანსაღების და უშიშროების ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის განზრახულია დაიხარჯოს 203.000 მან.

საბინაო მშენებლობის 5 წლიანი გეგმა
(თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიის პროექტი)

თბილისში საცხოვრებლად გამოყენებული საბინაო სივრცე 1926 წლის აღწერის მიხედვით შეიცავს 1.926.500 კვ. მეტრს. ამას უნდა გამოაკლდეს ის საცხოვრებელი სივრცე, რომელიც ფაქტიურად დაკავებულია, მაგრამ უვარგისია საცხოვრებლად (დარაბები, სარდაფები და სხვ.) რაც შეადგენს საბინაო სივრცის 15 პროცენტს. ამრიგად 1926—27 წლის დასაწყისისათვის საცხოვრებლად გამოსადეგი საბინაო სივრცე არ აღემატებოდა 1.673.500 კვ. მეტრს.

1926—27 და 1927—28 წლებში სახლების ბუნებრივი დაზიანებით გამოწვეული დანაკლისი უდრის 1 პროცენტს. რაც შეადგენს 34.000 მეტრს, ხოლო ამავე ხნის განმავლობაში საბინაო სივრცეს მიემატა 30.000 მეტრი, ასე რომ 1928—29 წელს თბილისში საცხოვრებლად გამოსადეგი საბინაო სივრცე არ აღემატებოდა 1.633.000 კვ. მეტრს.

ამჟამად თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 300.000 სულს, ასე რომ (საერთო საცხოვრებლების გამოკლებით) თვითეულ სულზე მოდის 5,5 კვ. მეტრი. მაგრამ ეს ნორმა მერყევია, ვინაიდან მცხოვრებთა საგრძნობ ნაწილს სულზე უჭირავს 2 მეტრი, ნაწილს—3 და 4 და ნაწილს კი საშუალოდ 9 მეტრამდე.

ვინაიდან არ არის საშუალება, რომ მცხოვრებნი უახლოეს დროში სრული ნორმით იქნენ დაკმაყოფილებული, ამიტომ უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში სულზე სტაბილურ ნორმათ მიჩნეული იქნება 5.5 კვ. მ. ამ ნორმის მიხედვით მცხოვრებთა არსებული რაოდენობის (300.000 სულის) დასაკმაყოფილებლად საჭიროა 153.000 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი სივრცე. თუ ამას დაუმატებთ უვარგის ბინებს, მაშინ თბილისის მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება 442.000 კვ. მეტრი.

გარდა ამისა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის გამო უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება კიდევ 262.300 კვ. მეტრი. ახალი საცხოვრებელი ფართობი და ბინების ბუნებრივი დაზიანების გამო 86.500 მეტრი. ამრიგად უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში თბილისის მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად ზემოთმოყვანილი ნორმით (5,5 კვ. მეტრი) სულ საჭირო იქნება 790.500 კვ. მეტრი ახალი ფართობი, რაც დაჯდება 94.600.000 მანეთი.

მაგრამ ამ რაოდენობით ახალი ბინების აგება შეუძლებელი იქნება უსახსრობის გამო. ამიტომ მიღებული იქნება ზომები მცხოვრებთა იმ ნაწილის შესამჭიდროებლად, რომელთაც უჭირავთ მინიმუმზე მეტი საცხოვრებელი ფართობი (შემჭიდროება შეეხება მხოლოდ არამშრომელ ელემენტებს) ამ საშუალებით შესაძლებელი გახდება უვარგის ბინებში მცხოვრებთა, ან ბუნებრივად მომატებულ მცხოვრებთა ნაწილის 80 პროც. დაკმაყოფილება. ამასთანავე, უვარგის ბინებში მცხოვრებთა ნაწილი დროებით დატოვებული იქნება ძველ ბინებში. სამაგიეროდ მიღებულ იქნება ზომები ამ ბინების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ ღონისძიებების შემდეგ თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმით. უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში თბილისში სულ აგებული იქნება 364.000 კვ. მეტრი ახალი ფართობი, რაც დაჯდება 43.800.000 მანეთი. აქედან აღმასკომი თავის თანხებით ააგებს 195.000 მეტრს. რისთვისაც ხუთი წლის განმავლობაში დახარჯავს 25.940.000 მანეთს; საბინაო კოოპერატიული ამხანაგობები—94.500 მეტრს, რაზედაც დაიხარჯება 9.720.000 მანეთი.

სხვადასხვა სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზაციები ააგებენ სულ 53.000 კვ. მეტრს, რაც დაჯდება 5.280.000 მანეთი.

1928—29 წელში თბილისის აღმასკომი ააგებს 17.500 მეტრს, რისთვისაც გაღებული იქნება 2 მილიონი მან., კოოპერატიული ამხანაგობები—8.000 მეტრს. რაზედაც დახარჯავენ 960.000 მანეთს და სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზაციები—4.000 მეტრს. რაც დაჯდება 48.000 მანეთი.

1929—30 წელში ყველა ორგანიზაციები ააგებენ 41.700 მეტრს და დახარჯავენ 4.960.000 მანეთს. 1930—31 წელში—59.000 მეტრს და დახარჯავენ 6.360.000 მანეთს 1931—32 წელში—88.000 მეტრს და დაიხარჯება 8.590.000 მანეთი, ხოლო უკანასკნელ წელში 1933—34 წ.—ჩამოთვლილი ორგანიზაციები სულ ააგებენ 124.030 მეტრს და დახარჯავენ 11.340.000 მანეთს.

ამრიგად უახლოეს 5 წლის განმავლობაში თბილისში სულ აგებული იქნება 360.000 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, რაზედაც დაიხარჯება 43.800.000 მანეთი.

საქ. სახკომსაბჭოში

სასაკლაოზე საქონლის დაკვლის ფასების შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა ქუთაისის და ახალციხის სამაზრო აღმასკომებს და ქ. ბათომის საბჭოს სასაკლაოზე საქონლის დაკვლის ახალი ფასები გაატარონ ცხოვრებაში 1928 წ. ოქტომბრის პირველიდან.

შენობების სავალდებულო დაზღვევა ცეცხლისაგან დ. ჩხარსა, საჩხერესა და ხარაგოულში

ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო დ. ჩხარსა, საჩხერესა და ხარაგოულში შენობების ცეცხლისაგან სავალდებულო-საგანაკვეთო დაზღვევის შემოღება 1928—29 საოპერაციო წლიდან, რისთვისაც აღიძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე.

კლუბ-სათამაშოების დახურვის ვადა

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცხენთსაშენის გამგებლობაში არსებული კლუბ სათამაშოების დახურვის ვადა განგრძობილ იქნა ა. წ. ოქტომბრის 15-მდე.

ამხ. ვასილ ცინცაძის დანიშვნა

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ვასილ ცინცაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეუსრულებლობა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და ეკონომიური საბჭოს შეერთებულ სხდომაზე დადგენილ იქნა, შენიშვნა მიეცეთ ქუთაისისა და ახალციხის სამაზრო აღმასკომებს იმის გამო, რომ მათ არ შეასრულეს ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს და საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებანი საქონლის დაკვლის ტარიფების შესახებ. აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს დაევალა, იგივე შენიშვნა მისცეს ბათომის საბჭოს. აღნიშნულ აღმასკომებს და საბჭოს წინადადება მიეცათ, 1928 წლის 1 ოქტომბრიდან გაატარონ სასაკლაოებში საქონლის დაკვლის ხელფასის ახალი განაკვეთები. (ადს).

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

სესხები გადასახლებულთა დასახლებისათვის

ა.-კ. სას. სამ. ბანკმა 1927-28 საბიუჯეტო წლის ანგარიშში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანურ სას. სამ. ბანკებს გადასახლებულთა დასახლებისათვის გაუნაწილა 280.250 მანეთი.

აღნიშნული თანხიდან საქ. სას. სამ. ბანკს მიეცა —60.270 მან., აზერბეიჯანს—93.650 მ., და სომხეთს—126.330 მან.

დასახლებულთათვის გაცემული სესხები უმთავრესად მოხმარდება საცხოვრებელ ბინების და მეურნეობისათვის საჭირო შენობათა აგებას.

საქ. სას. სამ. და აზერბეიჯანის ბანკები აღნიშნულ საშუალებებიდან მისცემენ საჭირო თანხებს ავტ. რესპუბლიკებს.

დახმარება შემოდგომის თესვას

ა.-კ. სას. სამ. ბანკმა შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიებათა შესასრულებლად საქ. სას. სამ. ბანკს გადასცა 41.000 მან., აზერბეიჯანს—42.000 მან. და სომხეთს—17.000 მან.

სესხები კოლმეურნეობებს

ა.-კ. სას. სამ. ბანკმა, სოფლის ღარიბ მოსახლეობის და კოლმეურნეობებისათვის მიღებულ თანხები შემდეგ ნაირად გაანაწილა, საქ. სას. სამ. ბანკს — ღარიბ გლეხობისათვის გადასცა—37.000 მან. და კოლმეურნეობებისათვის—32.000 მან.

აზერბეიჯანს ორივე მიზნისათვის მიეცა —43.000 მან. და სომხეთს—23.000 მან.

სესხი კონსერვების დამზადებისათვის

მიმდინარე საანგარიშო წლის მეოთხე კვარტალის ანგარიშში, ა.-კ. სას. სამ. ბანკმა სომხეთის სას. სამ. ბანკს, გრძელვადიანი კრედიტის სახით გადასცა 50.000 მან.

აღნიშნული თანხა დანიშნულია საკონსერვო საქმის გასაუმჯობესებლად სომხეთში, რათა მომავალში ამიერ-კავკასიის ბაზრის დაკმაყოფილება ხდებოდეს დაუბრკოლებლად.

ტრანსპორტისათვის გადაცემულ მიწების რეგისტრაცია

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ინსტრუქცია იმ მიწების რეგისტრაციის შესახებ, რომლებიც ტრანსპორტს მიეცა ქალაქის ფარგლებში.

მიწების რეგისტრაცია იმაში მდგომარეობს, რომ შეგროვდეს და დაცულ იქნას ცნობები იმ მიწებისა და წყლით დაჭერილი ადგილების უფლებრივი, სამეურნეო და ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მიეცა ტრანსპორტს ქალაქის ფარგლებში.

მიწების რეგისტრაცია ძირითადი და მიმდინარეა. ძირითადი რეგისტრაციის მიზანია მიწების ნაკვეთების თავდაპირველი სრული გამოკვლევა, იმ გეგმისა და აღწერილობათა შედგენის წესის შეცვლა, რომლებიც განსაზღვრავენ მათი მდებარეობის სადაურობას და აგრეთვე უფლებრივს, სამეურნეო და ბუნებრივ მდგომარეობას. მიმდინარე რეგისტრაციის ამოცანა ის არის, რომ რეგისტრაციის საბუთებში თავის დროზე იქნას შეტანილი მომხდარი ცვლილებანი.

ძირითადი და მიმდინარე რეგისტრაციის წარმოება ეკისრებათ ქალაქის საბჭოებს. (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესის დელეგატების გამგზავრება

4 ოქტომბერს თბილისიდან ბათომში გაემგზავრა ახალგაზრდათა კომინტერნის დელეგატთა ჯგუფი. გამგზავრების წინ დელეგატებმა ამიერ-კავკ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს განუცხადეს:

„ჩვენ მოხარული ვართ, რომ საშუალება მოგვეცა ჩამოვსულიყავით საქართველოში, გავეცანით აქაური ახალგაზრდობის ცხოვრებასა და განწყობილებას, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ძველი ბოლშევიკური გვარდიისათვის მზად დება კარგი, ღირსეული შემცვლელი ძალა. საქართველოს კომკავშირის ინტერესი პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ საკითხებისადმი მეტად დიდია.

უმაღლეს პარტიული ორგანოების მხრივ სწორი ლენინური ხელმძღვანელობის წყალობით კომკავშირის მოძრაობა მიდის ახალი, ფიზიკურად მაგარ და გონებრივად განვითარებულ, ცხოვრების მიზნის მცოდნე ადამიანის აღზრდის გზით".

იაპონელი ჩაის მრეწველების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა იაპონიის ჩაის მრეწველთა ასოციაციის დირექტორი, **იუიჩირო მიამოტო** და ქალ. ოკიცუს ქალაქის თავის მოადგილე **ხირონასუ ტედზუკა.**

საქართველოში ჩამოსვლის შესახებ იუიჩირო მიამოტომ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენი ჩამოსვლის მიზანია გავეცნოთ ჩაის ბაზრის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში და ჩაის მეურნეობის რაიონები. საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენ ვიყავით მოსკოვში სადაც ვაწარმოებდით მოლაპარაკებას „ცენტროსოიუზთან" იაპონიაში ჩაის შესყიდვის შესახებ. ამჟამად ეს მოლაპარაკება უკვე დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით „ცენტროსოიუზი" იაპონიაში შეისყიდის 1.540.000 გირვანქა ჩაის.

საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ვაჭრობა უკანასკნელ ხანებში მეტად გაცხოველებულ ხასიათს ღებულობს. საბჭოთა კავშირიდან იაპონიაში გადის უმთავრესად ნავთი, სატყეო მასალა და სხვა. იაპონიიდან კი შემოაქვთ—ჩაი, ჩაის ქარხნებისათვის საჭირო სხვადასხვა მანქანები და მოწყობილობა. იაპონიის სავაჭრო წრეების სურვილია, რომ „ცენტროსოიუზმა" იაპონიაში გახსნას თავისი განყოფილება, რაც ხელს შეუწყობს იაპონია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის კიდევ უფრო გაცხოველებას.

თბილისიდან ჩვენ გავემგზავრებით ჩაქვში და შემდეგ შემოვივლით შავი ზღვის ყველა იმ რაიონებს, სადაც გაშენებულია ჩაის პლანტაციები.

ა.-კ. საგზაო კომიტეტის პირველი პლენუმი

გუშინ, დილით, შესდგა ახლად არჩეულ საგზაო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმში აირჩია 11 კაცი; საგზაო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. **პ. საბაშვილი,** პასუხისმგებელ მდივნად — **ფეოდოროვი,** საორგანიზაციო განყოფილების გამგედ — **გრიგორიანი,** კულტგანყოფილების გამგედ და ხაზინადრად — **კულიევი,** სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგედ — **უსტიაშვილი.** ბაქოს საუბნო კომიტეტიდან პრეზიდიუმში არჩეულია ამხ. **სადიხ ბადიროვი.** თბილისის საუბნო კომიტეტიდან **სულაძე და კალაძე.** ლენინაკანის საუბნო კომიტეტიდან — **არუთინოვი.** სამტრედიის საუბნო კომიტეტიდან — **ჩაჩუა.** ქალებიდან — ამხ. **მაჩიტაძე;** კანდიდატებად: განჯის საუბნო კომიტეტიდან ამხ. **მახმუდოვი** და ახალგაზრდობის წარმომადგენელი — ამხ. **გრებენკოვი.**

საგზაო შრომის ინსპექტორად პლენუმმა აირჩია ამხ. **გვაზავა.**

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

მეტი ყურადღება ქვიცარცის ექსპორტს

როგორც ვიცით, პარტიის მე-15 ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია საექსპორტო შესაძლებლობათა გაძლიერების საკითხს.

საერთოდ ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქ. ფარგლებში ფრიად თვალსაჩინო საექსპორტო შესაძლებლობაა. საჭიროა მხოლოდ მეტი ინიციატივა და ენერგიული მუშაობა ამ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად.

ცნობილია, რომ ინგლისი ქვიცარცის (ინფუზორიტი) გასანაღდებლად წარმოადგენს დიდ ბაზარს. 1926 წ. ოქტომბერში ქ. ლივერპულში გაიგზავნა ანალიზისათვის ორი ფუთი ახალციხის ქვიცარცი. აღმოჩნდა, რომ ახალციხის ქვიცარცი იშვიათი ღირსების მადანს წარმოადგენს.

1927 წ. დასაწყისში ერთმა ლონდონის ფირმამ მოითხოვა ჰაშნიკად ამ მადნის 50 ტონა. თანვე თავისი წერილობითი სხვადასხვა სახის პირობები წარმოუდგინა სამთო-ქიმიურ კომბინატს ქვიცარცის დიდი რაოდენობით განაღდებისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა და საქმეც მიყრუვდა.

მაგრამ, ეს ერთი ხანია, საქმეში ჩაერია „ზაკგოსტორგი". იმედი უნდა ვიქონიოთ, ის შეეცდება გადალახოს დაბრკოლებანი, რომ მოაგვაროს ეს მნიშვნელოვანი ამოცანა.

ქვიცარცის მოთხოვნილება ინგლისში ფრიად დიდია. მას ხმარობენ ქიმიურ მრეწველობაში, საამშენებლო და საელექტრო ტეხნიკაში, საპნის, ლუდის, შოკოლად-კონფეტის და შაქრის ქარხნებში; მაღალ ღირსების მინების წარმოებაში და სხვა.

ქვიცარციდან ამზადებენ აგრეთვე საუცხოვო აგურებს და აშენებენ ფრიად ჰიგიენურ სახლებს.

ამასთანავე დიდი მოთხოვნილებაა ქვიცარცზე ამერიკაში.

თუ ექსპორტის საქმე სათანადო დონეზე იქნება დაყენებული, ახალციხის ქვიცარცი უეჭველად მოიპოვებს უპირატესობას ინგლისის ბაზარზე.

ტ. ც—ლი.

სარემონტო სახელოსნო წნორის წყალზე
(წერილი კახეთიდან)

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და ტრაქტორების შესაკეთებელი სახელოსნო სადგურ წნორის წყალზე დაარსდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ეს სახელოსნო ეკუთვნოდა სოფლის კავშირს, რომელმაც ხელმძღვანელობის გასაწევად გადასცა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას.

ქიზიყის რაიონისათვის, რომელიც მისდევს ხვნა-თესვას და სადაც 80-დე ტრაქტორი მუშაობს, ასეთი სახელოსნო მეტის მეტად საჭირო იყო.

სახელოსნოს მოსაწყობად მიღებული იქნა სათანადო სესხიც, რომელშიაც შედიოდა — 37.000 მანეთი შენობის ასაგებად. შენობა უნდა აეშენებიათ ორი თვის განმავლობაში.

სახელოსნომ მიიღო ბევრი საჭირო ხელსაწყო, მათ შორის „ფორდის სახელოსნო" რაც საშუალებას იძლევა ტრაქტორებისათვის თვალსაჩინო რემონტის გასაკეთებლად.

მაგრამ ერთი იწერება გეგმაში, ხოლო ცხოვრებაში კი არ ჩქარობენ მათ განხორციელებას. უკვე თავდება საამშენებლო სეზონი და დღემდის სახელოსნოსათვის შენობა არ არის აგებული. ფულები კი უმოქმედოთ დევს. როგორც გადმოვცეს სოფლის კავშირმა თავის ხელში აიღო ინიციატივა შენობის ასაგებად და ურიგდება „სამშენს", (ალბად დღემდის ვერ მორიგებულან).

ამჟამად სახელოსნო მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ, ფიცრულ ქოხში, რომლის კედლებს შუა აქლემიც გაირბენს. ცუდ ამინდში და ქარში სახელოსნოში მუშაობა შეუძლებელია. შენობის უქონლობის გამო მიღებული ხელსაწყო გამოუყენებელია. მაგალითად, ასეთ შენობაში არ შეიძლებოდა ფორდის სახელოსნოს გამართვა. გამოწერილი იყო გაზაფხულზე 20 ძალიანი დიზელი, მაგრამ მიღებული ჯერ კიდევ არ არის. არ აქვს ავტოგენის აპარატი და სხვა.

სახელოსნოსთან არსებობს ტრაქტორების ნაწილების საწყობი, სადაც უფრო ისეთი ნაწილებია, რომელნიც იშვიათად სჭირდებათ. ხოლო არ არის ისეთები, რომელნიც ხშირადაა აუცილებელი, მაგალითად: პორშნები, ბლოკები და სხვა.

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სახელოსნოს მოაწვა აუარებელი საქმე. 13 სექტემბერს, ჩვენს მიერ დათვალიერების დროს, სახელოსნოს გარშემო იდგა შესაკეთებლად 16 ტრაქტორი, რომელნიც უნდა წასულიყვნენ სამუშაოდ შირაქის საბჭოთა მამულში, ოსტატების სიტყვით (სახელოსნოში 5 ოსტატი-ხელოსანია) ტრაქტორების შეკეთება 7—8 დღეში არ დამთავრდება სახელოსნოს მოუწყობლობის გამო.

მიუხედავათ ასეთი პირობებისა, სახელოსნოს 20 მაისიდან 1-ლ სექტემბრამდე კაპიტალურად შეუკეთებია 5 ტრაქტორი, საშუალო რემონტი გაუკეთებია 12 ტრაქტორისათვის, შეუკეთებია ორი ავტომობილი, ბევრი გუთანი, ვერმორელის აპარატები და სხვა წვრილი ინვენტარი.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელოსნოს ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

ალაზნელი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ინდუსტრიალიზაციის სესხის 10 პროც. ანარიცხის განაწილება

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს იმ დადგენილების განსავითარებლად, რომელიც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გამოშვებას შეეხება, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა, რომ ის თანხები, რომლებიც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის 10 პროცენტიანი ანარიცხისაგან შესდგება, უნდა მოხმარდეს მხოლოდ: კომუნალურ მშენებლობას, ადგილობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალურ ხარჯებს, სოფლის სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობას, ადგილობრივ ტრანსპორტსა და საგზაო მშენებლობას. (ადს).

სესხის რეალიზაცია საბინაო ამხანაგობებში

ა.-კ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველომ გამოსცა და ადგილებს დაუგზავნა ახსნა-განმარტებანი საბინაო ამხანაგობებში და მუნიციპალიზაცია-ქმნილ სახლებში ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გასაღების წესის შესახებ.

საბინაო ამხანაგობებში და იმ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ გაერთიანებულან საბინაო ამხანაგობებში, სესხზე ხელის მოწერა უნდა ჩაატარონ საბინაო ამხანაგობების კავშირმა.

საბინაო ამხანაგობებში სესხის კამპანიის ჩასატარებლად საბინაო ამხ.-ბათა კავშირთან უნდა დაარსდეს სესხის რეალიზაციისათვის ხელისშემწყობი კომისია. კომისიას თავისი რწმუნებულები ეყოლება ცალკე საბინაო ამხანაგობებში.

მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში სესხის კამპანიის ჩატარების ხელმძღვანელობა ევალება ქალაქების უძრავ ქონებათა სამმართველოებს, რომელშიც ცალკე სახლების სამმართველოებთან აწყობენ დამხმარე კომისიებს. კომისიების სახლების მცხოვრებთა საზოგადო კრებებზე უნდა ჩაატარონ შესაფერი აგიტაცია-პროპაგანდა, გაუწიონ ტეხნიკური ხელმძღვანელობა ობლიგაციებზე ხელისმოწერას, ხშირი კავშირი იქონიონ უძრავ ქონებათა სამმართველოსთან, მოწყობილ კომისიასთან და სხვა.

სესხის კამპანიის ჩატარებას საერთო ხელმძღვანელობას უწევენ ა.-კ. მთავარ ქალაქებში—რესპუბლიკანური ფინსახკომები, ხოლო პროვინციაში—სამაზრო საფინანსო განყოფილებები და სამაზრო კომისიები.

ადგილებზე

სესხის რეალიზაცია რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში წარმატებით მიმდინარეობს. მუშა-მოსამსახურეთა კრებებს გამოაქვთ დადგენილებები სესხზე ხელის მოწერის შესახებ არანაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. პირველ ოქტომბრამდე, წინასწარი ცნობებით, გასაღებულია 62.000 მანეთის ობლიგაცია; რაც საკონტროლო ციფრის 86.6 პროც. შეადგენს. სესხისადმი გლეხებიც დიდ ინტერესს იჩენენ.

ტყვიავის თემი

ტყვიავის თემის განათლების კავშირის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა კავშირის ყველა წევრმა შეიძინოს ობლიგაციები თითო თვის ხელფასის რაოდენობა.

კ. წვერი.

ბორჯომის რაიონი

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია, ბორჯომის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. დღემდე ბორჯომის რაიონში გავრცელებულია 50.000 მანეთის ობლიგაცია. ბევრი მუშა-მოსამსახურე ორი-სამი თვის ხელფასის ღირებულების ობლიგაციას იძენს. ასევე წარმატებით მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია სოფლად.

ებრაელიძე.

ხეთის თემი, ზუგდიდის მაზრა

ხეთის თემის სატყეო ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა შეიძინონ თითო თვის ხელფასის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია.

მიშა.

თამაკონის თემი, სენ. მაზრა

თამაკონის თემის განათლების კავშირის წევრებმა შეიძინეს თითო თვის ხელფასის ობლიგაცია, რაც უდრის 900 მანეთს.

კოლია.

ნოსირის თემი, სენაკის მაზრა

ნოსირის თემის საბჭოთა და აგურის კრამიტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ, დაადგინა შეიძინონ სესხის ობლიგაცია ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

ნ. ხეხელია.

ხეთა, ზუგდიდის მაზრა

ს. ხეთის გლეხები და საბჭოთა ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურენი დიდის ხალისით გამოეხმაურენ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს. ხეთის აღმასკომის, კოოპერატივის და სასწავლებლის თანამშრომლებმა გადასწყვიტეს შეიძინონ ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

ლუკ. მოქ.

ს. ავჭალა, თბილისის მაზრა

ავჭალის თემის გლეხურ ახალგაზრდობის სკოლის თანამშრომელთა საერთო კრებამ დაადგინა მოაწერონ ხელი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

ნ. ლომთაძე.

„ზაკპროგრუზი"-ს მუშებში (ქუთაისი)

ქუთაისის „ზაკპროგრუზი"-ს მუშების საერთო კრებამ გადასწყვიტა შეიძინონ ობლიგაციები თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

ივ. მუხაძე.

სადმელის და ზნაკვის თემი, (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა)

სადმელის და ზნაკვის თემის განათლების მუშაკთა საერთო კრებამ, რომელმაც მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ, დაადგინა შეიძინონ ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

იონა.

ჯუმათის თემი, (გურია)

ჯუმათის თემის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა შეიძინონ თითო თვის ხელფასის ობლიგაცია.

ლ. მთისპირელი.

შემოდგომის თესვა
გორის მაზრაში

გორის მაზრაში შემოდგომის თესვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.

დღემდე ცენტრიდან მიღებული 10.000 ფ. ხორბალი და 5000 ფუთი ქერი უკვე განაწილებულია თემებს შორის.

გარდა ამისა მუშა-საქონლის შესაძენად თემებს შორის განაწილებული იქნა 18.000 მ., აქედან ღარიბებს გლეხობას ინდივიდუალური სესხის სახით დაურიგდა 4000 მ., კოლექტიურ მეურნეობებს—9000 მანეთი.

საქონლის საკვების დასამზადებლად თემებს შორის განაწილებული იქნა 9.000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად—6.000 მანეთი.

რას მოითხოვენ მაზრები

ქუთაისის მაზრა

ქუთაისის მაზრიდან მიღებულია შუამდგომლობა 4.000 ფუთი სათესლე ხორბლის დამატებით გადაგზავნის შესახებ.

ზუგდიდის მაზრიდან

როგორც ზუგდიდიდან იტყობინებიან, ზუგდიდის მაზრაში შემოდგომაზე ჭვავით დათესილი იქნება 3.000 ჰექტარი, რისთვისაც სამაზრო კომისია რესპუბლიკანურ კომისიას სთხოვს 30.000 ფ. სათესლე ჭვავს და 5.203 მანეთს მუშა-საქონლის შესაძენად.

ახალქალაქიდან

ახალქალაქის მაზრა მოითხოვს 15.000 ფუთ სათესლე ხორბალს, 90 გუთანს, 2 სათეს მანქანას, 22 ფარცხს და 3 ტრიერს.

მიღებულია ზომები ჩამოთვლილ მაზრების მოთხოვნილებათა სავსებით დასაკმაყოფილებლად.

ფლორიდინის ქარხანა ამუშავებული იქნება ერთ თვეში

სამთო მრეწველობის ტრესტი შეუდგა ფლორიდინის გადასამუშავებელ საცდელი ქარხნის მოწყობას ქუთაისში. ქარხანა მოწყობილი იქნება ბარიტის საფქვავი ფაბრიკის გვერდით.

ქარხნის მოწყობილობათა დადგმა დაწყებულია 1-ლი ოქტომბრიდან და დამთავრდება 7 ნოემბრისათვის. საცდელმა ქარხანამ ყოველდღიურად უნდა გამოუშვას 250 ფუთი გადამუშავებული ფლორიდინი.

ქარხნის ამუშავების დროისათვის დაგროვებული იქნება მადნის დიდი მარაგი, იმ მიზნით, რომ ამუშავების შემდეგ შესაძლებელი გახდეს ქარხნის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის ნედლი მასალით. მადნის ამოღება დაწყებულია და გახსნილია რამოდენიმე კარიერი, საიდანაც ყოველ დღიურად ამოიღებენ 800 ფუთზე მეტ ფლორიდინის მადანს.

ქუთაისში საცდელი ქარხნის მოწყობას ხელმძღვანელობს ინჟ. ფილატოვი. ქარხნის მთელი მოწყობა მანქანებიანად ჯდება 30.000 მან.

რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანების გამო

ქრებალოდან გვატყობინებენ: რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანებასთან დაკავშირებით სასწრაფო ზომებია მიღებული ხელისუფლების ორგანოების გადასაყვანად ახალ სამაზრო ცენტრში — ქრებალოში. ორგანიზაციების ნაწილი: სამაზრო კომიტეტი, მილიცია და სხ. უკვე გადაყვანილია ახალ ცენტრში. სამაზრო აღმასკომის აპარატი ქრებალოში გადაყვანილი იქნება მახლობელ დღეებში. ქრებალოში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს შენობების მოსამზადებლად დაწესებულებებისათვის.

პანაიტ ისტრატის წინადადება სახელგამს

ამ დღეებში, როგორც მკითხველმა უკვე იცის, თბილისში ჩამოვიდა ცნობილი უცხოელი მწერალი **პანაიტ ისტრატი** ამხ. ისტრატი მოგზაურობს საბჭოთა კავშირში და ეცნობა როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ერების ყოფა-ცხოვრებას, ისე, იმ აღმშენებლობას, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირში. მწერალმა თბილისში დაათვალიერა მრავალი წარმოება და კულტურული დაწესებულებები, ეცნობა ქართველ მწერლებს და ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლებს.

ამხ. ისტრატის სახელგამის დათვალიერების დროს ხანგრძლივი საუბარი ქონდა სახელგამის გამგე ამხ. ბიბინეიშვილთან. ისტრატიმ გადასცა მას წერილობითი წინადადება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „ძვირფასო ამხანაგებო, ერთი წელია, რაც საბჭოთა კავშირში ვმოგზაურობ და ვეცნობი სხვადასხვა ერების კულტურულ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას. დღეს საქართველოს კულტურა ძლიერდება ახალი ძალით. ესაა მასში პროლეტარიატის ენერგიის გადასვლა. საჭიროა საქართველოს ახალ და ძველ კულტურას გაეცნოს დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ამისათვის თქვენ არ დაგჭირდებათ არავითარი მსხვერპლის გაღება, მხოლოდ გადათარგმნეთ, ფრანგულ ენაზე ათი თორმეტი ნაწარმოები თქვენი საუკეთესო თანამედროვე პროზისა და ოთხი-ხუთი ფურცელი თქვენი პოეზიისა. მე ვალად ვიღებ სრულიად უსასყიდლოდ მივმართო პარიზში ჩემს სამს ოთხს გამომცემლებს, რომელთაც დამავალეს მივაწოდო მათ საქართველოდან საუკეთესო ფურცლები ლიტერატურის დარგიდან. ისარგებლეთ ჩემი წინადადებით. თქვენი პანაიტ ისტრატი".

სახელგამმა ამ წინადადების გამო დაადგინა: ამ დღეებში მოუწვევს ქართველ მწერლებს საუკეთესო ნაწარმოებთა ნიმუშების შერჩევის ფრანგულ ენაზე გადასათარგმნად. ნიმუშებს შეარჩევს სპეციალური კომისია, როგორც ახალი, ისე ძველი ლიტერატურიდან.

მზადება ახალ წყალსადენის გასაყვანად

თბილისის ახალი წყალსადენის გასაყვანი სამუშაოთა ხელმძღვანელმა ინჟ. **ლ. დოსამიძემ** ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა იმ წინასწარი მუშაობის შესახებ, რომელიც წყალსადენის გასაყვანად სწარმოებს.

ნატახტარიდან თბილისში ახალ წყალსადენის გამოყვანა ხდება მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. ამიტომ ჩვენს მიზანს შეადგენს ყველა სამუშაოები შესრულებული იქნეს უაღრესი სისწორით. მაგრამ ამავე დროს ჩვენს წინაშე იჭრება მთელი რიგი სიძნელეები, რომელთა დასაძლევათ საჭიროა წინასწარ შესაფერი ზომების მიღება.

მუშაობა ახალი წყალსადენის გასაყვანად იწარმოებს 25 კილომეტრის მანძილზე (ე. ი. ნატახტარიდან თბილისამდე). ამ მანძილზე სხვადასხვა პუნქტებში დაიწყება ნაგებობათა აგება და საჭირო იქნება, რომ არც ერთი სამუშაო არ დაბრკოლდეს რამე გაუთვალისწინებელი მიზეზით (მასალების თავის დროზე მიუწოდებლობა, თანხების სიმცირე ან მათი მიწოდების დაბრკოლება. მუშა-ხელის სიმცირე და სხ.) ასეთი ან მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად ახალი წყალსადენის სამუშაოთა სამმართველო შეუდგა სამუშაოთა მოძრაობის გრაფიკის შედგენას.

გრაფიკში დაწვრილებით იქნება გათვალისწინებული სად, როდის და ვინ რა უნდა გააკეთოს, სად და რა დროისთვის რა მასალა უნდა იქნეს მოზიდული და სხვა. სამუშაოთა მოძრაობის გრაფიკის შემუშავება დასრულდება დაახლოებით, თვენახევარში.

წყალსადენის სამუშაოთა დაწყების ვადა ჯერ-ჯერობით არაა სისწორით გამორკვეული. ამჟამად მთავრობის მიერ გამოყოფილი სპეციალური საუწყებათაშორისო კომისია მუშაობს წყალსადენის პროექტის სხვადასხვა მხარეების შესასწავლად. უკანასკნელი ცნობებით მთავრობის კომისიის სექციებში საამშენებლო პროექტის ყველა ნაწილების განხილვა უკვე დაამთავრეს და მოიწონეს, მაგრამ ოფიციალურად კომისიას ჯერ კიდევ არ გამოუტანია საბოლოო დასკვნა.

სამუშაოების დაწყების პირველ წელს უმთავრესი ყურადღება მიექცევა წყალსადენისათვის ნაგებობათა მოწყობას. ეს იმ მოსაზრებით, რომ წყალსადენის ამუშავებისათვის სათავის მოწყობილობებისა და ნაგებობათა სრული გამოცდა და დაუბრკოლებელი მუშაობა სავსებით იქნეს უზრუნველყოფილი.

ქრონიკა

პროფ. ს. გოგელიას ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ლიტველი პროფესორი ს. გოგელია, რომელიც ერევნის სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიურმა ინსტიტუტმა სამეცნიერო მუშაობისათვის მიიწვია.

თათბირი

10 ოქტომბერს თბილისში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინსპექტორთა გაერთიანებული თათბირი.

წყალსადენის ელექტროფიკაცია

თბილისის ქალაქის წყალსადენის სამმართველომ მიიღო უცხოეთიდან წყლის საქაჩავები და წყალსადენის საელექტროფიკაციო საჭირო ყველა ელექტრო-მექანიკური მოწყობილობები.

წყალსადენის საელექტროფიკაციოთ უკვე დაწყებულია მუშაობა. ყველა მანქანებისა და მოწყობილობების დადგმა დასრულდება 2 კვირაში.

ახალი წყალსადენის გაყვანა

წყალსადენის სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით, ამჟამად მთელ ქალაქში აღრიცხულია 3,000 სახლთმფლობელობა, სადაც ჯერ კიდევ არაა გაყვანილი წყალსადენი.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბოლომდე წყალსადენის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს წყალსადენი 1,000 სახლში.

მოანგარიშეთა გადამზადება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოანგარიშეთა გადასამზადებელ კურსებზე მეცადინეობა უკვე დამთავრდა. კურსებზე მეცადინეობდა სულ 140 მოანგარიშე. გამოცდებმა დაამტკიცა, რომ მსმენელები სათანადოდ არიან მომზადებულნი.

ასეთივე კურსებს ახლო ხანში აწყობს აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ხელშეკრულების გადასინჯვა

ბაქოს ელ. სადგურები, ელექტრო-ენერგიას აწვდიან ამიერ-კავკ. რკინის გზების ბაქოს უბანს, თვითეულ კილოვატი საათი, რომელიც იხარჯება საწარმოო მიზნით, ჯდება 7,5 კაპეიკი, განათებისათვის კი 11,5 კაპეიკი. ხოლო ქალაქ ბაქოში, ელ. ენერგიის მიწოდება ყოველგვარ მიზნისათვის ჯდება არა უმეტეს 8 კაპეიკისა. ამგვარად ამიერ-კავკ. რკინის გზები ყოველ წლიურად ბაქოს უბანზე დახარჯულ ელ. ენერგიისათვის, ზედმეტს იხდიან 14,000 მანეთს. ამასთან დაკავშირებით გზების გამგეობამ მიმართა აზნავთს, რათა გადასინჯულ იქნას აღნიშნული ხელშეკრულება.

სადიპლომო პროექტების დაცვა

კვირას, 7 ოქტომბერს დილის 10 საათზე საქართველოს სახელმწ. უნივერსიტეტის შენობაში მოხდება საინჟინერო დიპლომების დაცვა. დიპლომებს იცავს პოლიტექნიკური ფაკულტ. 4 სტუდ.: კ. ფერაძე, პ. ჯიქია, მ. ხევსურიანი და მ. ბრეგვაძე. დიპლომების დაცვა საჯაროა. ეს იქნება უკანასკნელი დიპლომების დაცვა უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, ვინაიდან პოლიტექნიკური ფაკულტეტი გადადის ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ფარგლებში.

თბილისის ალმასკომში

◆ **ჭაობების ამოშრობა.** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა საბურთალოს ჭაობების ამოშრობას.

◆ **კანალიზაცია.** კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ დაამტკიცა ქალაქში კანალიზაციის ქსელის გაფართოების გეგმა. საკანალიზაციო ქსელის გაყვანა სავალდებულოა არა საცხოვრებელ და საცხოვრებელ შენობებში.

◆ **ვენერიულ დისპანსერისათვის** ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 1900 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში** დღეს, 1 ს. შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა საერთო კრება. ყველა თანამშრომლები განთავისუფლებულნი იქნებიან სამსახურისაგან ამ დროისათვის.

◆ **დისპუტი ახალ მუშათა კლუბში.** დღეს საღამოს რვა საათზე ახალ მუშათა კლუბში (სასახლის ქუჩა № 5) გაიმართება დისპუტი თემაზე: „ჩვენი ყოფა-ცხოვრების ძველი მხარეები".

◆ **ტრანსპორტზე მომუშავეთა რესპუბლიკანური ყრილობა** შესდგება 13 ნოემბერს.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბათომიდან—ელიგულაშვილს, ხაშურიდან—თაიროვს, ახალსენაკიდან—მახარაშვილს, ლიაქიდან—რუხაძეს, კულაშიდან—კონიაშვილს.

ხელოვნება

სეზონი რუსთაველის თეატრში

რუსთაველის თეატრში სეზონი გაიხსნება, სამშაბათს, 16 ოქტომბერს. სეზონი გაიხსნება ალ. შანშიაშვილის მიერ გადმოკეთებულ პიესით „ანზორ", პირველი წარმოდგენა 1-ლ აბონიმენტისას. მთავარ როლებში ანზორს—ა. ხორავა, ივანოვი—გ. დავითაშვილი, კაპიტანი—მ. ლორთქიფანიძე, მირზა—ბ. მჟავია, ანზორის მამა—პლ. კორიშელი, ახმა—ვ. გოძიაშვილი, ჩინელი — გ. ხარჩილაძე, ლარბი—გ. სალარაძე, პეტროვი—ვ. ლალიძე, იუსუფ— კ. აბაშიძე, იბრაგიმ—ვ. კობახიძე, კასმათ-ოღლი—მ. ხარაული, ნიკოლოზი—მ. აფხაიძე, მოხუცი—ბ. წულაძე, ანზორის და —ც. თაყაიშვილი, ქალი ნ. დავითაშვილი.

დადგმა—ა. ახმეტელის, კონსტრუქცია—ირ. გამრეკელის, მუსიკა—ი. გოკიელის.

სეზონის გახსნის ერთი კვირის შემდეგ წარმოდგენილი იქნება მეორე ახალი პიესა—ხოზიკას კომედია ქართველ ემიგრანტების ცხოვრებიდან—„ხოჭოების დოღი" (პირველი წარმოდგენა მეორე აბონემენტის).

დადგმა ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის. კონსტრუქცია— ირ. გამრეკელის. მუსიკა— ი. გოკიელის.

მონაწილეობენ: ნ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. დავითაშვილი, ს. ბეჟანიშვილი, სახ. არტისტი ნ. გოცირიძე, გ. დავითაშვილი, აკ. ვასაძე, მ. აფხაიძე და სხ.

—:—

დისპუტი ტოლსტოის შესახებ

საპროფსაბჭოს კულტგანყოფილება მუშათა სასახლის დიდ დარბაზში (რუსთაველის პრ. № 17), შაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, მართავს დისპუტს „ლ. ტოლსტოის შემოქმედების და მოძღვრების" შესახებ.

დისპუტის წინ შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ა. -კ; კომ. უნივერსიტეტის რექტორი ამხ. ლისოვსკი. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: ამხ. იონოვი, პროფ. ნუცუბიძე, დუდუჩავა, ბუაჩიძე, ელენტი, ილინსკი, ორლოვი, პონომარენკო, ბოგდანოვი, დ. ორაგველიძე და სხვ.

—:—

◆ **ყიხარევას გამოსათხოვარი გასტროლები.** 6 და 7 ოქტომბერს მედსანშრომის მუშაკთა კლუბში გაიმართება ყიხარევას გამოსათხოვარი გასტროლები.

◆ **სამხატვრო აკადემიაში** სულ მიღებული იქნა 68 კაცი.

ძაღლების მე-5 საველე შეჯიბრების შედეგი

საქართველოს მონადირეთა კავშირმა 29-30 სექტემბერს ყარაიას რაიონში მოაწყო ჯიშიან ძაღლების მე-5 საველე შეჯიბრება. შეჯიბრების საბოლოო შედეგები ასეთია:

პირველი ადგილი დაიჭირა ვ. ხუტულაშვილის ძაღლმა „აბრეკ" (ყავისფერი პოინტერი, დაგეშილია პ. ჟორდანიას მიერ). „აბრეკს" მიესაჯა სრ. საქართველოს მონადირეთა კავშირის საპატიო დიპლომი და თბ. ალმასკომის სახელობის ჯილდო.

მეორე ადგილი— ბ. ბერძენიშვილის ძაღლმა (ინგლისური სეტერი), რომელსაც მიესაჯა მონადირეთა კავშირის დიპლომი და კავშირის მეძაღლეობის სექციის ჯილდო.

მესამე ადგილი —ბ. შარაშენიძის ძაღლმა (ყვითელ წინწკლებიანი ძუ პოინტერი). მიესაჯა მონადირეთა კავშირის დიპლომი და მწერალთა ერთი ჯგუფის სახელობის ჯილდო.

მეოთხე ადგილი დაიჭირა პაოლო იაშვილის ძაღლმა „ამირანმა" (ყავისფერი წინწკლებიანი ხვადი პოინტერი). მიესაჯა დიპლომი და აჭარისტანის მონადირეთა კავშირის სახელობის ჯილდო.

პირველ წლიანთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა მ. ორახელაშვილის ძაღლმა „პირატ"-მა (ინგლისური სეტერი, ხვადი). მიესაჯა სრ. რუსეთის მონადირეთა კავშირის საპატიო დიპლომი და საქ. მონადირეთა კავშირის სახელობის ჯილდო.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 20 ძაღლი.

პ. ჟორდანიას ძაღლების საუკეთესო დაგეშვისათვის მიესაჯა საქ. მონადირეთა კავშირის დიპლომი და ჯილდო და მ. ხეთაგიშვილს —20 მანეთი ჯილდოს სახით.

სასამართლო

„არტო"-ს მსხვერპლი

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების № 46 ფარდულის გამგეს **სიმონ ალექსანდრეს ძე სადუნაიშვილს** ერთ კვირა დღეს სახლში ესტუმრა მისივე ხელქვეითი ნოქარი **მატინოვი.**

მატინოვის „ვიზიტი" გამოწვეული იყო მით, რომ უნდოდა გაეგო იმ საანგარიშო წიგნების ბედი, რომელიც სადუნაიშვილმა სახლში წაიღო და მთელი ერთი კვირის განმავლობაში დაწესებულებაში აღარ დაუბრუნებია.

აქედან, ცხადია, ამ ერთი კვირის განმავლობაში ფარდულის შემოსავალ-გასავალი წიგნებში არ ტარდებოდა. ისე, ზეპირად „იმახსოვრებდა" (!) გამგე სადუნაიშვილი.

მატინოვს გამგე სახლში არ დაუხვდა. სახლში ნახა სადუნაიშვილის ავადმყოფი ცოლი.

გავიდა რამდენიმე ხანი და სახლში დაბრუნდა მთვრალი და დანაღვლიანებული სადუნაიშვილი.

მატინოვი დარწმუნდა, რომ სადუნაიშვილის დანაღვლიანება გამოწვეულია მისი ცოლის ავადმყოფობით და დაუწყო გამხნევება, ურჩია ცოლის გაგზავნა საავადმყოფოში.

— ეჰ, ეგ არაფერია! ჩემი სევდის მიზეზი სულ სხვაა,—დაიწყო სადუნაიშვილმა. „არტომ" დამღუპა... წავაგე სახაზინო ფული.

ნოქარმა მატინოვმა კიდევ დაიწყო სადუნაიშვილის გამხნევება, რასაც შედეგად მოჰყვა გამგის ზედმეტი გულახდილობა.

— გამოსავალი ასეთია. ან უნდა მოვაწყოთ ფარდულის გაქურდვის სიმულიაცია, ან კიდევ უნდა გადავწვათ ფარდული,—გაუზიარა სადუნაიშვილმა თავისი აზრი მატინოვს.

მატინოვმა ეს აზრი არ გაიზიარა და მეორე დღესვე სისხლის სამართლის მილიციას აცნობა ეს ამბავი.

სადუნაიშვილი დააპატიმრეს. პირველი დაკითხვის დროს სადუნაიშვილი გამოტყდა, მაგრამ სანახევროდ. მან სთქვა, რომ „არტო"-ში წავაგე 430 მანეთი.

მაგრამ სპეციალურად დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ სადუნაიშვილს აღმოუჩინა გაფლანგული ათას მანეთამდე.

დანარჩენი თანხის მითვისებაში სადუნაიშვილმა თავი არ სცნო დამნაშავედ და მოინდომა ნოქარ მატინოვისათვის გადაბრალება.

საქმე გაარჩია მეხუთე უბნის სახალხო სასამართლომ. სადუნაიშვილს დაუმტკიცდა ათას მანეთამდე სახაზინო ფულის გაფლანგვა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით.

მსჯავრდადებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც კანონიერად სცნო მეხუთე უბნის სახალხო სასამართლოს განაჩენი და საჩივარი უშედეგოდ დასტოვა.

—:—

დ. მორბედაძის საქმე

დიმიტრი დავითის ძე მორბედაძე (ყოფ. ასოთ-ამწყობი) ამ ერთი წლის წინ დაწინაურებულ იქნა და დაინიშნა მეორე უბნის სამილიციო რაიონის უფროსად.

ა. წ. მარტში მის წინააღმდეგ ვინმე ქარცხავას ქალმა აღძრა სისხლის სამართლის ხასიათის საქმე.

საქმე შემდეგში იყო: 4 მარტს მეორე სამილიციო უბანში მოიყვანეს ქარცხავას ქალი, რომელსაც მისივე კარგი მეგობარი ბენიაევა აბრალებდა ორი ძვირფასი მარგალიტის მოპარვას.

რაიონის უფროსმა მორბედაძემ მიიღო ყოველივე ზომები საქმის გამოსარკვევად, გაჩხრიკეს ქარცხავას ბინაზე ყველა ნივთები, მაგრამ არაფერი აღმოჩნდა.

უკანასკნელად მორბედაძემ მიმართა ასეთ შემთხვევას, სავსებით დასაშვებ ხერხს—ქალის ტანსაცმლის გაჩხრეკას, რისთვისაც სპეციალურად გამოწვეულ იქნა გეგორსკაიას ქალი, რომელსაც დაევალა არაფერი დაეტოვებია გაუსინჯავი.

მორბედაძემ, როგორც ახლად დაწინაურებულმა მუშამ თავისი გამოუცდელობით დაუშვა ერთი შეცდომა—თვითონ დაესწრო ქალის გაჩხრეკას.

მეორე თუ მესამე დღეს ქარცხავას ქალმა გაზვიადებული ვრცელი განცხადება შეიტანა ადმინისტრატიულ განყოფილებაში, თითქოს მორბედაძემ მას გაჩხრეკის დროს მიაყენა უდიდესი შეურაცყოფა, რამაც თითქოს თვითმკვლელობის განზრახვამდე მიიყვანა.

სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, რომ მთელი ეს ბრალდება განზრახ გაზვიადებულია, ქარცხავას ქალის მიერ, რომ მორბედაძის საქციელში არ არის სისხლის სამართლის ხასიათის ელემენტი, რის გამო მორბედაძეს მოეხსნა წაყენებული ბრალდება და გამართლებულ იქნა.

მხოლოდ იმ უტაქტობისათვის, რომელიც მორბედაძემ გამოიჩინა გამოუცდელობით, სასამართლომ შეუფარდა მას დისციპლინარული ღონისძიება.

ვერ.

ჭადრაკი

შეჯიბრი მაესტრო გრიგორიევსა და ვ. გოგლიძეს შორის

შაბათს, 6 ოქტომბერს, საქ. პროფსაბჭოს შენობაში (მცირე დარბაზის ფოიეში) დაიწყება ვ. გოგლიძის მატჩი მაესტრო გრიგორიევთან მაესტროს წოდებაზე. მატჩი განსაზღვრულია 10 პარტიით. თამაში იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 12 ნახ.-მდე 5 პარტიის შემდეგ, მეექვსე დღე დასვენების დღეა, რის შემდეგ შეჯიბრება გაგრძელდება.

პროფკავშირის გუნდების შეჯიბრება

მე-6 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე არის საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდი, მეორეზე—რკინისგზელები, მესამე და მეოთხეზე ამშენებლების და გემოკვებების გუნდები.

შეჯიბრება საბჭ. სავაჭრო მუშაკთა კავშირის პირველობაზე

შეჯიბრება საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირის პირველობაზე დამთავრდა გოგლიძის გამარჯვებით (+8 ნახ —9-დან), მეორე ადგილზეა ტალვიკი (7 ნახ.) და მესამეზე სარონკინი (6).

შემთხვევები

თავდამსხმელთა შეპყრობა

კახეთის მოედანზე მილიციის სამძებრო ნაწილის თანამშრომლებმა შეიპყრეს ვახტანგ პესოსძე ლუდუშიძე (მცხოვ. სოფ. ბუშეთში), ფირუზა საბას ძე ლუტიშვილი (მცხ. სოფ. კუპატანში), ილია დიმიტრის ძე შაროვი (მცხ. ახალ-სოფელში) და ვანო რომანის ძე პაპიაშვილი (მცხ. ს. კუპატანში). აღნიშნულ პირებს ბრალდება სოფ. უდინელის ტყის მახლობლად შეიარაღებული თავდასხმა მგზავრებზე გაძარცვის მიზნით. აღნიშნულ პირებს აღმოაჩნდათ ცხრა ცალი თოფი.

ქურდი-რეციდივისტების დაჭრა

3 ოქტომბერს ღამით სისხლის სამართლის მილ. თანამშრომლებს უნივერ. ახლო შეიარაღებული შეტაკება მოუხდა ქურდ-რეციდივისტებთან. შეტაკების დროს დაჭრილი იქნენ ქურდი-რეციდივისტები: ვასილ პაპავაძე (მცხ. გუნიბის ქ. № 30), დავით მელიქიშვილი (მცხ. ლომინაძის ქუჩა № 15) და ალექსანდრე ნიკიტინი (მცხ. ლენინის ქუჩა № 27), მეოთხე ბოროტმოქმედი კარაპეტ მანუკოვი შეპყრობილი იქნა. დაჭრილები გადაგზავნეს მეორე საავადმყოფოში.

დაჯახება

3 ოქტომბერს ელბაქიძის დაღმართზე ტრამვაის ვაგონი № 243 დაეჯახა „ზაკავტოპრომტორგის" ავტომობილს და დააზიანა. მსხვერპლი არ ყოფილა.

დაჭრა

3 ოქტომბერს სოფ. გაიდაბანში (თბილისის მაზრა) საზამთროების ყიდვა-გაყიდვის ნიადაგზე გლეხებს შორის მოხდა ჩხუბი, რომლის დროს ქიარიმ ალი-ოღლიმ და ალი ასან-ოღლიმ დანით მძიმედ დასჭრა ალი ოღლი, აბდულ ხიდარ-ოღლი და ქიარიმ ხიდირ-ოღლი, დაჭრილები გადაგზავნილი იქნა თბილისის მეორე საავადმყოფოში. დამნაშავენი დაპატიმრებულია.

გაძარცვა

3 ოქტომბერს წალკის სამილიციო რაიონში გაძარცვეს მიმავალი გლეხები. შემთხვევის ადგილას დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები. მძარცველები შეპყრობილი იქნენ. ისინი აღმოჩნდნენ ჯალილ ირვერდი-ოღლი და ბაშირ ბაგმან-ოღლი. მათ ბრალდება აგრეთვე იმავე რაიონში პაველ პაულოვისათვის 4 ძროხისა და ერთი ცხენის წართმევა.

ქურდობა

3 სექტემბერს გაქურდეს ვერის პარკში მდებარე ხეცურიანის სავაჭრო ფარდული;სამხედრო კოოპერატივის მაღაზიიდან (სოლოლაკის ქ.) ვაჭრობის დროს მოიპარეს 150 მანეთი ფულად;—ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ივანე ჯაფარიძის ბინა (რუსთაველის ქუჩა 3);—გაქურდეს ივანე მეის ბინა (პლეხ. ქ. № 75):—ქურდობისათვის დააპატიმრეს სირანა იაგორის ასული ობოლ-გოგიანი და სერგო ნარიმანის ძე ასათიანი.

ნარევი

აცტეკების ლექსიკონის პოვნა

აცტეკთა ენის ლექსიკონი (აცტეკები სამხრეთ-ამერიკის უძველესი დროის მცხოვრებლები არიან) რომელიც სამასი წლის განმავლობაში დაკარგულად მიაჩნდათ, ამ რამდენიმე ხნის წინად ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იპოვა პროფ. **კორნინმა** ეს ლექსიკონი, რომელიც ერთად-ერთ ეგზემპლიარს წარმოადგენს, ხელით არის დაწერილი ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მექსიკაში აცტეკურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ლექსიკონი შეიცავს—310 გვერდს ორმაგი სვეტებით. აცტეკური სიტყვები წითელი მელნით არის დაწერილი, ესპანური და ლათინური თარგმანი კი—შავით.

—:—

ორკესტრი უდირიჟოროთ და მუსიკოსების მონაწილეობის გარეშე

ორკესტრი უდირიჟოროთ უკვე აღარ არის ახალი ამბავი. მაგრამ უფრო ძნელი წარმოსადგენია ორკესტრი, რომელშიც დამკვრელები არ არიან. ასეთი ორკესტრი უჩვენა გაოცებულ მსმენელებს ერთმა ამერიკელმა გამომგონებელმა. ესტრადაზე დალაგებული იყო ჩვეულებრივი მუსიკალური იარაღები: როიალი, სკრიპკა და სხვ., რომლებიც „თავისით" ასრულებდენ რთულ მუსიკალურ ნომრებს. საიდუმლოება უბრალოდ აიხსნებოდა. თვითეული საკრავი იარაღის შიგნით დამალული იყო ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატი, რომლის ტონი ისეთივე იყო, როგორიც იმ საკრავი იარაღის ტონი, რომლის შიგნითაც აპარატი იყო დამალული. თვითეული აპარატი მოქმედებდა იმ ჩვეულებრივი ორკესტრის ტრანსლიაციით (გადაცემით), რომელიც რადიოსტუდიაში უკრავდა. თუმცა საზოგადოებას აუხსნეს „უმუსიკოსო ორკესტრის" მოქმედების პრინციპი, მაგრამ კონცერტმა მაინც დიდი გავლენა მოახდინა მასზე.

—:—

პრიმო დე-რივერას ბაღი

ესპანელ ფაშისტების ბელადის და ესპანეთის დიქტატორის პრიმო დე-რივერას სასახლესთან მოწყობილია ბაღი, რომელიც გორტიკულტურის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს (გორტიკულტურა—მეცნიერება ბაღების მოწყობის შესახებ). ამ ბაღის მოსაწყობათ ლონდონიდან გამოიწერეს სწავლული მებაღეები. ბაღის მთავარ თვისებურებას ის წარმოადგენს, რომ ის მუდამ აყვავებულია. ამას მიაღწიეს იმით, რომ ყვავილები და ბუჩქები დარგულია არა მიწაში, არამედ ბორბლებზე დადგმულ ხის ყუთებში. როგორც კი მდინარე გაათავებს ყვავილობას, მას მაგიერ დგამენ მეორე ყუთს აყვავებულ ბუჩქებით. დიქტატორის მიერ გამართულ ზეიმის დროს ყვავილებს დღეში რამდენჯერმე ცვლიან. ასე მაგალითად, საღამოობით დგამენ ყუთებს ყვავილებით, რომლებსაც ღამით უფრო ძლიერი სურნელება აქვთ და რომელთა ფერი უფრო შეეფერება საღამოს პეიზაჟს. ბაღის მეორე თვისებურობას წარმოადგენს ყუთებში დარგულ ყვავილების ისე შეზავება, რომ მიღწეული იქნეს რაც შეიძლება მეტი ესტეტიური ეფფექტი, რისთვისაც სწავლული მებაღეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში აწარმოებდნენ ესტეტიურ გრძნობაზე ფერებისა და სურნელების ზეგავლენის შესწავლას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 19

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატისა

1928 წ. ოქტომბრის 2

სახ. მეურნეობის კვალიფიციურ სპეციალისტთა აღრიცხვის მოწყობის შესახებ

ს. ს. რ. კ. ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1928 წ. მაისის 23-ს თარიღით გამოტანილ დადგენილებით თანახმად საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კვალიფიციურ სპეციალისტების (ინჟენრები, ტეხნიკოსები, აგრონომები, მიწათმომწყობნი და სხ.) პერსონალური აღრიცხვა

2. სახალხო მეურნეობის კვალიფიციურ სპეციალისტების აღრიცხვაზე აყვანისათვის დაწესდეს შემდეგი ვადები:

ა) საამშენებლო მრეწველობის, ტრანსპორტის და სახალხო კავშირის სპეციალისტებისათვის 10—15 ოქტომბრამდე.

ბ) ელექტრო-მექანიკურ და მექანიკურ-წარმოების სპეციალისტებისათვის 16 და 17 ოქტომბერი.

გ) სამთო-ლითონურ წარმოების სპეციალისტებისათვის 18, 19, 20 და 21 ოქტომბერი.

დ) საფეიქრო მრეწველობის სპეციალისტებისათვის 22 და 23 ოქტომბერი.

ე) ქიმიური მრეწველობის სპეციალისტებისათვის 24 და 25 ოქტომბერი.

ვ) სასოფლო-მეურნეობის (მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის) სპეციალისტებისათვის 26, 27, 28, 29, 30; 31 ოქტომბერი.

ზ) ყველა დანარჩენ სპეციალისტებისათვის და იმ პირთათვის, რომელთაც დაუგვიანდათ საპატიო მიზეზების გამო (ავადმყოფობა, მივლინება და სხ.) აღრიცხვაზე გამოცხადება პირველიდან 10 ნოემბრამდე.

3. ტეხნიკურ აღრიცხვაზე ყოფნა ევალებათ ყველა მოქალაქეებს როგორც მამაკაცებს ისე ქალებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ ს. ს. რ. კ., რუსეთის ყოფ. იმპერიის, ან საზღვარგარეთის სატეხნიკო ან სასოფლო-სამეურნეო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები და აგრეთვე საერთო განათლების უმაღლეს სასწავლებლების სასოფლო-სამეურნეო და ტეხნიკური ფაკულტეტები (განყოფილებები).

შენიშვნა: სასწავლებლის კურსდამთავრებულებათ იგულისხმებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ ამა თუ იმ სასწავლებლების თეორეტიულ კურსის დამთავრების და საგანგებო გამოცდების ჩაბარების და სადიპლომო პროექტების ან პრაქტიკულ სამუშაოთა შესრულების შესახებ დიპლომები (მოწმობები) და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც აქვთ მოწმობები სასწავლებლის თეორეტიულ კურსის დამთავრების შესახებ.

5. ტეხნიკურ აღრიცხვისაგან თავისუფლდებიან:

ა) სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელნიც იმყოფებიან მუშათა გლეხთა წითელ არმიის ნაწილებსა, შტაბებსა, სამმართველოებსა, დაწესებულება-წარმოებებში და მ. და გლ. წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის რეზერვებში.

ბ) ს. ს. რ. კ. მოქალაქენი, რომელნიც სათანადო წესით მიჩნეული არიან 50-ს და მეტი პროცენტის შრომის უნარ მოკლებულად.

გ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენი.

6. ის პირნი, რომელთაც ევალებათ აღრიცხვაზე ყოფნა პირადათ ცხადდებიან საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატში (თბილისი, ლუნაჩარსკის ქუჩა № 2) მესამე მუხლში აღნიშნულ ვადებში.

7. აღსარიცხავად გამოცხადების დროს თან უნდა იქონიონ:

ა) შევსებული საღრიცხვო-ტეხნიკური ბარათი ფორმა № 1—ა.

ბ) განათლების და მუშაობის შესახებ საბუთები ან სათანადო შემოწმებული მათი ასლები.

გ) სამხედრო საღრიცხვო ბარათი (მამაკაცთათვის) ან ამა საბუთის პირველი გვერდის შემოწმებული ასლი.

დ) პროფესიონალური და პარტიული ბილეთები (წევრებთათვის) ან პირველი გვერდის სათანადოთ შემოწმებული ასლები.

შენიშვნა: მოკლებულნი კონსტიტ. საარჩევნო უფლებებს ან უფლებებს სასამართლოს წესით და ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი ხოლო შემდეგ უფლება აღდგენილნი არდგენენ ამავე საბუთებს თავიანთ რეაბილიტაციის შესახებ.

ის პირნი, რომელთათვისაც საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატში პირადი გამოცხადება ძნელი იქნება ფ. № 1—ა ბარათს და საბუთებს ან მათ ასლებს აგზავნიან შრომის სახკომისარიატში ფოსტით.

საბუთების ასლები უნდა შეამოწმოს იმ დაწესების ადმინისტრაციამ, სადაც ტეხნიკურ აღრიცხვაზე ასაყვანი პირი მსახურობს, ნოტარიუსმა ან მილიციამ.

8. საღრიცხვო ტეხნიკური ბარათების (ფ. № 1—ა) მისაღებად დაწესება-წარმოება-მეურნეობის ადმინისტრაციამ და ტეხნიკურ აღრიცხვაზე ასაყვან პირმა უნდა მიმართონ: თბილისში—საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატს ან რაიონულ შრომის ინსპექციებს; აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში,—შრომსახკომის რწმუნებულთა სამმართველოებს, მაზრებში და დანარჩენ ქალაქებში—შრომის ინსპექციის კამერებს, ხოლო სადაც უკანასკნელნი არ არიან—ადგილობრივ დამზღვევ კასის ორგანოებს.

9. იმ წარმოება-დაწესება-მეურნეობათა ადმინისტრაციას, სადაც მსახურობენ აღრიცხვაზე აყვანილი ინჟენრები, ტეხნიკოსები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ევალებათ:

ა) მისცეს აღრიცხვაზე ასაყვან პირს საბუთები განათლების და პრაქტიკულ სტაჟის შესახებ ან შეამოწმოს ამ საბუთების ასლები.

ბ) გაანთავისუფლოს სამუშაოდან აღრიცხვაზე ასაყვანი პირი, მისი განცხადების თანახმად, აღრიცხვის საათებში შრომის ორგანოში პირადათ გამოცხადებისათვის შრომის ხელფასის შენახვით.

გ) მესამე მუხლში აღნიშნული საბოლოო ვადის გათავებისას შეამოწმოს აღრიცხვას წესების შესრულება სამსახურში მყოფ ინჟენრების, ტეხნიკოსების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მიერ.

10. ტეხნიკურ აღრიცხვაზე ყველა აყვანილ პირებს მიეცემათ ან გაეგზავნებათ საღრიცხვო ტეხნიკური ბილეთები, რომლებიც აღრიცხვაზე აყვანილებმა დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ სამსახურის ადგილას წარმოება-დაწესება-მეურნეობის ადმინისტრაციას.

ის პირი, რომლებიც არ მიიღებენ საღრიცხვო-ტეხნიკურ ბილეთებს 25 ნოემბრამდის, ვალდებულნი არიან აცნობონ ამის შესახებ საქართველოს შრომის სახკომისარიატს.

11. სახალხო მეურნეობის ის სპეციალისტები, რომლებიც გვერდს აუხვევენ ტეხნიკურ აღრიცხვაზე გამოცხადებას და იმ წარმოება-დაწესება-მეურნეობათა ადმინისტრაცია, რომლებიც არ შეასრულებენ თავის მოვალეობას აღრიცხვის მიმართ ადმინისტრატიული წესით პასუხისგებაში მიეცემიან თანახმად. სსრ სისხ. სამ. კოდ. 112 მუხლისა.

საქართველოს შრომსახკომის მოადგილე:

ათოევი.

საერთო საორგანიზაციო განყ. გამგე

ჯაბადარი.

იურიდიული დახმარება

ოლია გა[illegible]

კითხვა:

მყავს ძმა და ქვრივი რძალი. აქამდის ერთად ვცხოვრობდით სოფ. კდისწყაროს (გორის მაზრა), ეხლა კი ჩემი ძმა და ქვრივი რძალი გაიყარნენ, მე და მოხუცებულ დედაჩემს კი წილს არ გვაძლევენ.

გვეკუთვნის თუ არა წილი საერთო ცხოვრებიდან, და თუ გვეკუთვნის, როგორი რაოდენობით, და ვის მივმართოთ.

პასუხი

თუ თქვენ, დედით, თქვენს ძმასა და ქვრივ რძალთან ერთად შეადგენდით ერთ კომლს, როგორც თქვენ, ისე დედა თქვენს, გეკუთვნით ყველა უფლებები მიწაზე, შენობებზე და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე, რაც კომლის განკარგულებაშია (მიწ. კოდ. 41 მუხ.). ამიტომ, კომლის გაყრის შესახებ, შეგიძლიათ მიმართოთ თხოვნით რაიონის სამდგილმამულო სასამართლო კოლეგიას (მიწ. კოდ. 54 მუხ.).

ნესტორ მესხს

კითხვა

1909 წ. გარდაიცვალა ჩემი მამა. 1910 წ. დედა გათხოვდა და მე ძუძუმწოვარა ბავშვი თან წამიყვანა. 1918 წ. ვიყავი მოჯამაგირედ 3 წლის განმავლობაში. 1922 წ. წავედი ქუთაისში, სადაც ვმუშაობდი ფაბრიკა ქარხნებში. 1926 წ. ავედი სოფელში მამის მამულში. ბიძებმა წინააღმდეგობა მომცეს მემუშავა მათთან. მე, როგორც ფილტვებით დაავადებულმა, ვერ შევსძელი მუშაობა, და ვსთხოვე მათ მოეცათ ჩემთვის წილი მოძრავი ქონებიდან, გთხოვთ მიპასუხოთ მერგება თუ არა მამიჩემის კუთვნილი ქონების ერთი მესამედი, ნაწილი?

პასუხი

ვინაიდან თქვენს დედას წაუყვანიხართ მეორედ გათხოვების შემდეგ ახალ კომლში, თქვენ ამით გამხდარხართ ახალი კომლის წევრი, და ძველ კომლთან, რომელშიდაც შედიოდა მამა თქვენი, კავშირი გაგიწყვეტიათ, ამისათვის, რადგანაც მამის კომლის წევრად თქვენ ველარ ჩაითვლებით, ამ კომლიდან არაფრის მიღება თვენ არ შეგიძლიათ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ თვითკრიტიკის გატარების გამოსაკვლევად საქართველოს მუშ. და გლეხ. ინსპ. და საკონტროლო კომისიის განკარგულებაში, **მობილიზაციის წესით გაწვეულნი არიან შემდეგი პარტამხანაგები:** ციხელაშვილი, ლუბანსკაია, კარლო ორაგველიძე, პოპხაძე, პავერმანი, გეგენავა, ლუსკინა, მეი, კვირიკაძე, ლაზარევი, ესაიანი, თვალჭრელიძე, შეფტი, ბაგროვი, ტატულოვი, გობეჯიშვილი, ბელენკი, სალუქვაძე, ბუდილევი, კაჭახიძე, რახმანი, თენგიზ ელენტი, ადამიანი, კიკნაძე, ქყონია, ბელიაევსკაია.

ზემოაღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ შაბათს, 6 ოქტ. დილის 10 საათ. გამოცხადდნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის საორგანიზაციო განყოფილებაში.

თბ. კომიტეტის მდივანი **სუხიშვილი.**

—:—

დღეს, საღამოს ხუთ 5 საათზე საქ. კომპ. თბ. ორგ. ქალაქის რაიკომის აგიტპროპ განყოფილებაში შესდგება მთლიან პარტსკოლების და საღამოს პარტ. სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი მთლიან პარტსკოლების სტაროსტებთან ერთად. დასწრება ყველა ხელმძღვანელების და სტაროსტების სავალდებულოა დაუგვიანებლად.

—:—

შაბათს, 6 ოქტომბერს, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში მოწვეულია თათბირი „დაკავშირების კვირეულის" ჩატარების საკითხის განსახილველად. ამხ. გ. მგალობლიშვილის (ფინსახკომი), ს. თოდრია (შრომის სახალხო კომისარიატი), ბ. მაჩაიძე, (საქპროფსაბჭო), ვარძიელი (საქართველოს ცაკი), ვ. მესხი (თბილისის ალმასკომი) და ხუციევი (თბილისის პოლიტგანი) დასწრება სავალდებულოა.

საქართ. კომპარტიის თბ. კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 5 ოქტომბერს, ნაშუადღევის სრულ ორ საათზე საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **თარხანოვთან.** ერემო იმნაიშვილი, (ასურეთის თემკომის ყოფილი მდივანი), ალექსანდრე არსენის ძე სტურუა, ფილიპე აყდამის ძე დელიბაშვილი, გიორგი თედორესძე სარქიახოვი, ლეოტორ აათანის ძე ნაზარეიშვილი; ალექსანდრე ებრალიძე; კვანტალიანი; სერგო არტემის ძე ისრაელოვი; არტემ თედორეს ძე კაზარენკო, გიორგი კონსტანტინეს ძე კვანტალიანი, ამ ამხანაგებს, რომლებიც თბილისში არ იმყოფებიან, ევალებათ გვაცნობონ ბინის ან სამსახურის მისამართი.

—:—

დღეს, საღამოს 6 საათზე ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის შენობაში შესდგება ამავე ინსტიტუტის უჯრედის დახურული სხდომა. დღის წესრიგში სდგას ბიუროს გადარჩევა.

—:—

დღეს, შუადღის 1 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომ. ფაკ. კომ. უჯრედის ბიუროს სხდომა. უნდა დაესწრონ ა. პაპავა, ს. გეგენავა, ი. მონიავა, დ. გვაზავა, თ. მელიქიძე, კ. აბუსერიძე, ა. ლ. კ. კ. ორივე უჯრედის მდივნები და პროფკომის თავმჯდომარე.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს რომ დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს ხუთ საათზე სტუდენტთა კლუბში მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედის და კომკავშირის საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სამუდამოთ გლოვით მოცულნი ცოლი ელიკო, სიდედრი—ფოფო, სიძე დათიკო მაქავარიანი ცოლით, ცოლის ძმა ვალოდია შალიკაშვილი ცოლით და გიგო ფალავანდიშვილი ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და საზოგადოებას, რომ საყვარელი და დაუვიწყარ ტრაგიკულად დაღუპულ

რჩილ ალექსანდრეს ძე საგინაშვილის

ნეშტის დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე 6 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან:—ორჯონიკიძის შესახ. № 6 (დიდუბე) 4407

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	რიჩარდ ტოლმეჯი სურათში	მე დედექტივი ვარ
არფასტო	მხატვრული საუკეთესო სურათი „მეჟრაბპომ-რუს"-ისა	ადამიანი იშვა მთავარ როლში: მოსკვინი
პალასი		
სოლეი	ცნობილი სპორტსმენი-ტრიუკისტი ალფრედ ბოკოლინი სურათ.	სასიკვდილო ნახტომი
მინიონი	კარმენ ბონი საუკეთესო სურათში	ნამდვილი მამაკაცი
აპოლო	მედი ხრისტიანსი მხატვრულ სურათში	ლურჯი სისხლი
დარბაზი	მეი მურეი მხატვრულ სურათში	სენატორის კარიერა
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელად თბილისში	პოეტი და მეფე

ანონსი: მალე ყაზახები ლ. ნ. ტოლსტოის მოთხ. მიხედ. 0—4

საქართველოს
სახკინმრეწვის
ნაწარმოები
მალე
სანდრო ინაშვილი საიუბილეო სურათში
ლ. ნ. ტოლსტოის
მოთხრობის მიხედვით
ყაზახები
რეჟისორი ვ. ბ. ბარსკი
ოპერატორი ფ. გეგელი
ნ. 1665
მალე

მათემატიკის მასწავლებელი
1929 ს. წ. ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 2—6 საათზე, ერთ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 3—2 4378

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმნი —11—78. 25—1

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი
ვ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 9 ოქტომბერს 1928 წ. დღის 1 საათზე ადგილობრივ სოფელ მერეთში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვასილ დიმიტრის-ძე მახარაშვილის მოძრავ ქონებას ავეჯეულობას: კედლის და ისე ხალიჩებს, სარკეებს, მაგიდებს, ხავერდის სუფრას, გრეხილ სკამებს, კამოდს, ტანისამოსის შკაფს, კუშეტკას, თეთრ სამოვარს და სხვას. სულ შეფასებულს 482 მან. საქართველოს კომუნალური ბანკის ცხინვალის განყოფილების და კონკორდიასი და საქართველოს სახ. მამულების ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად. 4408

თავდაცვა ავიაქიმის თბილისის
საბჭო

ამით აცხადებს ყველა იმ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომელთაც ქონდათ შეძენილი აუქციონ „ფორტუნა"-ს სალოტარიო ბილეთები, რომ **უკანასკნელი ვადა ლატარეიაში მოგებული ნივთების მიღებისა არის დანიშნული ა. წ. 1-ლ ნოემბერი, რის შემდეგ არავითარი ნივთების გაცემა არ იწარმოებს.** (საფუძველი პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 7 ა. წ. 1 ოქტომბრიდან § 3).

ნ. 1662 თავდაცვა ავიაქიმის თბ. საბჭოს სამდივნო

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
ლითონტრესტი
თბილისი. კალინინის სახელობის ქარხანა—ყვირილის ქ. № 9, ტელ. 4—34.
იყიდება საწყობიდან
ელექტრო მოტორები და დინამოები მუდმივი დენისა 65-110 220-440 ვოლტი 1-30 ცხენის ძალისა.
მზადდება უმფორმერები დ მოტორ-გენერატორები.
ელექტრომოტორები ცვალებადი დენისა.
ტრანსფორმატორები 100 კილოვატამდე.
აგრეგატები შესადუღებელი მუშაობისათვის.
ელექტრო-გამხურებლები, მძლავრნი და ლაბორატორიებისათვის.
მოტორებისა და სხვადასხვა ელექტრო-აპარატების რემონტი.
ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები.
გამომცდელი სადგური.
იყიდება დიზელი 100 ცხენის ძალისა და ატლას-დიზელი დინამოთი 115 ვოლტი 50 ცხენის ძალა.
2—1 ნ. 1664

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის 15 ოქტომბერს 1928 წ. დღის 12 საათზე ქალ. ჭიათურაში გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ქრისტინე მიხეილის ასულ ფხალაძის ერთ ბუფეტის შკაფს, ერთ ტანისამოსის შკაფს, ერთ ნიკელის სამოვარს, ერთ ნიკელის კრაოტს და სხვა მოძრავ ქონებას შეფასებული ყველა 285 მან. დასაკმაყოფილებლათ მარიამ ფხალაძის ვალისა, თანახმათ აღმასრულებელი ფურცლისა ჭიათურის შრომის სასამართლოსი 25 აგვისტოს 1928 წ. № 2244.

ნ. 1661

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 9 ოქტომბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 49 ვერცხლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გონიევის მოძრავ ქონებას: შიფონერკას, კედლის საათს, მაგიდებს, სკამებს და სასადილოს მრავალ მოწყობილობას შეფასებულს 362 მანეთად, არტაშ მალალოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 17 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 2898 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

4410

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმმა
ს. ი. ვოლოხმა
განაახლა ავადმყოფთა მიღება
(ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით და ვადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1)

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს
5—6 ქალებს.
25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა), 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის
ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვების ექიმობა.
ჰავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური **კბილების ჩასმა,** ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
თოდაძე
დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია.
თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება **ფსიქოტერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულება-ი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქ. კუთხე.

დაკარგა: სახ. კვებ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 2930 ნინა მღებროვას სახელზე, ჩ. გ. 4404

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 73404, ჩ. გ. 4405

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 2429 სერგო ბახტაძეს სახელზე, ჩ. გ. 4402

დავკარგე: პროფკავშირის წიგნაკი № 4353 გიორგი თაყაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4403

დავკარგე სამხედრო წიგნაკი ეპიფანე ალექსის ძე კულულაშვილის სახელზე ჩ. გ. 4401

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 18418 ზოსიმე გრიგორის ძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4399

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ევგენი მაქსიმესძე წულაძის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე: მოწმობა № 100 გაცემული ქ. ოზურგეთის შვიდწლედის მიერ. 1924 წ. ქეთო ირაკლის ასულ ურუშაძის სახელზე, ჩ. გ 4409

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.